გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

# ვერსია

ფასი 40 თეთრი

№147 (754) 24 - 25 დეკემბერი, 2012 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

# 20 გვერდი

## გვარამია კეზერაშვილის ცოლის დაქალმა „ჩაუშვა“?!




გვარამია საკაშვილს „საფლავში ჩაჰყვება“ თუ, თავის გადასარჩენად, ახალ ხელისუფლებასთან შეფარვით ითანამშრომლებს

გვ. 6

## მოსამართლე, რომლის თანაშემწესაც სპეცსამსახურები „ავერბოვკებდნენ“, კოტე კუბლაშვილის პირველი მოადგილის დეიდაა

„ვერსიამ“ სასამართლოს ბოლოდროინდელ სკანდალებთან დაკავშირებული ნათესაური კავშირები გაშიფრა

გვ. 3



## დაპატიმრებული „ოქრო“ ახალ სკანდალში ეხვევა

გვ. 9

## რა კავშირი აქვს ირაკლი ოქრუაშვილს მალხაზ კაკაშვილის გაუჩინარებასთან და ცოცხალია თუ არა „ზილების რევოლუციის“ მთავარი მოწმე

„გეხვეწებით, უხერხულ სიტუაციაში ნუ მაგდებთ... დრო მოვა და ყველა კითხვაზე გავაცემინებ ყველას პასუხს...“

კაკაშვილის გაუჩინარებაზე, მისი ოჯახი პროკურატურას გამოძიების დაწყებას სთხოვს

## კობა დავითაშვილი გაიზარდა, დაბერდა და ჭკუა ისწავლა!



„მე ვარ ის ადამიანი, ვინც ირაკლი ოქრუაშვილი პოლიტიკური ლევნიღების სიაში დაბლოკა!“

გვ. 8

## სკანდალი

### ახალი მთავრობის მაღალჩინოსანი ბავშვებით მოვაჭრეებს მფარველობს?!

პროკურატურა დონაციისა და სუროგაციის ცენტრის ხელმძღვანელს დაპატიმრებით ემუქრება!

გვ. 7

## დევნილთა მინისტრის პირობა:

### „2016 წელს ყველა დევნილი დაკანონებულ ფართებში იქნება შესახლებული!“



პასუხები დევნილებისთვის ყველა საინტერესო შეკითხვაზე

გვ. 10

## „ნაციონალებმა“ „ზონდერების“ მობილიზაცია გამოაცხადეს

გვ. 15



## 16 ახალი „კანონიერი ქურდი“ და დუბაიში გამართული „ქურდული სხადნიაკის“ უცნობი დეტალები

გვ. 14

მერაბ ჯანგველაძისა და ასლან უსოიანის კლანებს შორის ბრძოლა გამწვავდა

დიტო გელოვანი

**რქიანი — ჩამორჩენილი, ხალხში გამოუსვლელი, უგუნურად აგრესიული, სინონიმები: „ჯიხვი“, „ქაჯი“, „გოიმი“. „ელიმებოდა ლადო ბიძიასაც, მაგრამ მშვიდი არ იყო ეს ღიმილი, ყოველ ახლო გამოვლილ მანქანას ადევნებდა: „ქაჯი ხარ, შინი, რქიანი“ (რევაზ ინანიშვილი); „მე ვიცი, ბევრმა არ იცის, რამდენი დადის რქიანი“ (შაბურა არაბული); „იმ შენ რქიან უფროსს ვერ მოერიე და ბავშვს ეცი ახლა (ირაკლი ბერიაშვილი). „რქებს ასე განმარტავს სერგეი სნეგოვი თავის რუსული ქურდული ენის ლექსიკონში: „ფიზიკურად არარსებული, მაგრამ ფილოსოფიურად რეალური ნაწილი სხეულისა, რომელიც ამკობს ყველას, ვინც არ მიეკუთვნება ქურდულ სამყაროს. ამათ იციან ხოლმე რქებით „მიწოლა“ (პროტესტის გამოხატვა, წინააღმდეგობის გაწევა)... თუ საჭიროა, მათ ამ სიტყვებით ემუქრებიან: „დაიცა, მოგამტვრევ რქებს“.**

*(ლევან ბრეგაძე, ქართული ჟარგონის ლექსიკონი)*

# კრაკაძილები ექსპო ჯორჯიაში




ის, რაც ხდებოდა წინა კვირაში კი არა და, ჯერ – ის, რაც ახლა, ამ წუთებში „ექსპო ჯორჯიაში“ ხდება – რქიანების, გოიმების, ტლუების, ქაჯების, ღორების (გოჭებისაც), ბანძების, კრახების (ჰა, შემომეშველეთ), ბარიგების, სიაბანდების... გამოფენა. ეგეთი ექსპოა და ვაი, რომ ჯორჯიაა!

„კაცისმკვლელებო, ქურდებო, ყაჩაღებო...“ – მგონი, ასეა „თეთრ ბაირაღებში“ და ახლა რომ იწერებოდეს, იქნებოდა „ქლიბებო, კვერცხებო, ჩოყლაყებო...“ ან, მთლად უარესი – „ნუგზარ წიკლაურებო, გოგა ხაჩიძეებო, გოკა გაბაშვილებო...“

ეგეც შენი ექსპო და ეგეც ჩვენი ჯორჯია!

როგორ ერქვა?.. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის რეგიონული ყრილობაო, მაგრამ ის ვერ გავიგე, თუ რეგიონული იყო, რატომ სადმე ოფშკვითში ან შიბლიანში არ ჩაატარეს. დეცენტრალიზაცია, დეცენტრალიზაციაო – რომ გაიძახიან, ჩაეტარებინათ სხვაგან, მაგალითად ალმამედლოში (სომხეთის საზღვარზეა), ჩაეტარებინათ ფარცხანაყანებში, ოღონდ ჰიბრიდულ ფარცხანაყანებშიანაც, საერთოდ, ჩაეტარებინათ სოფელ თოხლიაურში, რადგან ქართული ჟარგონის ლექსიკონის მიხედვით, თოხლაობა ჭამას ნიშნავს, ექსპოში შეკრებილ ვაი-ჯორჯიელებს კი იმდენი აქვთ ნაჭამი (თან, დიდი კოვზით), რომ მაგ მოძრაობას, ჩემი აზრით, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა კი არა, ერთიანი ნაციონალური თოხლაობა უნდა ერქვას.

„რუსეთიდან დიდი რაოდენობით ახალი ნარკოტიკი კროკოდილი შემოვიდა, ეს კროკიდილი რა ყოფილა, იცით? რომ გაიკეთებ თუ დალევ, გგონია, რომ წინ მიდიხარ, მაგრამ სინამდვილეში, უკან მიდიხარ“, – სააკაშვილმა მშობლიური პარტიის წარმომადგენლებს სხვა უკბილო ხუმრობებთან ერთად ეს ხუმრობაც გაუზიარა, მოყვა, თუ როგორი აღფრთოვანებულია მისით მავანი არაბი მოაზროვნე და მასთან ერთად ლეონიდ კრავჩუკი, რომელმაც „საბჭოთა კავშირი“ დაანგრია.

ეგ იქით იყოს, მაგრამ თუ ქართულად მეტყველებ, მაგრამ ნიანგის თქმა რუსულად გსურს, კროკოდილი კი არ უნდა თქვა, არამედ კრაკაძილი. მაგალითად, შეცდომაა „როგორ შეიკრიბა ამდენი კროკოდილი ექსპო–ჯორჯიაში?“ და სწორია „როგორ შეიკრიბა ამდენი კრაკაძილი ექსპო–ჯორჯიაში?“ ნილოსი დაშრა, მამაძაღლი?!

იმ პავილიონში, საერთოდ, ძაღლების გამოფენა იმართება ხოლმე, გამობუთქუნდებიან ხოლმე ოთხფეხა მეგობრები და ისეთი კეთილი თვალებით გიყურებენ, ნატრობ, ნეტა, ეს იყოს ჩემი მაჟორიტარიო, ზოგი ისეთია, არც პრეზიდენტობას დაინანებ მისთვის, იმ დღს კი, იმ პავილიონში ერთადერთი ნორმალური კაცი იჯდა – ვიტალი კლიჩკო, დანარჩენები სულ კრაკაძილები იყვნენ. იყო ერთი ქლიბიც...

ზემოთ ვიკითხე, რატომ სადმე რეგიონში არ ჩაატარეს რეგიონული ყრილობა-მეთქი და ახლა, თვითონვე მივხვდი, რაშიც არის საქმე – განა, დიდუბე თბილისის რეგიონი არ არის? არის ფილარმონია, არის სპორტის სასახლე, არის სტადიონი (ორი სტადიონი, ორი!), მაგრამ ერთიც ცენტრშია, მეორეც და მესამე-მეოთხეც, ხოლო „ექსპო ჯორჯია“ მდებარეობს დიდუბეში, რომელიც არის გარეუბანი. რას ერჩი, რეგიონში ჩაუტარებიათ!

ჩვენში დარჩეს და, ეგენი ვერც სპორტის სასახლეს გაავსებდნენ და ვერც — ფილარმონიას, ჰა და ჰა – რამდენიმე ვოლიერი ზოოპარკში.

„როგორც ყრილობის ორგანიზატორებმა განაცხადეს, ეს იყო ამ კრაკაძილების ბოლო გამოფენა საქართველოში და ვაი, იმ ქვეყანასა და იმ სახელმწიფოს, რომელშიც ეს გამოფენა გადაინაცვლებს“, – ასეთი შინაარსის ნიუსი ნამდვილად არ წამიკითხავს, მაგრამ მთავარი წაკითხვა ხომ არ არის? მთავარი გაგებაა!

სამაგიეროდ, იყო ასეთი ნიუსი:

„...პროსტიტუციის ხელშეწყობის გამო, 5 პირი დააკავეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, დაკავებულები არიან 1956 წელს დაბადებული მიმოზა ფ, 1972 წელს დაბადებული ნათია კ, 1958 წელს დაბადებული დოდომ. 1968 წელს დაბადებული ნათელა ჩ. და 1967 წელს დაბადებული მარინე შ, რომლებიც გოგოლის ქუჩაზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე სისტემატურად ეწეოდნენ პროსტიტუციისთვის ფართების გადაცემის ორგანიზებას“.

ეს ნიუსი კრაკაძილებზე გამახსენდა. მიმოზა ფ-ს კრაკაძილები რეგიონულ ყრილობას ყოველ საღამოს ატარებენ, მიხეილ ს-ს კრაკაძილებს კი, ამ მხრივ, დებიუტი ჰქონდათ, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ვიღაცის დებიუტი ყოველთვის ვიღაცის გამოცდილებას ეფუძნება, ასე რომ, 1956 წელს დაბადებულ მიმოზა ჩ-ს ამაყად შეუძლია განაცხადოს რომ 1954 წელს დაბადებული ზეინაბ მ-ს, 1992 წელს დაბადებული ლამზირა ფ-სა და 1965 წელს დაბადებული ნუგზარ წ-ს მამაშა სწორედ იგია.

საინტერესოა, რომ მამაშები აჭარაშიც დააკავეს და თუ თბილისში მამაშები გოგოლის ქუჩაზე საქმიანობენ, ბათუმელ მამაშას მამაშობრივ მზრუნველობაზე ბათუმში, პუშკინის 18-ში წაასწრეს, რაც იმას ნიშნავს, რომ შემდეგი დაკავება მოხდება ქუთაისში, ლერმონტოვის ქუჩაზე, რუსთავში – გრიბოედოვზე, ხოლო გურჯაანში – ჩეხოვზე.

შეამჩნევდით, რომ კლიჩკოს, ჩეხოვს, ლერმონტოვს, პუშკინსა და გოგოლს თუ არ ჩავთვლით, აქამდე მხოლოდ კრაკაძილების გვარებს ვახსენებდი და ვატყობ, დღეს სულ მაგათზე მომიწევს წერა. აი, თუნდაც ეს ნიუსი: „საპარლამენტო უმცირესობისთვის კი გაურკვეველია, კონკრეტულად, რა პროდუქციაზე წესდება შეზღუდვა და ჯარიმები და რა იგულისხმება სექსუალური ხასიათის პროდუქციაში. როგორც დეპუტატმა გოგა ხაჩიძემ აღნიშნა, მისთვის საინტერესოა, რა შეიძლება იყოს სექსუალური პროდუქცია იმ ქვეყანაში, სადაც არც ერთი „სექს-შოპი“ არ მოქმედებს. პარლამენტის ვიცე-სპიკერის, გია ბარამიძისთვის კი გაურკვეველია, როგორ შეიძლება, აეკრძალოს „17 წლის ვაჟკაცს“ პრეზერვატივის ყიდვა“.

„ვფიქრობ, ბუსუსებიან პრეზერვატივებზე და რაღაც სიამოვნებაზე საუბრით ზოგიერთი ჩემი კოლეგა თავად იღებს სიამოვნებას“, — განაცხადა ზურაბ ტყემალაძემ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე საკითხის განხილვისას და აბსოლუტურად მართალი იყო, მაგრამ ერთია, ბარამიძე-ხაჩიძე ბუსუსებიან პრეზერვატივებზე ლაპარაკით სიამოვნებას რომ იღებენ, მაგრამ თუ დააკვირვებიხართ, როგორი ტონით საუბრობს და რა გამომეტყველება აქვს სააკაშვილს, როდესაც იუსტიციის სახლებზე საუბრობს? ისიც საინტერესოა, რა გამომეტყველება ჰქონდა, როდესაც „სამოქალაქო სექტორისა და დამოუკიდებელი მედიის ხელშეწყობასთან დაკავშირებით“ ბრძანებულებას აწერდა ხელს. ამ ბრძანებულების თანახმად, გამოიყოფა მილიონი ლარი და დაფინანსდებიან ჟურნალისტები და ენჯეოები. კომისიის თავმჯდომარე იქნება და საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე ნინო კალანდაძე, წევრები კი — ვან ბაიბურთი, მუზარის კარაევი, ვერა ქობალია და ნატალია ყანჩელი.

სააკაშვილის ბრძანება 18 დეკემბერს, დილით გამოქვეყნდა, 23 დეკემბერს, შუადღისას კი განაცხადების მიღება უკვე დასრულებული იყო. ისე, შეეძლოთ, 19 დეკემბერს დაესრულებინათ, რადგან ვინ და რამდენს მიიღებს, რა თქმა უნდა წინასწარ იქნებოდა განსაზღვრული.

„პრესის საერთაშორისო ინსტიტუტის საქართველოს კომიტეტის წევრები ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორის, ნიკა გვარამიას დაკავების გამო, შეშფოთებას გამოთქვამენ და ხელისუფლებას მისი დაუყოვნებლივ გათავისუფლებისკენ მოუწოდებენ. როგორც ორგანიზაციის 4 წარმომადგენლის, პაატა ვეშაპიძის, მიშა თავხელიძის, ნათია კობერიძისა და ეკა წამალაშვილის განცხადებაშია ნათქვამი...“.

„რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ კოალიცია „საზოგადოებრივი ინიციატივა“ ჩამოაყალიბა, რომლის პრეზენტაცია მშვიდობის ხიდზე გაიმართა. კოალიციის წევრები, სხვა პირებთან ერთად, არიან თეა თუთბერიძე, გიგა ნასარიძე, შს სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსანი თენგიზ გუნავა და გიორგი ონიანი. როგორც „ინტერპრესნიუსს“ კოალიციის წარმომადგენლებმა განუცხადეს...“

როგორც მიხვდით, ეს ორი ნიუსი იმიტომ გაახლეთ, წინასწარ თქვენც რომ იცოდეთ, ვინ მიიღებს დაფინანსებას სააკაშვილის ფონდიდან, ხოლო ის, რომ ქუთაისში სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვება დაიწყო, ალბათ ყველამ იცით, მაგრამ პროსტიტუციის ხელშეწყობის გამო, მამაშების დაკავების ამბავი რომ მახსენდება, სააკაშვილის მიერ „სამოქალაქო სექტორისა და დამოუკიდებელი მედიის ხელშეწყობასთან დაკავშირებით“ გამოცემულ ბრძანებას რომ ვიხსენებ, ამ ორ ამბავს ერთმანეთთან ვაკავშირებ და რადგან წინასწარ ვიცი, როგორებს შორის განაწილდება ის ერთი მილიონი, ვფიქრობ, 1967 წელს დაბადებულ მიხეილ ს-ს პროკურატურამ სწორედ ის ბრალდება უნდა წაუყენოს, რა ბრალდებაც წაუყენეს 1956 წელს დაბადებულ მიმოზა ფ-ს, 1972 წელს დაბადებულ ნათია კ-ს, 1958 წელს დაბადებულ დოდო მ-ს, 1968 წელს დაბადებულ ნათელა ჩ-ს. და 1967 წელს დაბადებული მარინე შ-ს, ანუ პროსტიტუციისთვის ხელის შეწყობა.

„რამდენიც უნდა დაიჭიროთ, ნაციონალურ მოძრაობას ვერ გაანადგურებთ“, – ეს სიტყვები გოკა გაბაშვილს ეკუთვნის. ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როდესაც გოკა გაბაშვილი მართალს ამბობს. ვეთანხმები – რამდენიც უნდა დავიჭიროთ, ნაციონალურ მოძრაობას მაინც ვერ გავანადგურებთ. დაგითვლიათ, რამდენი კოლო, ბუზი, ვირთხა და ტარაკანა ნადგურდება ყოველწლიურად? მილიონობით! მაგრამ მაინც არიან. ბავშვი არ ვარ, მათი საბოლოო განადგურების იმედი რომ მქონდეს, ეს შორეულ, 1986 წელს იყო, რომ მეგონა, გაივლიდა რამდენიმე წელი და კომკავშირელები აღარ იარსებებდნენ. კომკავშირი აღარ არის, მაგრამ „ექსპო ჯორჯიაში“ შეკრებილები მხოლოდ გარეგნულად არიან კრაკაძილები, თორემ მაგათში კომკავშირს რა მოკლავს? ჰოდა, ალბათ, ამიტომაც თქვა მიხეილ ს-მ ეს სიტყვები: „იმ ხალხმა, ვინც ძალიან ჩქარობს, კარგად იცის ერთი რამ, რომ 2014 წელს შანსი არ ექნება. უფრო მეტსაც გეტყვით, 2013 წლის ბოლოსაც არ აქვთ მათ შანსი“.

როდესაც ეს წავიკითხე, გამეცინა და დავიგინე, მაგრამ ერთია, როდესაც მე მეცინება და მეორე ის, თუ რას ამბობს დავით უსუფაშვილი: „თუ ეს ხალხი ჩვენ არ დავიცავით დღეს, ამ დღეში აღმოვჩნდებით ჩვენ, ყველანი, შემდგომში“.

როგორ მოგწონთ? არა, მართლა, როგორ მოგწონთ პარლამენტის თავმჯდომარის ეს სიტყვები. მეგონა, იტყოდა, ისე თუ მოვიქცევით, როგორც ეს ხალხი იქცეოდა, ამ დღეში აღმოვჩნდებით ჩვენ, ყველანიო.

რა დღეში? რა დღეში და, იმ დღეში, რა დღეშიც აღმოჩნდნენ ქუთაისში ჩაცუნცულებული სააკაშვილისთვის პატივისცემის დასადასტურებლად მისული აკაკი მინაშვილი და სხვები. აღარ გავიხსენებ, სრულიადაც არ იყო სასიამოვნო ის, რაც ვნახეთ, თუმცა ის, რომ სრულიადაც არ იყო სასიამოვნო, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს არ იყო ლოგიკური.

რა, ნიკა გვარამიას დაკავება არ იყო ლოგიკური? როდესაც სპექტაკლის პირველ მოქმედებაში კედელზე თოფია ჩამოკიდებული, მეორე მოქმედებაში ის აუცილებლად გაისვრის. აქედან გამომდინარე, თუ პირველ მოქმედებაში ცოცხს კედელზე ვხედავთ და მეორე მოქმედებაში – სულ სხვაგან, სავსებით ლოგიკურია, რომ მესამე მოქმედებაში ცოცხი კუთვნილ ფუნქციას დაიბრუნებს. არ ვიცი, დაუმტკიცდება თუ არა გვარამიას ის, რაშიც ედავებიან, მაგრამ არის რაღაც-რაღაცები, რასაც მტკიცება არ სჭირდება – „ნოემბრიდან ნოემბრამდე“. ბარემ, აქვე ვიტყვი, რომ ხელისუფლების ადგილზე რომ ვიყო, სასწრაფოდ გავათავისუფლებდი „ზილების“ გამო დაჭერილ ოქრუაშვილს, მაგრამ მაშინვე ისევ დავიჭერდი და ჯარის ამბებს გავუხსენებდი, გავუხსენებდი, როგორ ემუქრებოდა კახელ გლეხებს, ყურძნის ჩაბარების ფასების მომატება რომ მოითხოვოთ, მაშინვე დაგიჭერთო.

რაც შეეხება გახსენებას. რაღაც ნიუსზე რაღაც გამახსენდა. ჯერ ნიუსის სათაური: „იაგო ჩოჩელის, ლაურა ლაჭავასა და გიორგი ისაკაძის კომპანიები მზად არიან, ბანკ „ქართუს“ ზარალი აუნაზღაურონ“. ახლა კი ის, რაც გამახსენდა. ბოლო ადგილობრივი არჩევნების წინ მოხდა ამბავი, რომელიც ზუსტად მახსოვს და რომელსაც დაახლოებით, ისე გავიხსენებ, როგორც ჩემმა მეგობარმა სააგენტომ მაცნობა: „ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო შტაბს მიმართა წერეთლის გამზირზე მცხოვრებმა პენსიონერმა ქალბატონმა, რომელმაც განაცხადა, რომ ტელევიზორის ეკრანზე შალვა ნათელაშვილის გამოჩენამ გააღიზიანა, თავი ვერ შეიკავა და ტელევიზორს ტაფა ესროლა. ბიზნესმენმა ლაურა ლაჭავამ მას შინ ახალი ტელევიზორი მიუტანა“.

არაფერს ვაჭარბებ, ნამდვილად ასე იყო და ვინ იცის, რამდენი ასეთი ტელევიზორი აქვთ ჩამორიგებული პროსტიტუციის ხელშეწყობისთვის დასაჭერი სააკაშვილის გოჭებს, გიორგი ისაკაძეს და სხვებს?

მაინც ვერ გავცდი ტელევიზორს... გასულ კვირაში საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭომ გენდირექტორობის მსურველი 143 კანდიდატიდან მეორე ტურში გადაიყვანა ხუთი, თუმცა 143-ვე რომ გადაეყვანა, საბოლოო შედეგი მაინც ნათელი იქნებოდა. ნათელია, რომ საბოლოოდ, ბარათაშვილი გაიმარჯვებს. ნათელია, რადგან, როგორც ცნობილია, „თუ მოსწავლე გაიმარჯვებს, მასწავლებელს მოვჭრი თავს. თუ გაიმარჯვებს მასწავლებელი, მაინც მასწავლებელს მოვჭრი თავს“. ახლა, როგორ ფიქრობთ, ეს ის ბორდ-ია, რომელიც თავის შვილს დატოვებს თავის გარეშე?

არადა, საზოგადოებრივი მაუწყებლის პრობლემის გადაჭრა სულ იოლადაა შესაძლებელი – ერთი ბულდოზერი და იმის ჯანი! ბიუჯეტიც დაისვენებს და მაყურებელიც, თუმცა სულაც არ მაქვს იმის ილუზია, რომ ეს მალე მოხდება. არც იმის ილუზია მაქვს, რომ ჩემს იდეას – „საქართველო კრაკაძილების გარეშე“ – მალე შევასხამთ ხორცს.

„ვისაც აქვს ილუზია, რომ ჩვენ გავქრებით, მწარედ უნდა გავუცრუოთ იმედები, — ამის შესახებ საპარლამენტო უმცირესობის ლიდერმა, დავით ბაქრაძემ თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოსთან გამართულ აქციაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა. მისი თქმით, დღეს ამ აქციაში მონაწილეობენ იმისთვის, რომ არ შეიძლება დამოუკიდებელი ტელეკომპანიის დირექტორის დაკავება პირველ დაკითხვაზე, თითქოს ბანდიტი იყოს“, – იუწყებოდა ძმადნაფიცი სააგენტო.

ქლიბები არ ქრებიან, ქლიბები ილევიან და ბაქრაძე რომ ქლიბია, ამას თუნდაც, გასულ კვირაში მის მიერ ნათქვამი სიტყვები მოწმობს: „მართალია, 2007 წლის ნოემბერში ტელეკომპანია „იმედში“ სპეცრაზმი შევიდა, მაგრამ მაშინ სხვა დრო იყო“

მომიყვნენ – ასე თქვაო. არ მომისმენია და არ წამიკითხავს, მაგრამ ბაქრაძე ამის მთქმელი ნამდვილად არის, რადგან ბაქრაძე არის ქლიბი და თუ ადრე სწყინდა, ქლიბი რომ არის, დღეს შეუძლია იამაყოს, რადგან დანარჩენები კრაკაძილები არიან.

ამ ქვეყანაში კომკავშირელები, ქლიბები და კრაკაძილები არასოდეს დაილევა. რომც დაილიოს, ეცდებიან და მაინც ამოთხრიან საიდანღაც. მაგალითად, გასულ კვირაში ლერი ხაბელოვმა ამოთხარა ემზარ ზენაიშვილი, კასპში ამოთხარეს ოლეგ იაძე და როგორც მეუბნებიან, ერთი-ორ გამონაკლის უწყებას და ერთი-ორ გამონაკლის რეგიონს თუ არ ჩავთვლით, „ქართული ოცნება“ ისეთ ვინმეებს თხრის... ცოტაც ვაცადოთ, შევხედოთ და, მოთხრა ჩვენი მოგონილია. როგორ თქვა უსუფაშვილმა?..

სოჭის ზამთრის ოლიმპიადაში საქართველოს მონაწილეობის საკითხზე სამოქალაქო მოსმენა გაიმართა. გაიმართა და გაიმართა. სამწუხაროდ, მეტი არაფერი ვიცი. ერთი ის ვიცი, რომ იმ ოლიმპიადაში მონაწილეობა არ ღირს, მაგრამ მერე სანქციებს დაგვაკისრებენ და ამიტომ, ვფიქრობ, რაღაც შუალედური ვარიანტი უნდა ავირჩიოთ. მაგალითად, მივიღოთ მონაწილეობა, მაგრამ არ მოვიპოვოთ ოქროს მედლები ისეთ ტრადიციულ ქართულ სახეობებში, როგორებიც არის ჰოკეი და ბობსლეი.

„ბრალდება ცდილობს, რომ მთავარი აქცენტი დარჩეს მტკიცებულებებზე და არა რაღაც ტიპის განცხადებებზე. სანამ ბრალდებას სჭირდება საკუთარი პოზიციისთვის მოსამზადებელი დრო, ეს დრო იქნება ბოლომდე გამოყენებული. რაც შეეხება ბაჩო ახალიას წინასწარ პატიმრობაში ყოფნას, არაერთი პატიმარი შეხვედრია ახალ წელს ციხეში. ამიტომაც თუ თვითონაც შეხვდება ახალ წელს ციხეში, ამით არაფერი დაშავდება“, — განაცხადა თეა წულუკიანმა.

ისა და... თეა თუთბერიძეს გული რომ წაუვა? წაუვა და წაუვიდეს, წავიდეს ერთი მაგის... ტვინში ჩამახედა, მაგრამ...

მე ახლა წავალ, თქვენ კი ლექსიკონში ჩაიჭყიტეთ.

დეფექტური – ჭკუანაკლული. „ვაი, თქვე დეფექტურებო“ – წამოიძახა აქამდე გაყუჩებულმა გიამ“ (თემურ ჯღარკავა); „დეფექტურია და დეფორმირებული. – ვინაა, ბიჭო, დეფორმირებული, ჰა?“ (გურამ რჩეულიშვილი)

*(ლევან ბრეგაძე, ქართული ჟარგონის ლექსიკონი)*

## პოლიტიკური თამაშები

# ნიკა გვარამიას ფაქტორი

**განათლების ყოფილი მინისტრი სააკაშვილს „საფლავში ჩაჰყვება“ თუ, საკუთარი თავის გადასარჩენად, ახალ ხელისუფლებასთან შეფარვით ითანამშრომლებს**

ზურაბ ლემონჯავა

**მაშ ასე, გენერალური პროკურორის ყოფილ მოადგილესა და განათლების ყოფილ მინისტრ ნიკა გვარამიას თავისუფლება 30 ათასი ლარი დაუჯდა, თუმცა ეს იმას როდი ნიშნავს, რომ გირაოს გადახდის სანაცვლოდ, სამართალდამცავები გვარამიას საერთოდ „შეეშვნენ“. უბრალოდ, ვიდრე საქმე ძიებაშია, „რუსთავი 2“-ის მოქმედი დირექტორი ნარზე არ იწვება. ამასთან, გამორიცხული არაა, გვარამიამ და საერთოდ, „ნაცმოძრაობამ“ ეს 30 ათას ლარად ნაყიდი თავისუფლება მორიგი პოლიტიკური თამაშების დასაგეგმად გამოიყენოს.**

ისე, სიმართლე რომ ითქვას, არავინ ელოდა, ახალი ყაიდის სამართალდამცავები ნიკა გვარამიას თუ მიადგებოდნენ. არჩევნების შემდეგ, გვარამიას „რუსთავი 2“-ის დირექტორად დანიშვნაც ერთგვარი მოულოდნელობა იყო, რადგან სხვა თუ არაფერი, ბოლო რამდენიმე წელია, ანუ მას შემდეგ, რაც განათლების მინისტრის პოსტი დატოვა, ეს ახალგაზრდა პოლიტიკურ არენაზე, პრაქტიკულად, აღარ გამოჩენილა. ერთადერთი, რაც მის შესახებ იყო ცნობილი, ის გახლდათ, რომ მთავრობიდან წასვლის შემდეგ, განათლება დასავლეთში აიმაღლა.

რატომ გახდა 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ აქტუალური ფიგურა ნიკა გვარამია ჯერ „ნაცმოძრაობისთვის“ და შემდეგ — სამართალდამცავებისთვის? „გვარამიას საქმეში“ ყველაზე აქტუალური სწორედ ეს ორი კითხვაა.

კულუარებში მოარული ხმით, „ოცნების“ მთავრობა ისეთ მამხილებელ მასალებს ეძებს, რომლებითაც პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს გადადგომას აიძულებს.

„ვერსიის“ წყაროების თქმით, ნიკა გვარამია სააკაშვილის ცხრაწლიანი პრეზიდენტობის მთავარი მემატიანეა. მართალია, „ნაცმოძრაობის“ სიით, თავის დროზე, დეპუტატიც იყო, მაგრამ იგი „ნაციონალთა“ არც ერთი დაჯგუფების წევრი არ ყოფილა და ყოველთვის სააკაშვილის ინტერესების გამტარებელი გახლდათ. შესაბამისად, პრეზიდენტი მას თვალდახუჭული ენდობოდა და ყველა უკანონობის დეტალებსაც ანდობდა. მაშასადამე, გვარამია საჭიროზე მეტ ინფორმაციას ფლობს. ალბათ, ამიტომაც, მისი „სასათბურე პირობებში“ შენახვა გახდა საჭირო, მით უმეტეს, იმ ფონზე, როცა ახალმა ხელისუფლებამ ყოფილი ჩინოვნიკების დაჭერა დაიწყო. როგორც ჩანს, სააკაშვილი, მიხვდა, რომ სამართალდამცავები, ადრე თუ გვიან, გვარამიასაც მიადგებოდნენ. ამ „უსიამოვნების“ თავიდან ასაცილებლად კი, ყველაზე კარგი ჯავშანი „რუსთავი 2“-ის გენდირექტორობა იყო...

ერთი სიტყვით, მოვლენები სწორედ იმ სცენარით განვითარდა, რომელზეც, სავარაუდოდ, სააკაშვილი ფიქრობდა. მართალია, გვარამია წაყენებულ ბრალდებაში თავს დამნაშავედ არ სცნობს და აცხადებს, რომ მასზე პოლიტიკური დევნა „რუსთავი 2“-ის გენდირექტორობის გამო ხორციელდება, მაგრამ „ვერსიის“ წყაროები ეჭვობენ, რომ განათლების ყოფილმა მინისტრმა შესაძლოა, გამოძიებასთან ითანამშრომლოს და სააკაშვილზე „ფასდაუდებელი ცნობები დაფქვას“.

ამ კონტექსტში გასაგებია, რატომ ატეხა ისტერიკა სააკაშვილმა გვარამიას დაკავების შემდეგ.

კულუარული ცნობითვე, „ოცნების“ ძალოვანებმაც შესანიშნავად იციან, რომ გენპროკურორის ყოფილი მოადგილე სააკაშვილის წინააღმდეგ „ოქროს მოწმეა“ და მასზე სწორედ ამიტომ გავიდნენ, თუმცა „ვერსიის“ წყაროები პირად საუბრებში აღნიშნავენ, რომ სამართალდამცავებმა იჩქარეს და „რუსთავი 2“-ის მოქმედ გენდირექტორს არცთუ დასაბუთებული ბრალდება წაუყენეს... თეორიულად, ცხადია, გამორიცხული არაა, გვარამია რაღაც ფინანსურ მაქინაციებში მართლაც მონაწილეობდა, მაგრამ ვინც მას კარგად იცნობს, ამბობს, რომ ნიკა პედანტია, ანუ კანონს ისე დაარღვევდა, კვალს არ დატოვებდა...

საინტერესო დეტალი: მას შემდეგ, რაც „რუსთავი 2“-ის გენერალურ დირექტორად დაინიშნა, ერთ დროს „გამარჯვებული ხალხის“ ტელევიზიაში მინი-ბუნტი დაიწყო — ჟურნალისტებმა ხელფასების, მაქსიმუმ, ათი პროცენტით დაკლება გააპროტესტეს, თუმცა ინფორმირებული წყაროები ამბობენ, რომ „კურიერელების“ მთავარი უკმაყოფილება გვარამიას პერსონამ გამოიწვია. „რუსთავი 2“-ის საინფორმაციო სამსახურის უფროსს, ნინო შუბლაძეს, რომელიც ბუნტის თაობაზე გვარამიას ხვდებოდა, შეხვედრის დაწყებამდე, ჟურნალისტებისთვის უკითხავს, ხელფასების გარდა, კიდევ რა პრეტენზია გაქვთ, რომ ნიკას გადავცეთო. ჟურნალისტების პასუხი ლაკონური ყოფილა — არ გვინდა, ჩვენი ხელმძღვანელი ყოფილი პროკურორი იყოსო...

სხვათა შორის, „რუსთავი 2“-ში ბუნტი „ვარდების რევოლუციის“ შემდეგაც დაიწყო და მაშინაც — ხელფასების საბაბით. მოარული ინფორმაციით, იმჟამინდელ ბუნტს — არც მეტი, არც ნაკლები — გურამ დონაძე ხელმძღვანელობდა, რომელსაც ეროსი კიწმარიშვილისთვის, რომელიც მაშინ ტელევიზიის ერთ-ერთი მეწილე და ხელმძღვანელი იყო, განუცხადებია, რევოლუციამ ჩვენს კისერზე გადაიარა და ხელფასები უნდა გაგვიორმაგოო.

მართალია, გურამ დინაძე რევოლუციის „ავტომანქანების ჯაჭვის“ ავტორი გახლდათ, მაგრამ კიწმარიშვილს მისი ულტიმატუმი არ დაუკმაყოფილებია, თუმცა „ვარდების რევოლუცია“ დონაძეს მაინც ხეირად ექცა — „ნაციონალებმა“ შს სამინისტროს პრესსამსახურის ხელმძღვანელად დანიშნეს. ამასთან, ცალკეული პოლიტიკური წრეები მიიჩნევენ, რომ დონაძე, 9 წლის განმავლობაში, „კრიმინალური ქრონიკის“ „რუხი კარდინალი“ იყო, ანუ ყველა არასასურველი საქმის ფაბრიკაცია მისი ხელდასხმით ხდებოდა...

მეორდებოდა თუ არა „რუსთავი 2“-ში ნიკა გვარამიას გენდირექტორად დანიშვნის შემდეგ „დონაძის სცენარი“? — ამ თემაზე მსჯელობა შორს წაგვიყვანს. ფაქტი ისაა, რომ ნიკა გვარამია როგორც სააკაშვილისთვის, ასევე, „ოცნებისთვის“, ფასდაუდებელი პერსონაა. ახლა კი, ყველაფერი თავად გვარამიაზეა დამოკიდებული — სააკაშვილს „საფლავში ჩაჰყვება“ თუ, საკუთარი თავის გადასარჩენად, ახალ ხელისუფლებასთან შეფარვით ითანამშრომლებს.

სხვათა შორის, ნიკა გვარამია აცხადებს, რომ ძალოვანები მისი საშუალებით ვანო მერაბიშვილზე გასვლას ცდილობენ. ეს ვერსია, შესაძლოა, არცთუ უსაფუძვლოა, მით უმეტეს, რომ სამართალდამცავები მერაბიშვილის პერსონით უკვე დაინტერესებულნი არიან, თუმცა „ყალბი პასპორტის“ ბრალდება, რომლის გამოც, შს ყოფილ მინისტრს დაკითხვებზე უწევს სიარული, ისეთი არგუმენტი არაა, რომელსაც, როგორც იტყვიან, წყალი არ გაუვა...

ერთი სიტყვით, „გვარამიას საქმე“, სხვა დაკავებულ-გაშვებული „ნაციონალების“ საქმეებისგან ერთობ განსხვავებულია, რომელიც ქართულ პოლიტიკაში შესაძლოა, ახალი თამაშის დაწყების საბაბი გახდეს...

## კულუარები

**„ვერსიამ“ სასამართლოს ბოლოდროინდელ სკანდალებთან დაკავშირებული ნათესაური კავშირები გაშიფრა**

# მოსამართლე, რომლის თანაშემწესაც სპეცსამსახურები „ავერბოვკებდნენ“, კოტე კუბლაშვილის პირველი მოადგილის დეიდაა

ანა დადიანი

**გასული კვირა შეჩვეული და გაცრეცილი სკანდალებით იყო სავსე. წინა მთავრობის გადამკიდე, დაჭერებით, აბა, ვილას გააკვირვებ, თუმცა ეს პროცედურაც ახალი ნიუანსით შეივსო – ერთი და იგივე ადამიანის რამდენჯერმე დაჭერა-გაშვებით. ერთნი ამბობენ, ესენიც ბიუჯეტს ავსებენო, მეორენი, — სასამართლო ძლივს თავისუფალი და დამოუკიდებელი გახდაო. ფაქტია: ძველი მთავრობის ცნობილი სახეებიდან ციხეს ჯერჯერობით, მხოლოდ ორი — ბაჩო ახალაია და შოთა ხიზანიშვილი „ამაგრებენ“. დაჭერები იქით იყოს და, „ვერსიის“ ყურადღების ცენტრში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, კოტე კუბლაშვილის სკანდალური განცხადება მოექცა, რომლის თანახმადაც, სპეცსამსახურები საქალაქო სასამართლოს თანამშრომლის „დავერბოვკებას“ ცდილობდნენ.**

**კუბლაშვილის** ამ განაცხადზე პროკურატურაში საქმე აღიძრა და მსვლელობაც მიეცა. კომენტარი უმრავლესობამაც გააკეთა და უმცირესობამაც, პირველმა — თავშეკავებული, მეორემ — აღშფოთებული. ზაქარია ქუცნაშვილმა კი, ტელეეკრანიდან მორიდებით აღნიშნა, ჯერ გასარკვევია, ეს ადამიანი ჩაკეტილ ოთახში ძალით მიიყვანეს თუ ნებით მივიდაო... ცხადია, ამ აზრსაც ისევე აქვს არსებობის უფლება, როგორც ახალ პარლამენტს — პირველივე სასესიო სეზონზე პრეზერვატივების ნაირსახეობაზე იმსჯელოს. ამასობაში კი, მედიით მოსამართლის თანაშემწის საჩივარიც გავრცელდა, რომლის შინაარსიც, დაახლოებით, ასეთია: ახალი მთავრობის სპეცსამსახურებმა გადაწყვიტეს, საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის, მამუკა ახვლედიანის პირადი ცხოვრებისა და ამავე ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეთა ოთახების არქიტექტურულ-ტექნიკური ნიუანსები გაერკვიათ, რისთვისაც ერთ-ერთი მოსამართლის თანაშემწის „დავერბოვკება“ ძალადობრივი მეთოდებით სცადეს, მაგრამ ამ უკანასკნელმა გამოიჩინა „სამოქალაქო გმირობა“ და ყველაფერი ხელმძღვანელობას აუწყა.

ყველაფერი ეს უამრავ კითხვას ბადებს, რომელსაც პასუხი გამოძიებამ უნდა გასცეს. ამ ეტაპზე კი, „ვერსია“ საქმის პერსონაჟებით დაინტერესდა, რადგან ისეთი „სამოქალაქო შეგნება“, როგორიც მოსამართლის თანაშემწემ გამოიჩინა, დღევანდელ საქართველოში, მართლაც, სანთლით საძებარია. როგორც ინფორმირებულმა წყარომ დაგვიდასტურა, დაზარალებული საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის მოსამართლის, ლიანა ორკოდაშვილის თანაშემწე ია ბარამიძეა. თავად ქალბატონი ლიანა კი, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, კოტე კუბლაშვილის პირველი მოადგილის, ზაზა მეიშვილის ალალი დეიდაა. საკმაოდ უცნაური წრე შეიკრა, თუმცა შესაძლებელია, რომ ყველაფერი ეს მხოლოდ უბრალოდ დამთხვევაა და მეტი არაფერი

ისე, სასამართლოს ბოლო დღეების სკანდალებთან კიდევ ერთ გმირია დაკავშირებული — გიორგი ნემსიწვერიძე, რომელიც ნიკა გვარამიასთან, ალეკო ხეთაგურთან, დევი კანდელაკსა და კახა დამენიასთან ერთად დააკავეს და მერე, სასამართლომ გირაოთი გაათავისუფლა, უზენაეს სასამართლოში მანდატურად მუშაობდა. როგორ მოხვდა ნემსიწვერიძე ამ გაუგებრობაში? — ამას ინფორმირებული წყარო მარტივად ხსნის: ნემსიწვერიძე ნიკა გვარამიას უახლოესი მეგობარია, რომელსაც ბოლომდე ენდობოდა. სქემაში ჩართულ დანარჩენ პირებთან მას მხოლოდ ეს აკავშირებს.

სასამართლო ხელისუფლების გარშემო წრე ნელ-ნელა ვიწროვდება. საერთოდ, სასამართლო სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი რგოლია, რომელზე ზეგავლენის მოპოვებასაც (მეტ-ნაკლები მონდომებით) ყველა ხელისუფლება ცდილობს. რამდენიც უნდა ამტკიცონ პოლიტიკურ ავანსცენაზე მოქმედმა მთავარმა პოლიტიკურმა ძალებმა, რომ სასამართლო ხელშეუხებელია და მასზე ზეწოლა არ შეიძლება, ისინი ამას მაინც დაჟინებით და მეთოდურად ცდილობენ, რადგანაც იციან, რომ არსებულ დაპირისპირებაში გადამწყვეტ როლს სწორედ სასამართლო შეასრულებს.

## სამართალი

# ბაჩო ახალაიას მეგობარი თენგიზ გუნავა ირაკლი ღარიბაშვილის დაპატიმრებას ითხოვს

თამარ მელქაძე

**„ჩემი ინფორმაციით, დაკავების დროს ბატონი გუნავა იმყოფებოდა ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ. შემდეგ, გამოიკვეთა ახალი გარემოებები. მოვისმინეთ დამოუკიდებელი ექსპერტიზის დასკვნა. ამავდროულად, მინდა, ხაზი გავუსვა, რომ არსებობს ექსპერტის დასკვნა, რომელიც ადასტურებს, რომ დაკავების მომენტისთვის გუნავა იმყოფებოდა ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ. შესაბამისად, რა ინფორმაციაც მქონდა, ის ინფორმაცია გადავეცი საზოგადოებას... ეს გაცხადებული მესიჯია ჩვენი მთავრობის, ბატონი პრემიერის, რომ ჩვენ აღარ ჩავუდებთ არც ნარკოტიკს, არც — იარაღს, უკანონოდ აღარ დავაპატიმრებთ მოქალაქეებს. შესაბამისად, ჩემს ინტერესებშია, გამოძიებულ იქნას თითოეული დეტალი და დადგინდეს ობიექტური რეალობა. სწორედ ამიტომ დავავალე გენინსპექციას, დაეწყო შიდასამსახურეობრივი მოკვლევა. გამოვლინდა მთელი რიგი პროცესუალური ნორმების დარღვევები და დისციპლინარული გადაცდომა. შესაბამისად, მე, როგორც მინისტრმა, მივიღე გადაწყვეტილება, გამეთავისუფლებინა ის 5 თანამშრომელი, ვინც უშუალოდ იყო ჩართული გუნავას დაკავების პროცესში. აქვე, მინდა დავაზუსტო, რომ გამოძიება გრძელდება. ჩემი ინფორმაციით, საბოლოო დეტალები ძალიან მალე გახდება ცნობილი და მოგიწოდებთ ყველას, მათ შორის, გუნავას, დაელოდოთ გამოძიების დასრულებას. მეც მაინტერესებს საბოლოო დასკვნა. პირობას გაძლევთ, რომ კანონს არ დავარღვევთ. ეს არის ჩვენი მთავარი მესიჯი — უკანონოდ არავის დავაპატიმრებთ. არ შეიძლება ყველაფრის**



**პოლიტიზირება. გარანტიას ვაძლევ ყველას, განურჩევლად პოლიტიკური შეხედულებებისა, რომ ყველა საქმეს მაქსიმალურად ობიექტურად გამოვიძიებთ და უსამართლობას არ დავუშვებთ. მე ვარ ამის გარანტი“,** — აცხადებს შს მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი თენგიზ გუნავას საქმეზე საუბრისას. თავის მხრივ, შს სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსანი, სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოსა და გენერალური ინსპექციის ყოფილი უფროსი თენგიზ გუნავა, რომელიც სასამართლომ გირაოს თავდებობით გაათავისუფლა, შს მინისტრს დევნაში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ ობიექტური გამოძიების პირობებში, განსასჯელის სკამზე თავად ირაკლი ღარიბაშვილი და მისი მოადგილეები აღმოჩნდებიან.

შეგახსენებთ: თენგიზ გუნავას ბრალი იარაღის უკანონო ტარებასა და ნარკოტიკების მოხმარებაში ედებოდა, მაგრამ სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნაში წერია, რომ მის ორგანიზმში ნარკოტიკული ნივთიერება არ აღმოჩნდა. მართალია, გუნავას საქმეზე, როგორც მინისტრი ღარიბაშვილი ამბობს, პოლიციიდან ხუთი პირი დაითხოვეს, მაგრამ მიუხედავად ამისა, გუნავა გამოძიებას უნდობლობას უცხადებს და ითხოვს, გამოძიება პროკურატურამ აწარმოოს... ამასთან, გუნავა ირწმუნება, რომ მასზე პოლიტიკური დევნა ბაჩო ახალაიასთან მეგობრობის გამო ხორციელდება.

**თენგიზ გუნავა: — აბსურდია, როცა ჩემს საქმესთან დაკავშირებით, შს სამინისტროდან მხოლოდ 5 ადამიანს უშვებენ. ჩემს წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულში ფიგურირებენ — ირაკლი ღარიბაშვილი, მისი მოადგილე ალეკო ტაბატაძე, რომელიც კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტს კურირებს და ამ დეპარტამენტის დირექტორი დავით ბედია. ღარიბაშვილი რომ არა, ეს ადამიანები ჩემს წინააღმდეგ ვერაფერს მოიმოქმედებდნენ. თუ ობიექტური გამოძიება ჩატარდება, განსასჯელის სკამზე თავად მინისტრი და მისი მოადგილეები უნდა დასხდნენ, თუმცა არსებული პოლიტიკური რეალობის გათვალისწინებით, ამის ილუზია ნამდვილად არ მაქვს. მიუხედავად ამისა, ყველა სამართლებრივი ფორმით ვიბრძოლებ და ვეცდები, ჩემი სიმართლე დავამტკიცო. შს სამინისტროს წინააღმდეგ სარჩელი მაქვს შეტანილი, მაგრამ მოწმის სახით, მხოლოდ ერთხელ დამკითხეს. მოვითხოვ, დაზარალებულად მცნონ, მაგრამ პროცესი ჭიანურდება. ვნახოთ, როგორ დასრულდება გამოძიება.**



# უნდა შეხვდეს თუ არა ივანიშვილი პუტინს



## „დღევანდელმა ოპოზიციამ ერთი, გვითხრას, მთელი ცხრა წელი თავ-პირი რომ წაგვჭამა, რუსეთი დავაჩოქეთო, რეალურად, ივანიშვილს რა დაუტოვა — სახელმწიფო თუ თოთო ბავშვი?!“

მერაბ ბერიძე

**თბილისმა და მოსკოვმა ბრიუსელში მოლაპარაკების პირველი მოთელვა გაიარეს — ორივე მხარე კმაყოფილია და დიალოგის გაგრძელებას აპირებს, თუმცა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების აღიარება გადაულახავ პრობლემად რჩება და იმაზე საუბარს, რა ეტაპზე დადგება ეს საკითხი დღის წესრიგში მთელი სიმწვავით, არავინ ჩქარობს. გრიგორი კარასინთან შეხვედრის შემდეგ, რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა, ზურაბ აბაშიძემ განაცხადა: „ჩვენ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობები, ფაქტობრივად, ჩიხშია და საჭიროა ამ ჩიხიდან გამოსავლის ძიება. შეხვედრაზე, დასაწყისისთვის სასაუბროდ, განვსაზღვრეთ სავაჭრო, ტრანსპორტის, ჰუმანიტარულ-კულტურული ურთიერთობების საკითხები და რეგულარული საავიაციო მიმოსვლის აღდგენის თემა. მოვილაპარაკეთ, რომ ჩვენი დიალოგი გაგრძელდება რეგულარულად და ვიმსჯელეთ ამ ფორმატის ტექნიკურ ასპექტებზე“. აბაშიძის თქმითვე, პირველ ოქტომბერს ამომრჩეველთა უდიდესი ნაწილის მანდატი რუსეთთან საერთო ენის გამონახვა იყო: „...გადავდგით ეს ნაბიჯი, რადგან ჩვენი დასავლელი პარტნიორები, მრავალი წლის განმავლობაში მოგვიწოდებდნენ, დაგვეწყო რუსეთთან საუბარი. არ შემხვედრია სოლიდური დასავლელი პოლიტიკოსი, ან დიპლომატი, რომელსაც საწინააღმდეგო რამ ერჩია. ჩვენ ამ ნაბიჯს მიესალმნენ დასავლელი პარტნიორები, თითქმის ყოველდღიურად მაქვს მათთან შეხვედრები და მესმის მხოლოდ მხარდაჭერის სიტყვები... ხაზგასმით ვაცხადებ, რომ ჩვენი სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და საერთაშორისო ურთიერთობების თავისუფალი არჩევანის საკითხები დავის საგანი არ და ვერ გახდება“. აბაშიძე ირწმუნება, რომ ქართული პროდუქციის რუსულ ბაზარზე დაბრუნების სანაცვლოდ, რამის დათმობის საკითხი არ დგას. პირიქით, ვინაიდან საქართველო რუსეთს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებაში დაეხმარა, ახლა ეს რუსეთის კეთილი ნება კი არა, საერთაშორისო ვალდებულებაა. მისივე თქმით, ქართული პროდუქციის რუსულ ბაზარზე დაბრუნება საქართველოს გააძლიერებს... აბაშიძე განმარტავს, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან პირველ შეხვედრაზე საქართველოს შიდაპოლიტიკური სიტუაციის განხილვა არ ყოფილა.**

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი, უახლოეს მომავალში, რუსეთის პრეზიდენტთან, ან პრემიერ-მინისტრთან შეხვედრას არ გეგმავს, თუმცა ბიძინა ივანიშვილი იმედოვნებს, რომ ეს შეხვედრა, ადრე თუ გვიან, აუცილებლად შედგება.** „ჩვენ მოვახერხებთ რუსეთთან ურთიერთობის დალაგებას, აღვადგენთ ტერიტორიულ მთლიანობას და ყველაფერს, რაც კანონით ეკუთვნის საქართველოს“, — **აცხადებს ივანიშვილი.**

**რაც შეეხება რუსეთის პრეზიდენტს, ვლადიმერ პუტინი საქართველოს ახალი ხელისუფლებისგან „თავშეკავებულ, მაგრამ პოზიტიურ სიგნალებს“ ხედავს... პუტინის განცხადებით, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა ჩიხში საქართველოს მოქმედმა პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა შეიყვანა, საიდანაც გამოსვლა რთულია. ამასთან, რუსეთის პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ რუსეთი უკან ვერ წაიღებს აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარებას.** „თავის მხრივ, არც საქართველოს მთავრობა აპირებს ამ ტერიტორიების დამოუკიდებლობის აღიარებას და აქედან გამომდინარე, ვერც კი წარმომიდგენია, ამ შემთხვევაში, რა შეიძლება მოხდეს“, — **ამბობს პუტინი.**

**საპარლამენტო უმცირესობის წევრის, გიორგი კანდელაკის განცხადებით, რუსეთთან ურთიერთობის სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნით, საქართველო კრემლთან პირისპირ მარტო დარჩა. პოლიტოლოგი გია ნოდია კი, რუსეთთან იმ პირობით მოლაპარაკებას, რომელიც ახლა ჩანს, „პოლიტიკურ უკანდახევად“ აფასებს. ყოფილი საგარეო მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი აცხადებს, რომ რუსეთთან, როგორც პარტნიორთან, დამატებითი გარანტიებია საჭირო და, მიუხედავად იმისა, რომ ქართულ-რუსულ ურთიერთობებში გარანტიები ჯერჯერობით, არ არსებობს, ქვეყნებს შორის კონტაქტი მაინც უნდა გაგრძელდეს.**

**საქართველოს რეფორმების ასოციაციის თანადამფუძნებლის, ელენე ხოშტარიას განცხადებით, რუსეთი სანდო პარტნიორი რომ იყოს, სადაც მოლაპარაკებების შედეგად მიაღწევ შეთანხმებას, პრობლემა არ გვექნებოდა,** „მაგრამ რუსეთი არის ის სახელმწიფო, რომელიც გრძნობს, ჩვენზე მეტი ძალა აქვს და შეუძლია, თავისი ინტერესები ისე გაიტანოს, ჩვენს ინტერესებს პატივი არ სცეს“. **საგარეო უწყების ყოფილი ხელმძღვანელის, გრიგოლ ვაშაძის განაცხადებით კი, მოლაპარაკებები სრული ტრიუმფითაც რომ დასრულდეს, გარანტია არ არსებობს, რომ რუსეთი ისევე არ მოიქცევა, როგორც — აშშ-ს „მაგნიტსკის სიის“ მიღების შემდეგ.**

**ექსპერტი თორნიკე შარაშენიძე ამბობს, რომ რუსულმა მხარემ ამ მოლაპარაკების სანაცვლოდ, შედეგი უკვე მიიღო — აღდგა რუსული ტელეარხების ტრანსლირება და ციხიდან გათავისუფლდნენ „შპიონაჟში“ ბრალდებული ადამიანები. მისივე თქმით, ახალმა ხელისუფლებამ რუსეთთან მოლაპარაკებები, ყოველგვარი წინაპირობების გარეშე, უნდა აწარმოოს.**

**არსებულ რეალობასა და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის პერსპექტივებზე „ვერსია“ პოლიტოლოგ სოსო ცინცაძეს ესაუბრა:**

— აბაშიძე-კარასინის შეხვედრაზე პერსპექტივები რომ გამოჩენილიყო, ივანიშვილი იძულებული არ გახდებოდა, დიალოგში ჩართვის სურვილი თავად გამოეთქვა. აბაშიძე-კარასინის დუეტი თავიდანვე იყო განწირული, ანუ ეს ის დონე არ გახლდათ, რომელიც გვირაბის ბოლოს სინათლეს გამოაჩენდა. ჩიხი იმდენად ღრმა, კრიზისი კი, იმდენად სერიოზულია, რომ საჭიროა, მოლაპარაკების მაგიდას მიუსხდნენ პირები, ვისაც რეალური გადაწყვეტილებების მიღება შეუძლია. ბრიუსელში მხოლოდ საწყისი რიტუალი შესრულდა — ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და თქვეს, კიდევ უნდა შევხვდეთო. ამავე დროს, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენაც გადაწყვეტილია — რუსული ბიზნესი საქართველოში მწვანე შუქითაა შემოსული. რაც შეეხება ქართულ ბიზნესს, ღვინისა და „ბორჯომის“ საკითხიც მოგვარებულია. რუსეთი ვერ შეძლებს, ერთდროულად, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრიც იყოს და ხელოვნურად, პოლიტიკური საბაბით, ქართულ პროდუქციას ემბარგო დაუწესოს. მოსკოვშიც მშვენივრად ხვდებიან, რომ მსო-ში პოლიტიკური მოტივაციით განპირობებული კაპრიზები მაინცდამაინც, კარგ ტონად არ მიიჩნევა. ამ თვალსაზრისით, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციამ, თავისი არსებობის განმავლობაში, ძალიან ეფექტური, თუნდაც გაერო-ზე კონტროლისა და სანქციების სისტემა შექმნა. თბილისსა და მოსკოვს შორის მიმოსვლა ისედაც არის და თვითმფრინავები დაფრინავენ — თვე არ გავა, ჩვენთან რომელიმე რუსული დელეგაცია არ ჩამოვიდეს. სხვა მხრივ, აბაშიძე-კარასინის დუეტმა თავისი შესაძლებლობები პირველივე შეხვედრაზე ამოწურა და ახლა ორმხრივი მოლაპარაკების სხვა დონეა საჭირო.

— **დღევანდელი ოპოზიციის, ანუ „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლები აცხადებენ, არ შეიძლება, მოსკოვთან მოლაპარაკებაზე ერთიერთზე დაჯდეო. ეს პოზიცია გასაზიარებელია?**

— კაპიტულანტური მიდგომაა: ჩვენ ისეთი სუსტები ვართ, რომ რუსებთან ღირსეულად ლაპარაკიც კი არ შეგვიძლია? გრიგოლ ვაშაძემ გააჟღერა, შუამავალი უნდა გვყავდესო. კი, ბატონო, საქართველო რუსეთთან მარტო ომს ვერ შეძლებს, მაგრამ თურმე, საუბარსაც ვერ მოვახერხებთ. ეს დამამცირებელია სახელმწიფოსთვის, რომელსაც პრეტენზია სუვერენულობასა და დამოუკიდებლობაზე აქვს. თურმე, ისიც აღარ შეგვძლებია, რაღაცაზე ვთქვათ, მოგვწონსო და კარი გამოვიხუროთ. მაშინ, საერთოდ, ვართ სახელმწიფო? დღევანდელმა ოპოზიციამ ერთი, გვითხრას, მთელი ცხრა წელი თავ-პირი რომ წაგვჭამა, მსოფლიოში ყველაზე მაგრები ვართ და, თურმე, რუსეთი დავაჩოქეთ, რეალურად, ივანიშვილს რა დაუტოვა — სახელმწიფო თუ თოთო ბავშვი, რომელიც, თუ ძიძამ ხელი არ მოჰკიდა, ვერ გაივლის და წაიქცევა?!

ვაშაძისგან ასეთი პოზიცია გასაკვირი არაა — ყველა მისი განცხადების მიღმა ინფანტილიზმი იმალებოდა. მას, თავის დროზე, იმდენი სისულელე აქვს დახეთქებული, ერთით მეტი, ან ნაკლები არაფერს ცვლის. სხვებისგან, უფრო სერიოზული ხალხისგან მიკვირს. ნუთუ, უმცირესობაში ვაშაძეზე სერიოზული ხალხი აღარ მოიპოვება? ჩემთვის ასეთი პოზიცია არათუ მიუღებელი, აღმაშფოთებელიცაა. ჩვენ, რა, ლაპარაკის უნარიც დავკარგეთ თუნდაც დიდ მეზობელთან? აუცილებლად გვერდით ვინმე ბიძა, დიდი მფარველი უნდა გვედგეს? ასე არ შეიძლება და სჯობს, უმცირესობამ იფიქროს, ასეთი სისულელეებს საზოგადოებაში რა განწყობა მოჰყვება.

— **საქართველოსა და რუსეთის პირველი პირების შეხვედრა რა ეტაპზეა შესაძლებელი?**

— ამ შეხვედრას სერიოზული დაგეგმვა უნდა. საერთოდ, შეხვედრა თვითმიზანი არ არის და მას თვეობით ამზადებენ, მაგრამ როგორც ჩანს, ქართულ დიპლომატიას ამხელა დრო არ აქვს, თან გააჩნია, ვისთან იქნება ეს აუდიენცია. ჩემი აზრით, ივანიშვილი პრემიერ მედვედევთან შეხვედრას არ უნდა დათანხმდეს. პრემიერი ერქმევა, პრეზიდენტი თუ რამე სხვა, ივანიშვილი ქვეყნის ფაქტობრივი პირველი პირია. რუსეთი საქართველოს კონსტიტუციურად პირველ პირს არ ხვდება. ის თანახმაა, რეალურ პირველ პირს შეხვდეს. ამიტომ, მეორე მხრიდანაც ვიზავი პრეზიდენტი უნდა იყოს. ჩემი აზრით, ეფექტის მისაღწევად ეს შეხვედრა არ უნდა დაგვიანდეს. სხვანაირად, ინტერესი გაქრება. რკინა მანამ უნდა დაჭედო, სანამ ცხელია. ორივე საზოგადოებაში ახლა ასეთი განწყობაა, რაც ორივე ლიდერისთვის ერთ-ერთი სერიოზული სტიმულია და ეს სტიმული არ უნდა ჩაქრეს. ამასთან, ჩვენს ქვეყნებს შორის ის მდგომარეობა არაა, როცა ლიდერების შეხვედრა ჩვეულებრივი, სამუშაო სახის იქნება. კრეატიული გადაწყვეტილებების მიღებაა აუცილებელი... ძნელად წარმომიდგენია, ქართული მხრიდან რა ტიპის კომპრომისზეა საუბარი. არ შეიძლება, პირველი პირები შეხვდნენ და იმაზე ისაუბრონ, თუ რა ანსამბლები ჩამოვა რუსეთიდან თბილისში და პირიქით, ან წელიწადში რამდენი ბოთლი „ბორჯომი“ შევა რუსულ ბაზარზე. ეს პირველი პირების გადასაწყვეტი საკითხი არაა.

— **ბატონო სოსო, თქვენი აზრით, ეს „კრეატიული გადაწყვეტილება“ როგორი უნდა იყოს?**

— ვერ გეტყვით, ეს შეიძლება, მტკივნეულიც იყოს, მაგრამ — აუცილებელი. ამ თვალსაზრისით, შეიძლება, საზოგადოებაში კონსენსუსიც არ არსებობდეს. რუსეთთან ურთიერთობის დეკორატიულად და მოჩვენებითად მოწესრიგება არაფერს მოგვიტანს. ბევრი რამ დასავლეთის პოზიციაზეცაა დამოკიდებული — იქ ზოგიერთი წრე ნერვიულად განიცდის ყველაფერ ამას. ცოტა უცნაურია, ბოლო 10-15 წელია, დასავლეთიდან გვესმის, რომ უნდა დავარეგულიროთ ურთიერთობა მოსკოვთან. ახლა კი, უცებ, ბარიერებს ქმნის და გვეუბნება, რაღაც წითელი ხაზები არ გადავკვეთოთ — რუსეთთან დამეგობრების სანაცვლოდ, ამერიკასთან მეგობრობის დაკარგვას მიიღებთო. გასათვალისწინებელია, როცა ამას ისეთი ავტორიტეტი აცხადებს, როგორიც ზბიგნევ ბჟეზინსკია.

— **ყველას კარგად ესმის, რომ მთავარი, ოკუპირებული ტერიტორიების აღიარების პრობლემაა... ყურადღება, ალბათ, გენერალ პატრუშევის განცხადებასაც მიაქციეთ...**

— მაგიდაზე პატრუშევის განცხადების სრული ტექსტი მიდევს. რუსეთი ისე აჩვენებს, რომ თითქოს არ ანაღვლებს საქართველოსთან ასეთი ურთიერთობა, თუ გინდათ, მოდით და ვილაპარაკოთ, ეს ტერიტორიები ვაღიარეთ და იქიდან ჯარებს არ გავიყვანთო. მისთვის, ვისაც რუსეთის ისტორია, ივანე მრისხანედან დღემდე, ოდნავ მაინც შეუსწავლია, ყველაფერი ნათელია — დღევანდელ რუსეთს სტიმული არ აქვს, ის დათმოს, რაც მიიღო. არც გარეგავლენა და არც ქვეყნის შიდა სიტუაციაა ისეთი კრიზისული, იძულებული გახდეს, კომპრომისზე წავიდეს. კრემლში ნამდვილად ვერ ხედავენ აუცილებლობას, სერიოზულ დათმობაზე წავიდნენ. ევროპა რუსულ ენერგომატარებლებზე სულ უფრო მეტადაა დამოკიდებული. ამერიკაშიც კრიზისი თუ კრიზისის ნიშნებია. ობამას სხვა გზა არ აქვს, თუ არა უკვე მიცვალებული „გადატვირთვის“ გაგრძელება. ნავთობზე მაღალი ფასების გათვალისწინებით, რუსეთი დათმობაზე არ წავა. ამავე დროს, ქართული მხარეც არ ჩამოყალიბებულა, რის ფასად უღირს მოსკოვთან ეს ურთიერთობა.

## ვერსიანიუსი

### შემოსავლების სამსახური პრეზიდენტს პასუხობს

„საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლები და პირადი შემადგენლობა სამსახურებრივ უფლებამოსილებას ისევე ასრულებენ, როგორც — საპარლამენტო არჩევნებამდე“, — ასე პასუხობს შემოსავლების სამსახური საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადებას, რომლის თანახმადაც, სარფის საბაჟოზე ქრთამის აღება მასობრივად დაიწყო.

**„სსიპ შემოსავლების სამსახურის სახელით ვაცხადებთ, შემოსავლების სამსახურის, საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლები და პირადი შემადგენლობა არჩევნების შემდეგ არ შეცვლილა. ისინი საკუთარ სამსახურეობრივ უფლებამოსილებას დღესაც ისე ახორციელებენ, როგორც ამას 2012 წლის პირველ ოქტომბრამდე აკეთებდნენ. შესაბამისად, ჩნდება კითხვა, როდის იყო პრეზიდენტი გულწრფელი — როდესაც ის უმაღლეს შეფასებას აძლევდა ქართველი მებაჟის საქმიანობას, თუ დღეს, როდესაც მებაჟეების მიერ ქრთამის აღების ფაქტებზე საუბრობს?“,** — ნათქვამია შემოსავლების სამსახურის განცხადებაში.

ამავე განცხადების თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში მებაჟეების მიერ მასობრივად ქრთამის აღების შესახებ ინფორმაცია აღარ იძებნება, თუმცა პრეზიდენტის სიტყვები დაცულია მისი განცხადების ამსახველ ვიდეოჩანაწერებსა და სააგენტოების მიერ გავრცელებულ ინფორმაციებში.

**„ჩვენ მზად ვართ, მივიღოთ, განვიხილოთ და კანონის სრული სიმკაცრით მოვახდინოთ რეაგირება ჩვენი თანამშრომლების მიერ ჩადენილი დანაშაულის თითოეულ ფაქტზე, რისთვისაც ვთხოვთ საქართველოს პრეზიდენტს, წარმოგვიდგინოს მის ხელთ არსებული, დანაშაულის მამხილებელი ფაქტები. წინააღმდეგ შემთხვევაში, აღნიშნულ განცხადებას განვიხილავთ როგორც იაფფასიან, პოლიტიკურ დემაგოგიას და სახელმწიფო ინსტიტუტების დისკრედიტაციისკენ, ამ ინსტიტუტების თანამშრომლების ცილისწამებისკენ მიმართულ ქმედებას“,** — აცხადებენ შემოსავლების სამსახურში.

*„მედიანიუსი“*

GEORGIANAMERICANALLOYS

გილოცავთ შობა-ახალ წელს!

# ნიკა გვარამია დავით კეზერაშვილის ცოლის დაქალმა „ჩაუშვა“?!



მაია მიშელაძე
ეკონომიკა



## მოწმეთა სკანდალური ჩვენებები და მტკიცებულებები

**ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ყოფილი მაღალჩინოსნების — ალეკო ხეთაგურის, ნიკა გვარამიასა და კახა დამენიას საქმეზე მტკიცებულებების ნაწილი, მათ შორის, ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნაც გამოაქვეყნა, რომელიც ერთ-ერთ მთავარ მტკიცებულებას წარმოადგენს — სწორედ ამ დოკუმენტით დასტურდება, რომ შპს „ელენდეფ სერვისი“ ფიქტიურად შეიქმნა. მეტიც, მოწმეთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, შპს „ფიუჩარ პროდაქტს კომპანის“ ფინანსური მრჩევლის, მოწმე ქეთევან ბადაშვილის ჩვენებაა, რის საფუძველზეც, გამოძიება ნიკა გვარამიაზე გავიდა. აღსანიშნავია, რომ ქეთევან ბადაშვილი თავდაცვის ექსმინისტრის, დავით კეზერაშვილის მეუღლის, სოფიო ჩიქოვანის სკოლის მეგობარია.**

### ახალი მტკიცებულებები

ე.წ. გვარამიას საქმეზე ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსმა გამომძიებელმა, ლევან მიქაბერიძემ გამოძიება 2012 წლის 8 ნოემბერს დაიწყო. გამომძიებელი შპს „ელენდეფ სერვისის“ საქმიანობით იმიტომ დაინტერესდა, რომ გიორგი ნემსიწვერიძემ, ქონებრივი სარგებლის მიღების მიზნით და სამეწარმეო საქმიანობის განზრახვის გარეშე, 2012 წლის 26 ივლისს, ერთპიროვნულად, შპს „ელენდეფ სერვისი“, საიდენტიფიკაციო კოდით — 404953252, დააფუძნა. ყოფილი მაღალჩინოსნების კვალზე კი, ზემოხსენებული უწყება, ძიების მიმდინარეობისას, მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე გავიდა.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა მტკიცებულებებით, „თელასსა“ და შპს „ელენდეფ სერვისს“ შორის ხელშეკრულება 2012 წლის 22 აგვისტოს, ანუ კომპანიის რეგისტრაციიდან ზუსტად ერთ თვეში გაფორმდა. რაც მთავარია, ხელშეკრულების პირობების თანახმად, „თელასი“, „ხრამჰესი 1“, „ხრამჰესი 2“ და „მტკვარი ენერგეტიკა“ ვალდებულები იყვნენ, „ელენდეფ სერვისის“ ანგარიშზე, ავანსის სახით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული საზღაურის 90% გადაერიცხათ(!).

საგამოძიებო სამსახური ამ გარიგებით მას შემდეგ დაინტერესდა, რაც „თელასის“ მიერ შპს „ელენდეფ სერვისისთვის“ თანხის გადარიცხვის ინვოისსა და სალაროს ქვითარს გაეცნო. ინვოისით ირკვევა, რომ „თელასი“ კომპანია „ელენდეფ სერვისს“ 2012 წლის 27 აგვისტოს (ხელშეკრულების გაფორმებიდან მეხუთე დღეს), საკონსულტაციო მომსახურების საზღაურის 90%-ს, ანუ 450 000 აშშ დოლარს ურიცხავს. ორი დღის შემდეგ კი, 29 აგვისტოს, „თელასმა“ „ლიბერთი ბანკის“ საშუალებით, „ელენდეფ სერვისს“ დამატებით 742 905 ლარი გადაურიცხა.

მნიშვნელოვანია, რომ 2012 წლის 27 აგვისტოს, „თელასის“ გარდა, შპს „ელენდეფ სერვისის“ ანგარიშზე, „ხრამჰესი 1“-მა და „ხრამჰესი 2“-მა 74 200-74 200 ლარი გადარიცხეს, შპს „მტკვარი ენერგეტიკამ“ კი, — 148 401 ლარი. თანხის ჩარიცხვიდან სამ დღეში, 30 აგვისტოს გიორგი ნემსიწვერიძეს „ლიბერთი ბანკიდან“ საკმაოდ დიდი თანხა — 1 481 930 ლარი, როგორც იტყვიან, ხელზე გამოაქვს.

საგამოძიებო სამსახურის ოფიციალური განმარტებით, მტკიცებულებებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნაა, რომლითაც მტკიცდება, რომ შპს „ელენდეფ სერვისი“ ფიქტიურად შექმნილი კომპანია იყო. შპს „ელენდეფ სერვისი“ ნიკა გვარამიას მეგობრის, გიორგი ნემსიწვერიძის სახელზე, 2012 წლის ივლისში შეიქმნა. ამ კომპანიას არც გამოცდილება ჰქონდა და არც — რესურსი, რომ „ინტერ რაო ეესის“ საკუთრებაში არსებული კომპანიებისთვის (ს/ს „თელასი“, ასევე, „ხრამჰესი 1“, „ხრამჰესი 2“ და „მტკვარი ენერგეტიკა“) საკონსულტაციო მომსახურება, ამ შემთხვევაში, ფინანსურ-იურიდიული დოკუმენტების კვლევა-შესწავლა განეხორციელებინა.

გამოძიებით დადგინდა, რომ „თელასმა“ 2012 წლის მარტში, უცხოური აუდიტორული კომპანია „ფრაისვოთერჰაუსკუპერს ცენტრალური აზია და კავკასია ბი.ვი“-ს საქართველოს ფილიალი დაიქირავა, რომელმაც „ინტერ რაო ეესის“ კუთვნილი კომპანიებისთვის აღნიშნული კვლევა ჩაატარა და დოკუმენტი ინგლისურ ენაზე მოამზადა. სამხარაულის სახელობის ბიუროს დასკვნით მტკიცდება, რომ შპს „ელენდეფ სერვისისა“ და ამ უცხოური კომპანიის კვლევა იდენტურია. უფრო ზუსტად, „თელასის“ წარმომადგენლებმა გიორგი ნემსიწვერიძეს ინგლისურენოვანი დოკუმენტი გადასცეს, შპს „ელენდეფ სერვისმა“ კი ეს კვლევა ქართულად თარგმნა.

### მოწმეთა ჩვენებები

მოწმეთა ჩვენებებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, ს/ს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრის, თემურ ჭინჭარაულისა და შპს „ფიუჩარ პროდაქტს კომპანის“ ფინანსური მრჩევლის, ქეთევან ბადაშვილის ჩვენებებია, რომლებიც აღნიშნულ საქმეზე მოწმის სახით დაიკითხნენ.

ამონარიდი თემურ ჭინჭარაულის ჩვენებიდან: **„2012 წლის აგვისტოში, „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს ყველა წევრს, კომპანიის გენერალური დირექტორის, აშოტ მანუკიანის ინიციატივით, სამეთვალყურეო საბჭოს სხდომამდე 8 დღით ადრე, განსახილველად გადმოგვეგზავნა ს/ს „თელასსა“ და შპს „ელენდეფ სერვისს“ შორის ხელშეკრულების გაფორმების საკითხი. „ელენდეფ სერვისს“ „თელასისთვის“ უნდა გაეწია ფინანსური კონსულტაციები და ანალიზი გაეკეთებინა საგადასახადო რისკებისთვის. მომსახურების სრული ღირებულება შეადგენდა 500 000 აშშ დოლარს, აქედან, ავანსის სახით, გადახდილი უნდა ყოფილიყო ღირებულების 90%, ანუ 450 000 აშშ დოლარი. საკითხის განხილვის პროცესში, ძალიან დამაეჭვა შპს „ელენდეფ სერვისმა“, რადგან საჯარო რეესტრის მონაცემებით, ოფისიც კი არ ჰქონდა და რეგისტრირებული იყო ბაგებში, ერთ-ერთი სახლის მისამართზე, თან, როდესაც გავიკითხე, ამ ფირმას არავინ იცნობდა. დამაეჭვა ასევე, მომსახურების ღირებულებამ, რადგან თანხა ძალიან დიდი იყო“.**

ამის შემდეგ, თემურ ჭინჭარაული საქმის კურსში აყენებს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის, ალეკო ხეთაგურის პირველ მოადგილეს მარიკა ვალიშვილს, რადგან „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოში სწორედ ამ სამინისტროს წარმომადგენელი იყო. პარალელურად, ჭინჭარაული უკავშირდება „თელასის“ ფინანსურ დირექტორს ედუარდ ოგანესიანს და მასაც საქმის კურსში აყენებს, რომელიც ჰპირდება, რომ ამ საკითხზე „ინტერ რაოში“ იმსჯელებენ და გადაწყვეტილებას აცნობებდნენ. მოგვიანებით, ჭინჭარაულს მარიკა ვალიშვილმა ტელეფონით შეატყობინა, რომ ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში გადაწყვეტილება უკვე მიღებულია, რისთვისაც ჭინჭარაულს მხარი უნდა დაეჭირა.

ამონარიდი თემურ ჭინჭარაულის ჩვენებიდან: **„არასდროს არავის გაუწევია „თელასისთვის“ მსგავსი მომსახურება და არც კომპანიაში უმსჯელია ვინმეს, სჭირდებოდა თუ არა ზემოხსენებული მომსახურება. ასევე გეტყვით, რომ მომსახურების ღირებულება — 500 000 აშშ დოლარი კომპანიის ბიზნეს-გეგმაში ჩასმული არ ყოფილა. იმ ეტაპზე, კომპანიის მაშინდელი ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, ამ სახის მომსახურებაში ამხელა თანხის გადახდა მიზანშეწონილი არ იყო, რამაც დამაეჭვა. მოგახსენებთ, რომ ს/ს „თელასში“ ყოველწლიურად ტარდება სრული საფინანსო და საბუღალტრო აუდიტი, რომელსაც საერთაშორისო დიდი ოთხეულის რომელიმე კომპანია ატარებს და ამ მომსახურების ღირებულება 100 000 აშშ დოლარს არ აღემატება, რაც ზემოხსენებულ თანხაზე ოთხჯერ ნაკლებია. გარდა ამისა, როდესაც კომპანიაში ტარდებოდა აუდიტი, მომსახურების ანაზღაურება ხდებოდა სამუშაოს დასრულების შემდეგ და არა — წინასწარი, 90%-იანი ავანსის სახით, როგორც ეს მოცემულ შემთხვევაში მოხდა“.**

შპს „ფიუჩარ პროდაქტს კომპანის“ ფინანსური მრჩევლის, ქეთევან ბადაშვილის ჩვენებიდან ირკვევა, რომ ის დავით კეზერაშვილის მეუღლის, სოფიო ჩიქოვანის სკოლის მეგობარია. დავით კეზერაშვილი კი, როგორც ჩიქოვანის მომავალი მეუღლე, უნივერსიტეტში სწავლის დროს გაიცნო. გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ქეთევან ბადაშვილი სწავლობდა ინგლისში და მუშაობდა „ეიჩ ეს ბი სი ბანკის“ როგორც თბილისის, ასევე, ლონდონის ფილიალებში, ამ ბანკის დახურვამდე. 2012 წლის თებერვალში დავით კეზერაშვილმა შესთავაზა, მუშაობა დაეწყო შპს „ფიუჩარ პროდაქტს კომპანის“ ფინანსურ მრჩევლად. ამ კომპანიის მმართველი მენეჯერი დავით კეზერაშვილია, რომლის მფლობელობაშია ნავთობკომპანია „გალფი“. 2012 წლის ნოემბრამდე, ვიდრე „რუსთავი 2“-ის გენერალურ დირექტორად დაინიშნებოდა, სწორედ „ფიუჩარ პროდაქტს კომპანის“ მთავარი იურისტი იყო ნიკა გვარამია. შპს „ფიუჩარ პროდაქტს კომპანის“ ოფისი თბილისში, ჭავჭავაძის გამზირის 34-ში, ე.წ. პიქსელის შენობის მე-9 სართულზეა.

**ამონარიდი** ქეთევან ბადაშვილის ჩვენებიდან: **„2012 წლის აგვისტოს ბოლოს, თავის კაბინეტში დამიბარა ნიკა გვარამიამ და მითხრა, გამერკვია, რა იყო საჭირო იმისთვის, რომ კომპანიას, კონკრეტულად „ლიბერთი ბანკიდან“ ხელზე გამოეტანა თანხა და როგორ უნდა მომხდარიყო ამისათვის პერსონალური ვიპ-მომსახურება. ამ მომენტისთვის გვარამიას არ დაუკონკრეტებია არც ფირმის დასახელება და არც — თანხის ოდენობა. მე ვიცნობ „ლიბერთი ბანკის“ თანამშრომელ გიორგი არველაძეს, რომელიც თუ არ ვცდები, დირექტორის მოადგილე, ან საოპერაციო დირექტორია. დავუკავშირდი არველაძეს და ვკითხე, გააჩნდათ თუ არა კლიენტების ვიპ-მომსახურება და რა პროცედურები იყო საჭირო თანხის გასატანად. არველაძემ ამიხსნა, რომ „ლიბერთი ბანკის“ ცენტრალურ ოფისში გააჩნდათ კლიენტების ვიპ-მომსახურება და თანხის გასატანად საჭირო იყო მხოლოდ დირექტორის მისვლა, რომელსაც პირადობის მოწმობა უნდა წარედგინა. საქმის კურსში ჩავაყენე ნიკა გვარამია, რომელმაც, თუ არ ვცდები, მეორე დღეს კვლავ დამიბარა თავის კაბინეტში და მითხრა, რომ არსებობდა კომპანია შპს „ელენდეფ სერვისი“, რომლის დირექტორი იყო მისი მეგობარი გიორგი ნემსიწვერიძე. ამ ფირმას „ლიბერთი ბანკში“ ჰქონდა ანგარიში გახსნილი და სხვადასხვა კომპანიიდან, დაახლოებით, 1 500 000 ლარი უნდა ჩარიცხვოდა. საჭირო იყო ამ თანხის გამოტანა და მთხოვა, კვლავ დამერეკა ბანკში, რათა მოემზადებინათ ვიპ-სალარო თანხის გასატანად“.**

ამის შემდეგ, ნიკა გვარამიამ ქეთევან ბადაშვილს გააცნო გიორგი ნემსიწვერიძე და სთხოვა, „ლიბერთი ბანკში“ გაჰყოლოდა, რათა ნემსიწვერიძეს თანხის გამოტანაში დახმარებოდა. საბოლოოდ, „ლიბერთი ბანკის“ ოფისში წავიდნენ ქეთევან ბადაშვილი, გიორგი ნემსიწვერიძე, შპს „ფიუჩარ პროდაქტს კომპანის“ კიდევ ერთი იურისტი თამარ ნოზაძე და გვარამიას ორი მძღოლი.

**ამონარიდი** ქეთევან ბადაშვილის ჩვენებიდან: **„მე და ნემსიწვერიძე თავიდან ბოლომდე დავესწარით მოლარის მიერ თანხის დათვლას. ის თანხა, რომელიც უნდა გადმოეცათ ჩვენთვის, დაფასოებული იყო კუპიურების მიხედვით, თითოეულ დასტას შემოკრული ჰქონდა ბანკის სპეციალური ქაღალდის ლენტი და შეფუთული იყო პოლიეთილენის სპეციალურ შეფუთვაში. მოლარემ მოგვითვალა, დაახლოებით, 1 500 000 ლარი, ძირითადად — 50-ლარიანი და 100-ლარიანი კუპიურებით. ნემსიწვერიძემ სალაროდან მიღებული თანხა ჩააწყო ორ სპორტულ, მუქი ფერის, ნაჭრის ჩანთაში და წამოვედით. ხუთივე ერთად გამოვედით ბანკიდან, ჩავსხედით მანქანაში და მივედით „პიქსელის“ შენობასთან. მე და ნოზაძე გადმოვედით მანქანიდან და ავედით ოფისში, ხოლო ორივე მძღოლი, ნემსიწვერიძესთან ერთად, მანქანაში დარჩნენ. სად წავიდნენ ნიკა გვარამიას მძღოლები და რა ბედი ეწია ბანკიდან გამოტანილ თანხას, ჩემთვის უცნობია“.**

ამის შემდეგ, ნიკა გვარამიას ქეთევან ბადაშვილისთვის არაფერი დაუვალებია, მაგრამ ნოემბრის დასაწყისში კვლავ სთხოვს, რომ კიდევ ერთხელ დაეხმაროს, რადგან ნემსიწვერიძეს საკუთარი ფირმის სახელზე ინტერნეტ-ბანკინგის მომსახურების გახსნა და მის ანგარიშზე თანხის შეტანა უნდოდა, რათა დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ) ჰქონდა გადასარიცხი. ქეთევან ბადაშვილი ამ დეტალებსაც „ლიბერთი ბანკში“ არკვევს, სადაც გიორგი ნემსიწვერიძესთან ერთად, კიდევ ერთხელ მიდის, ამჯერად, მხოლოდ იმისთვის, რომ ნემსიწვერიძეს დღგ-ს მომსახურებისთვის, „ელენდეფ სერვისის“ ანგარიშზე, დაახლოებით, 300 000 ლარი შეეტანა.

**ამონარიდი** ქეთევან ბადაშვილის ჩვენებიდან: **„ორივე შემთხვევაში, როგორც 1 500 000 ლარის გამოტანის, ასევე, 300 000 ლარის შეტანის შემთხვევაში, ოპერატორებთან ურთიერთობა გვქონდა როგორც მე, ასევე, — ნემსიწვერიძეს. ფაქტობრივად, მე ვეხმარებოდი ნემსიწვერიძეს ოპერატორებთან ურთიერთობაში, ამიტომ შესაძლებელია, გარკვეულ დოკუმენტებთან შეხება მეც მქონდა, მაგრამ დეტალებს ვერ ვიხსენებ“.**

**P.S. 22 დეკემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლომ, დიდი ოდენობით ქრთამის აღებისა და დოკუმენტების გაყალბების ბრალდებით დაკავებულ ექვსივე პირს — ალეკო ხეთაგურს, ნიკა გვარამიას, კახა დამენიას, დევი კანდელაკს, იზაბელა გუტიძესა და გიორგი ნემსიწვერიძეს შაბათს, 22 დეკემბერს, აღმკვეთი ღონისძიების სახით, გირაო შეუფარდა. მოსამართლე გიორგი არევაძის გადაწყვეტილებით, ნიკა გვარამიას, ალექსანდრე ხეთაგურს, კახა დამენიასა და დევი კანდელაკს, გირაოს სახით, 30 000 ლარის, გიორგი ნემსიწვერიძესა და იზაბელა გუტიძეს კი, 15 000 ლარის გადახდა დაეკისრათ. მათ საპატიმროები იმავე დღეს დატოვეს. საქმეზე წინა სასამართლოს სხდომა კი 31 იანვარს, 14:00 საათისთვისაა ჩანიშნული.**

**საქართველოს მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილი აცხადებს, რომ საზოგადოების დიდი ინტერესის გამო, შესაძლებელია, აღნიშნული საქმე ნაფიცმა მსაჯულებმა განიხილონ. როგორც წესი, ნაფიცი მსაჯულები მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით (მკვლელობა დამამძიმებელი გარემოებით), 109-ე (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელი გარემოებით) და 110-ე მუხლებით (მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით) მსჯავრდებულთა საქმეებს განიხილავენ. აქედან გამომდინარე, ლოგიკურად ჩნდება კითხვა, როგორ განიხილავენ ნაფიცი მსაჯულები ეკონომიკური დანაშაულის გამო მსჯავრდებულთა საქმეს? „ვერსია“ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურისტს, ეკა ხუციშვილს დაუკავშირდა, რომლის თქმითაც, „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო გარდამავალ პერიოდში მხოლოდ დამამძიმებელ გარემოებაში და ასევე, შეურაცხად მდგომარეობაში ჩადენილ მკვლელობებს განიხილავს. იმ მუხლებზე კი, რომლებიც ყოფილ მაღალჩინოსნებს წაუყენეს, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო არ ვრცელდება და ეს შენიშვნა მოქმედებს 2014 წლის 1 ოქტომბრამდე... იმისთვის, რომ ეს საქმე ნაფიცმა მსაჯულებმა განიხილონ, პარლამენტმა სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილება ორ თვის ვადაში უნდა შეიტანოს“.**

# სკანდალი ახალი მთავრობის მაღალჩინოსანი ბავშვებით მოვაჭრეებს მფარველობს?!

ნელი თორდია

**სკანდალი, რომელიც სუროგატი დედების მიერ გაჩენილი ჩვილების ბრიტანეთში გაშვილებას მოჰყვა, შეიძლება, იმ ადამიანების დაპატიმრებით დასრულდეს, ვინც ამის შესახებ საზოგადოებას ამცნო — დონაციისა და სუროგაციის ცენტრის ხელმძღვანელი თამარ ხაჭაპურიძე „ვერსიასთან“ აცხადებს, რომ თუკი ჩვილების სკანდალთან დაკავშირებით, მედიასთან საუბარს არ შეწყვეტს, პროკურატურა დაპატიმრებით ემუქრება.**



„მთავარი პროკურორის მოადგილე ბესო თხელიძესა და გამომძიებელ გელა ბარამაშვილს შევხვდი და ვუთხარი, ნუ შეაფერხებთ გამოძიებას, თორემ იძულებული ვიქნები, ის საახლობლო წრე დავასახელო, ვის გამოც ახალი მთავრობა მარიამ კუკუნაშვილს ხელს აფარებს-მეთქი. ბესო თხელიძემ მიპასუხა, რომ თუ ამაზე ჟურნალისტებთან ვისაუბრებ, შეიძლება, პასუხისგებაში მივეცე“.

## პროკურატურა დონაციისა და სუროგაციის ცენტრის ხელმძღვანელს დაპატიმრებით ემუქრება!

— სუროგაცია თანამედროვე მედიცინის ისეთ ტექნოლოგიას განეკუთვნება, რომელსაც, კანონის ფარგლებში, ადამიანისთვის უდიდესი სიკეთის მოტანა შეუძლია, უკონტროლობის პირობებში კი, შეიძლება, უდიდესი ბოროტების წყარო გახდეს. შეგახსენებთ, რომ სუროგატი დედის საშვილოსნოში გამოსაზრდელად გადაჰყავთ განვითარების მესამე სტადიაზე მყოფი ემბრიონი, რომელიც მიღებულია სხვა ქალის კვერცხუჯრედისგან. სუროგატი, დედა არ არის, რადგან ბავშვი სხვა ქალის კვერცხუჯრედიდანაა მიღებული და სუროგატის გენებს არ ატარებს. ემბრიონის მისაღებად, რიგ შემთხვევაში, უშვილო ცოლ-ქმრის კვერცხუჯრედი და სპერმატოზოიდი გამოიყენება, ზოგჯერ კი — დონორი ქალისა და მამაკაცის. ეს უკანასკნელი შემთხვევა შესაძლებლობას იძლევა, კრიმინალებმა შექმნან დონორული ემბრიონი, გააჩენინონ და გააშვილებინონ ბავშვი სუროგატ, ანუ არაბიოლოგიურ დედას იმ შემთხვევაში, თუკი მოახერხებენ და მას დედად დაარეგისტრირებენ. საქართველოს კანონით, ჰომოსექსუალების მომსახურეობა აკრძალულია, მაგრამ ამას იმით ნიღბავენ, რომ არარსებული დედის გრაფაში სუროგატს წერენ. საქართველოს კანონში გარკვევით წერია, რომ სუროგაციის მეთოდით შეიძლება, მხოლოდ ქალისა და მამაკაცის უშვილო წყვილს მოვემსახუროთ, რომელიც იმყოფება რეგისტრირებულ ქორწინებაში და დასმული აქვს უნაყოფობის დიაგნოზი.

სუროგატი დედების მიერ გაჩენილი ბავშვების უკანონო რეგისტრაციისა და ყალბი მოწმობებით საზღვარგარეთ გაყვანის თაობაზე, სისხლის სამართლის საქმე 5 თვის წინ აღიძრა. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ერთ-ერთმა სუროგატმა დედამ, მ.ჯ-შვილმა განაცხადა, თუ როგორ დაუკავშირდა სუროგაციის მიზნით ჯანდაცვის საერთაშორისო სააგენტო „ნიუ-ლაიფ ჯორჯიას“, რომელსაც მარიამ კუკუნაშვილი ხელმძღვანელობს. მ. ჯ-შვილის მონაყოლიდან ირკვევა, რომ სააგენტოს ხელმძღვანელობამ დაარიგა, სამშობიაროში ბავშვის ბიოლოგიურ დედად დარეგისტრირებულიყო, რაც მოხდა კიდეც. ღუდუშაურის კლინიკაში აზრადაც არავის მოსვლია, რომ მშობიარობდა სუროგატი და არა — ბიოლოგიური დედა. ბავშვის გამოყვანის შემდეგ, კუკუნაშვილის ცენტრის თანამშრომელმა, ვინმე გვაზავამ მ. ჯ-შვილი ნოტარიუსთან მიიყვანა და დედობაზე უარი ათქმევინა. ამის შემდეგ, ბავშვი გერმანიაში გაიყვანეს. მოგვიანებით, ბრიტანეთის საელჩოს თანამშრომლის, ლიკა კალანდარიშვილისგან 8 ჩვილის ბრიტანეთში გაყვანის შესახებ მივიღეთ ინფორმაცია, რასაც დიდი სკანდალი მოჰყვა.

მუშაობდა ასეთი სქემა — სუროგატებს კანონდარღვევით არეგისტრირებდნენ დედებად, მერე ნოტარიუსთან დედობაზე უარს ათქმევინებდნენ და, რამდენადაც ჩემთვისაა ცნობილი, ჩვილები საზღვარგარეთ, ძირითადად, ჰომოსექსუალი წყვილებისთვის გაჰყავდათ. არსებობს ეჭვი, რომ ორგანოების ტრანსპლანტაციაც ხდებოდა, მაგრამ ამის დამადასტურებელი ფაქტები არ არსებობს.

**— მართალია, საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს, მაგრამ პროკურატურას ბრალს უმოქმედობასა და დამნაშავეების ლობირებაში სდებთ. რატომ?**

— იმიტომ, რომ მ. ჯ-შვილის გარდა, დედად დარეგისტრირებული სხვა სუროგატების ვინაობის დადგენა და დაკითხვა არ მომხდარა, არ ჩატარებულა შემოწმება არც „ნიუ ლაიფ ჯორჯიაში“ და არც — ხელოვნური განაყოფიერების ცენტრ „ნეო კლინიკაში“, სადაც აღნიშნული სააგენტო უცხოელთა სუროგატებს დაორსულების მიზნით გზავნიდა. ასევე, არ გამოუთხოვიათ ინფორმაცია სამშობიარო კლინიკებიდან, სამოქალაქო რეესტრიდან და უცხო ქვეყნების საკონსულოებიდან ისეთ შემთხვევებზე, როცა დედად დარეგისტრირდა საქართველოს მოქალაქე, მამად კი — უცხოეთისა და ისინი არ იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში. არ გამოუთხოვიათ ინფორმაცია ყალბი დაბადების მოწმობებით ბრიტანეთში გაყვანილ 8 ჩვილზე, მათ გამყვან პირებზე და ა.შ.

18 დეკემბერს მთავარი პროკურორის მოადგილე ბესო თხელიძესა და გამომძიებელ გელა ბარამაშვილს შევხვდი. ეს შეკითხვები ბარამაშვილს დავუსვი, პროკურორის მოადგილემ კი გამაჩერა და მითხრა, ბარამაშვილს ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემის უფლებას არ მივცემო. ვუპასუხე, რეპროდუქციული მედიცინის სფეროში მოღვაწე ადამიანებისთვის, მათ შორის, ჩემთვისაც, ცნობილია, რომ მარიამ კუკუნაშვილს ახალი მთავრობის მაღალჩინოსანი მფარველობს-მეთქი. ასევე, ვუთხარი, ჩემთვის ცნობილია იმ კლანისა და ხაზის შესახებ, რომლითაც ეს ადამიანები ერთმანეთს უკავშირდებიან და ამ კავშირის გამო ნუ შეაფერხებთ გამოძიებას, თორემ იძულებული ვიქნები, ის საახლობლო წრე დავასახელო, ვის გამოც ახალი მთავრობა მარიამ კუკუნაშვილს ხელს აფარებს-მეთქი. ბესო თხელიძემ მიპასუხა, რომ თუ ამაზე ჟურნალისტებთან ვისაუბრებ, შეიძლება, პასუხისგებაში მივეცე. ფაქტობრივად, დაპატიმრებით დამემუქრა. არ მკითხოთ, ვინ ვიგულისხმე, მაგრამ იმ სქემის მიხედვით, რომელიც ვახსენე, ძალიან სერიოზულ ადამიანზე გავდივართ..

**— ახალი ხელისუფლების მაღალჩინოსნის მფარველობა რა შუაშია, როცა საქმეზე გამოძიება წინა ხელისუფლების დროს დაიწყო, რა უშლიდათ ხელს, გამოძიება ბოლომდე მიეყვანათ?**

— კუკუნაშვილს მფარველები მაშინაც ჰყავდა.

**— ამ საქმით დაინტერესებული რატომ ხართ, იქნებ, კონკურენტის „დაძირვას“ ცდილობთ?**

— „ნიუ-ლაიფ ჯორჯიას“ გარდა, კიდევ 5 კონკურენტი ცენტრი არსებობს, მაგრამ არ ვეხები. იმ ბავშვების ბედი მაღელვებს, რომლებიც შესაძლოა, ჰომოსექსუალი წყვილების ხელში აღმოჩნდნენ. ვებრძოდი და ვებრძვი ჰომოსექსუალების სუროგაციის მეთოდში ჩართვას, რადგან ეს ხალხი ავადმყოფად მიმაჩნია! მეორე მხრივ, არაა ჯანსაღი კონკურენცია, როცა ერთ ორგანიზაციას უფლება აქვს, როგორც უნდა, ისე დაარღვიოს კანონი. ერთნაირი ორგანიზაციები და ერთსა და იმავე სფეროში მომუშავე ცენტრები, რატომ უნდა ვიყოთ განსხვავებულ პირობებში? სხვათა შორის, ბევრი გერმანელი წყვილი მთხოვს, რომ მივიღო, მაგრამ უარს ვეუბნები, რადგან კანონის თანახმად, სუროგაციის წესით გაჩენილი ბავშვები გერმანიაში ველარ გაჰყავთ. სამი წლის ტყუპი და ერთი წლის ბავშვი აქ მყავს და მათ ძიძა ზრდის იმიტომ, რომ საკონსულო გაყვანის უფლებას არ იძლევა. კანონის დარღვევა რომ მდომებოდა, დავარეგისტრირებდი სუროგატებს დედებად და გერმანიისა თუ საქართველოს კანონმდებლობას თვალს ავუხვევდი. მაინტერესებს, რატომ უნდა არსებობდეს ჩემი კლიენტებისთვის სხვა კანონები და კუკუნაშვილის კლიენტებისთვის — სხვა? დიახ, დაინტერესებული ვარ, კანონიერება აღდგეს! ეს ვარაუდი არაა და სახეზეა სუროგატის მხრიან ბავშვის უკანონოდ აყვანა, დაბადების ყალბი მოწმობები და უკანონო გაშვილება. ჩვილები მიჰყავთ ვიღაც კაცებს, რომლებიც ჰომოსექსუალები, ან შეიძლება, ბავშვებით მოვაჭრეები არიან. დედა და ქალი არსად ფიგურირებს და რაღა არის აქ გამოსაძიებელი? რატომ არ ხდება დამნაშავეების გამოვლენა, როცა ცნობილია, რომელ ორგანიზაციასთან დაიდო სუროგაციის ხელშეკრულება, რომელ სამშობიაროში იმშობიარა, რომელ ნოტარიუსთან ათქმევინეს დედობაზე უარი, დაკითხულია სუროგატიც... თუ ეს ყველაფერი სისხლის სამართლის დანაშაული არაა, მითხრან, და მეც ასე ვიმუშავებ!

**„ვერსია“ დაინტერესდა, რას ფიქრობს კონკურენტისა და კოლეგის ბრალდებებზე „ნიუ-ლაიფ ჯორჯიას“ ხელმძღვანელი და მარიამ კუკუნაშვილს დაუკავშირდა. ქალბატონი მარიამი არც კომენტარს დაგვზარდა და არც — შეურაცხყოფის მოყენებას:**

— ჯანდაცვის სამინისტროდან დაწყებული, მთელი სამედიცინო სფერო და პროკურატურა ხაჭაპურიძეს იცნობს, როგორც ოფიციალურ გიჟსა და ფსიქიკურად დაავადებულ ადამიანს. მის ბრალდებებზე რა კომენტარი უნდა გავაკეთო? ხომ ხედავთ, ამდენი ხანია ჩივის და არავის დაუჭერივარ? ეს საქმეც მალე ისევე დაიხურება, როგორც მაგის დაწყებული სხვა საქმეები. მეტი რა გავაკეთო, არ ვიცი...

**— რამდენადაც ვიცი, „გიჟის“ ჩვენებებსა და განცხადებებზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრა და გამოძიების დაწყება არ ხდება...**

— თქვენ, ალბათ, კანონებში კარგად ვერ ერკვევით. ნებისმიერ ადამიანს, ეჭვის დონეზე, შეუძლია მივიდეს, დაწეროს განცხადება და პროკურატურა და ნებისმიერი სამართლებრივი დაწესებულება ვალდებულია, სისხლის სამართლის საქმე აღძრას...

**მარიამ კუკუნაშვილის შეურაცხყოფისა და ცილისწამების ელემენტებით გაჯერებული მონოლოგით, რომელსაც, მრავალფეროვნებისთვის, სატელეფონო მესიჯებიც მოჰყვა, თავს არ შეგაწყენთ. უბრალოდ, „ნიუ-ლაიფ ჯორჯიას“ ხელმძღვანელს ვურჩევთ, გადაიკითხოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 და 101-ე მუხლები და განმარტება კვალიფიციური იურისტისგან მიიღოს.**

**რაც შეეხება სკანდალურ საქმესთან დაკავშირებით პროკურატურის პოზიციას, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე პროკურატურა კომენტარისგან თავს იკავებს. „ვერსიის“ სატელეფონო ზარს არც გამომძიებელმა გელა ბარამაშვილმა უპასუხა...**

## 25 დეკემბერს პატრიარქი სვეტიცხოველში წირვას აღავლენს



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე მისი ინტრონიზაციისა და წმინდა სპირიდონ ტრიმიფუნტელის ხსენების დღეს წირვას სვეტიცხოველში აღავლენს.

როგორც პატრიარქმა საკვირაო ქადაგებისას ბრძანა, წირვა ჩატარდება იქ, სადაც ინტრონიზაცია შესრულდა.

წმინდა სპირიდონ ტრიმიფუნტელის ხსენების დღესთან დაკავშირებით, 24 დეკემბერს საღამოს ლოცვა სამების ტაძარში ჩატარდება, ხოლო 25 დეკემბერს სვეტიცხოველში წირვას პატრიარქი თავად აღავლენს. 25 დეკემბერს სრულიად საქართველოს კათოლოკოს-პატრიარქის აღსაყდრებიდან 35 წელი სრულდება.

*„ინეტრპრესნიუსი“*

## ახალი წლიდან უალკოჰოლო სასმელი გაძვირდება




უალკოჰოლო სასმელი, მათ შორის, მინერალური და მტკნარი წყლები, მატერიალური, ან არამატერიალური ფორმით სავალდებულო მარკირებას დაექვემდებარება. საქონლის აქციზური მარკებით სავალდებულო ნიშანდება 2013 წლის 1 იანვრიდან განხორციელდება. არააქციზური საქონლის მარკირების სავალდებულო წესი საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 24 აპრილის №129 ბრძანების საფუძველზე განისაზღვრება, რომელიც წარმოადგენს ცვლილებას „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში.

ბრძანების თანახმად, შერჩეული პირის მიერ არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირების ნომინალური ღირებულება შემდეგნაირად განისაზღვრა — უალკოჰოლო სასმელისთვის (გარდა მინერალური და მტკნარი წყლისა) — 1000 ცალ ერთეულზე — 5,5 ევროს ეკვივალენტი ლარში, ხოლო მინერალური და მტკნარი წყლისთვის — 1000 ცალ ერთეულზე – 4,63 ევროს ეკვივალენტი ლარში.

ელექტრონულ მარკირებას კი, საქართველოს სახელმწიფოსთან დადებული ექსკლუზიური ხელშეკრულების საფუძველზე, შვეიცარული კომპანია **SICPA** განახორციელებს, რომელსაც უალკოჰოლო სასმელის მწარმოებელი, ამავე ხელშეკრულების მიხედვით, მომსახურების საფასურს გადაუხდის. ექსპერტები გადაწყვეტილებას ნეგატიურად აფასებენ და უალკოჰოლო სასმელების გაძვირებას პროგნოზირებენ.

ექსპერტი ამ ახალ რეგულაციას ჯერ მომხმარებლის პოზიციიდან განიხილავს და ამბობს, რომ ეს ხელსაყრელი არ არის, რადგან მწარმოებელზე დაკისრებული ნებისმიერი დამატებითი ვალდებულება, პროდუქციის გაძვირებას იწვევს. შესაბამისად, მომხმარებლის ინტერესი — იაფად მიიღოს პროდუქცია — დარღვეულია. **„მწარმოებელს ახალი რეგულაცია ტვირთად აწვება. პროდუქციის ღირებულების გაზრდის შემთხვევაში, გადასახადი გამყიდველსა და მყიდველს შორის ნაწილდება. კერძოდ, გამყიდველი, ანუ მწარმოებელი მიიღებს ნაკლებ შემოსავალს და ამ დროს, მყიდველი გადაიხდის უფრო მეტს. საერთო ჯამში, ჩემთვის სრულიად გაუგებარია, რატომ გახდა საჭირო მწარმოებლებისთვის რაიმე დამატებითი ვალდებულების დაკისრება, რაც შემდეგ მომხმარებელსაც აზარალებს“,** — აცხადებს ექსპერტი.

*„მედიანიუსი“*

facebook NEWS

**გიორგი ხუხია**

„გუშინ, საღამოს ოფისიდან გასვლისას, მეტრო „ისნის“ მიმდებარე ტერიტორიაზე მხვდება 4 კაცი, 45-55 ასაკის, სავარაუდოდ, და ერთხმად მაჩერებენ შეძახილით — „ერთი წამით, ბრატ!“

გაჩერების შემდგომ ტექსტს გთავაზობთ უცვლელად:

„კაროჩე, ძმაო, რა, ახალგაზრდა კაცი ხარ და გაიგებ ჩვენს სიტუაციას, რა. აგერ ხედავ 4 კაცი ვართ, რა, კაი ბიჭები ვართ, 3 დღეა სვაბოდაზე გამოვედით, რა და ჩავეხუტოთ გვინდა ერთმანეთს და დილიდან დვიჟენიაში ვართ აქ, რა. 14 ლარი მოვაქუჩეთ ჯერ და 20 ლარამდე გვინდა მოვაქუჩოთ და სადმე კაი ბიჭურად ჩავუჯდეთ და სვაბოდაზე გამოსვლა აღვნიშნოთ. იტოგში, უნდა დაეხმარო, რა ძმაო კაი ბიჭებს და ნომერს დაგიწერ და რაც არ უნდა დაგჭირდეს, შეგვაწუხე ძმა...“

facebook NEWS



**ჟანა ასანიძე**

„როგორც ირკვევა, გირაოსთვის მიგვიცია ხმა 1 ოქტომბერს!“

facebook NEWS



**ნინო ფოჩხუა**

„ისა, და, მერაბიშვილს რომ დაიბარებენ დაკითხვაზე, არ დაიწყოთ, ინტელექტუალებს იჭერენო, თორემ დაგცინებენ“

facebook NEWS



**თეა გიგუაშვილი**

„მისათვისებელ მილიონს ვეძებ — ძალიან მჭირდება. 50-ს გადავიხდი გირაოში და 50 ათასსაც საქველმოქმედოდ გავიღებ. ვცხონდები?“

facebook NEWS



**შორენა მარსაგიშვილი**

„ვაიმე, დედა, მიშა მაჭავარიანი იმათ დაჭერას ითხოვს, ვინც აკო მინაშვილს აგინა. კანონში წერია უკვე, რომ აკოს გინებაზე სროკია?“

facebook NEWS



**თემური მიმინოშვილი**

„ძვირფასო ჟურნალისტებო!

ვიდრე კუბლაშვილის სასამართლო რიხინ-რიხინით უფარდებს გირაოს აღმკვეთ ღონისძიებად „ნაცმოძის“ ყოფილ მაღალჩინოსნებს, რომლებიც სერიოზული ბრალდებით არიან დაკავებულები. დიდი ალბათობით, პარალელურად, სხვა, უბრალო მოკვდავთა ესა თუ ის სასამართლო პროცესებიც მიმდინარეობს. ეგება, გამოითხოვოთ სტატისტიკა, რა დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირების პროცესები ჩატარდა ამ ბოლო 1-2 თვის განმავლობაში და რა სახის აღმკვეთ ღონისძიებებს უფარდებენ ჩვეულებრივ ბრალდებულებს“.



ნინო კომახიძე
პოლიტიკა

**„ნამდვილად უმრავლესობის წევრი ვარ. ჩვენ ვკამათობთ, ერთმანეთს აზრებს ვუზიარებთ, ვცვლით და მერე, შეჯერებულ გადაწყვეტილებას ვიღებთ“, — აცხადებს „ვერსიასთან“ ინტერვიუში კობა დავითაშვილი. მართალია, საპარლამენტო უმრავლესობის უმრავლესობა, ძირითადად, დავითაშვილთან კამათითაა დაკავებული, მაგრამ „ხალხის პარტიის“ ლიდერი საკუთარი ინიციატივების ჩაგდებაში პრობლემას ვერ ხედავს. ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე „ვერსია“ კობა დავითაშვილს ესაუბრა:**



# კობა დავითაშვილი გაიზარდა, დაბერდა და ჭკუა ისწავლა!

## „მე ვარ ის ადამიანი, ვინც ირაკლი ოქრუაშვილი პოლიტიკური დევნილების სიაში დაბლოკა!“

**— ბატონო კობა, ახალ პარლამენტში ძალიან აქტიურად მუშაობთ — ინიციატივას ინიციატივაზე აყენებთ, მაგრამ თქვენივე გუნდი ამ ინიციატივებს ერთმანეთის მიყოლებით გიგდებთ. კოალიციაში რა ხდება?**

— პრინციპულ საკითხებზე უმრავლესობაში ერთნაირი პოზიცია გვაქვს. მართალია, სხვადასხვა თემაზე ვკამათობთ, მაგრამ ფუნდამენტურ პრინციპებზე ვთანხმდებით. ასეთი კომფორტული მდგომარეობა არც „მოქკავშირში“ მქონია და არც — „ნაცმოძრაობაში“.

**— თქვენგან ორიგინალურ გადაწყვეტილებებს, მაგალითად, უმრავლესობის დატოვებასა და გაოპოზიციონერებას არ უნდა ველოდეთ?**

— დავითაშვილი ოპოზიციაში არ იქნება! კოლეგებისგან სრული მხარდაჭერა მაქვს!.. გავიზარდე, დავბერდი, ჭკუა ვისწავლე და ეფემერული მომავლისთვის, ამ ბერკეტის დაკარგვას არ ვაპირებ! ვრჩები „ოცნების“ ერთგულ წევრად და ოპოზიციაში გადასვლა გამორიცხულია! უბრალოდ, მოვითხოვ ყველა საკითხის წინასწარ განხილვას და იმას დავემორჩილები, რასაც უმრავლესობა გადაწყვეტს!

**— ჯერჯერობით, უმრავლესობის უმცირესობაში ხართ. მაგალითად, ითხოვდით, თუკი ამნისტირებული დანაშაულს ისევ ჩაიდენდა, უფრო მკაცრად დასჯილიყო, თუმცა უმრავლესობამ მხარი არ აგიბათ. რატომ?**

— ჩემს მხარეს 31 ადამიანი აღმოჩნდა... ამ კანონის დამუშავებისას, მხოლოდ მსჯავრდებულის კი არა, საზოგადოების იმ დიდი ნაწილის უფლებებიც უნდა გავითვალისწინოთ, ვინც ამ პროექტს სიფრთხილით უყურებს და კრიმინალის შესაძლო ზრდა აშინებს. მინდა, საზოგადოება დავამშვიდო, მე და მთავრობა ერთ პოზიციაზე მაინც აღმოვჩნდით და ამ კანონის საბოლოო ვარიანტში ჩაიწერა, რომ ამნისტირებულს ნასამართლეობა არ მოეხსნება. ეს მნიშვნელოვანი გარანტიაა და ყოფილი პატიმარი, რეციდივის შემთხვევაში, უფრო მკაცრად დაისჯება. კანონის ამ ფორმით მიღებას ტრაგიკულად ამიტომ აღარ აღვიქვამ. რა ვქნა, იდეოლოგიას — „ციხეს რად უნდა რკინის კარები, მას უნდა ჰქონდეს შუშაბანდები“ — არ ვიზიარებ! ვიღაცას რჩება შთაბეჭდილება, რომ დამკვიდრებული იდეოლოგიიდან — „ყველანი ციხეში“, ახალი იდეოლოგია მკვიდრდება — „ყველა გარეთ“. ოქროს შუალედი ამიტომაა საჭირო, თორემ მეც უკმაყოფილო ვიქნები და უმრავლესობის ლიბერალური უმრავლესობაც. მინდა, ხალხს ვურჩიო, თუ რამე აწუხებს, საჯაროდ თქვას. ეს ჩემს გამოუცდელ კოლეგებს, რომელთა დაღვინებაც საჭიროა, საქმეს გაუადვილებს.

**— საქმეს, მაგალითად, ბიუროდან თქვენი გაგდების გადაწყვეტაში გაუადვილებს?**

— როცა ერთსა და იმავე საკითხს ორჯერ დასვამ და უარს გეტყვიან, მესამე მცდელობა უკვე აბსტრუქციაში გადადის. დავით უსუფაშვილის გადაწყვეტილება ამიტომ იყო სამართლიანი, თუმცა — საწყენი.

რაც შეეხება ამნისტიას, შეიძლება, არც მე მომწონს, კანონი ზოგიერთი მძიმე დანაშაულისთვის დაპატიმრებულს რომ შეეხო, მაგრამ თუ ჩვენ გამაუპატიურებელს გავაუპატიურებთ, ამით უკეთესები ვერ გავხდებით. „უმადურობის“ კრიმინალიზაციას ვითხოვდი, რაშიც უმრავლესობამ მხარი არ დამიჭირა. ვცდილობდი, „ნაცმოძრაობის“ მიმართაც კონსტრუქციული ვყოფილიყავი, თუმცა თუ „ნაციონალებს“ პოლიტიკურ ძალად ჩამოყალიბება მართლა სურთ, მაშინ ისეთ ფიგურებს უნდა გაემიჯნონ, როგორიც, მაგალითად, ბაჩო ახალაიაა.

**— თქვენ კი ისეთ ფიგურებს უნდა გაემიჯნოთ, როგორიც ირაკლი ოქრუაშვილია — პოლიტპატიმრებისა და პოლიტდევნილების სიიდან კი ამოიღეთ, მაგრამ ეკა ბესელიამ განაცხადა, ამ საკითხს დავუბრუნდებითო. მართალია, ოქრუაშვილზე დიდი ხანია, აღარ ლაპარაკობთ, მაგრამ ახლა რამის თქმა მაინც მოგიწევთ.**

— ამ სახელისა და გვარის სიიდან ამოღება ნათელი გზავნილია, რომ ოქრუაშვილს უმრავლესობა გაემიჯნა. წარმოუდგენელია, ბერია ციხეში იჯდეს და ეჟოვი გარეთ დადიოდეს! ეკა ბესელია კი, თავს უხერხულად გრძნობდა — მას ჰქონდა სერიოზული კონფლიქტი ოქრუაშვილთან და ამას მის გადაწყვეტილებაზე გავლენა რომ არ მოეხდინა, ვფიქრობ, ეკა ოქრუაშვილის დაცვისკენ უფრო იხრებოდა. ის ადამიანი ვარ, ვინც ირაკლი ოქრუაშვილი პოლიტიკური დევნილების სიაში დაბლოკა! ოქრუაშვილი ციხეშიც არ მინახავს და არც ვაპირებ — მან თქვა უარი ადამიანურ ურთიერთობებზე, რომლის აღდგენა არაერთხელ ვცადე როგორც თბილისში, ისე — პარიზში... ასე რომ, ამ თემაზე სათქმელი სხვა არაფერია.

**— ბატონო კობა, თქვენს მიერ ინიცირებულ და უმრავლესობისგან არმოწონებულ კანონპროექტებზე ვისაუბროთ. ნარკომანიის დეკრიმინალიზაციის ინიციატივა, პირის 3 500 ლარით დაჯარიმებას, ან 60-დღიან ადმინისტრაციულ პატიმრობას ითვალისწინებს. წინა პარლამენტში, მსგავსი ინიციატივა მერაბიშვილმა დაბლოკა, ახლა კი, ღარიბაშვილი ბლოკავს?**

— საიდან მოიტანეთ?! შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროებთან ძალიან საქმიანი ურთიერთობა ჩამომიყალიბდა — მათთან მუდმივი კონსულტაციები გვაქვს, მათ შორის, ამ საკითხზეც და მჯერა, კომპრომისს მივაღწევთ.

**— კონსულტაციები კარგია, მაგრამ როგორ დამაჯერებთ, რომ ამ საკითხშიც, თენგიზ გუნავასთვის ნარკოტიკის ჩადების მსგავსად, ღარიბაშვილისგან ახალ მერაბიშვილის არ მივიღებთ?**

— სერიოზულ ფაქტს გეტყვით: ჩემი სადეპუტატო უფლებამოსილება გამოვიყენე, ამ ფაქტის მოკვლევა დავიწყე და მინდა, საზოგადოება იმაში დავარწმუნო, რისიც არ სჯერა — გუნავასთვის ნარკოტიკი არ ჩაუდიათ. ეს იყო პროვოკაცია გუნავას მხრიდან, რომელიც დემონსტრაციულად ატარებდა იარაღს, თავად აწვდიდა პოლიციაში თავის ხალხს ინფორმაციას, რომ ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იყო და პროვოკაციაზე „წამოიკიდა“ შს სამინისტრო! ეს იმისთვის დაიგეგმა, რომ გუნავა სწორედ ამ მუხლით ჩამჯდარიყო და შემდეგ, ის სერიოზული ბრალდებები, რაც მისთვის უნდა წარედგინათ — გაუპატიურება, მკვლელობის მცდელობა და ხელისუფლების ბოროტად გამოყენება — გადაფარულიყო. ეს მისი მხრიდან საკმაოდ გონივრული პროვოკაციაა. ამაზე შს სამინისტროს წამოგება ძალიან უსიამოვნოა, მაგრამ არა ისეთი უსიამოვნო, როგორიც ნარკოტიკის ჩადება იქნებოდა.

რაც შეეხება ნარკომანიას, საზოგადოებაში ამ თემაზე სამი მოსაზრებაა: ნაწილი მიიჩნევს, რომ ნარკომანი დამნაშავეა და ციხეში უნდა იყოს. ნაწილს სურს, ნარკოტიკის ლეგალიზება მოხდეს, მე კი, ცენტრისტული მიდგომის, ანუ დეკრიმინალიზაციის მომხრე ვარ. ნარკოტიკის მოხმარება დანაშაულია, რაც ადმინისტრაციული კი არა, სისხლის სამართლის კოდექსით უნდა დაისაჯოს. ინიციატივის მექანიზმი ასეთი იყო — თუ ადამიანი ნარკოტიკს პირველად მოიხმარს, 300 ლარით ჯარიმდება, მეორედ — 600 ლარით და მესამედ — ან იხდის ჯარიმას, ან 60-დღიან ადმინისტრაციულ პატიმრობას. თუ თანხას გადაიხდის, ფული მიდის ბიუჯეტში, მაგრამ თუ სასამართლოზე განაცხადებს, რომ განკურნება სურს, ეს თანხა მკურნალობაში „წავა“.

**— ეჭვი გაქვთ, რომ 3 500 ლარი ნარკომანის განკურნებისთვის საკმარისია?**

— სრულად არა, მაგრამ დარგის სპეციალისტებთან კონსულტაცია გავიარე და იმ მინიმალური თანხის დასახელება მოვითხოვე, რაც, „ლომკის“ მოხსნისთვისაა აუცილებელი. მეორე ეტაპზე, სახელმწიფომ საკმაოდ ხარჯიანი, მაგრამ საჭირო საქმე უნდა გააკეთოს — უზრუნველყოს ადამიანების ნარკორეაბილიტაცია. ამ პრობლემას მეც გადავაწყდი — ჩემი ახლობელი ამ დანაშაულის გამო დაიჭირეს და, როგორც კი გირაოთი გამოვიდა, იქვე, დემონსტრაციულად, სარკე მოტეხა მანქანას და პატრულს დაელოდა. მერე კი, ციხიდან წერილი გამოგზავნა, ერთადერთი ადგილი, სადაც ნარკოტიკს გადავაგდებ, ციხეა, რადგან გარეთ ამის შესაძლებლობა არ არისო. ეს ტრაგედიაა!

**— შემდეგი ინიციატივა, რაც ჯანდაცვის კომიტეტმა დაგიბლოკათ, ანტიმონოპოლიისკენ გადადგმული ნაბიჯი იყო — გულწრფელად გგონიათ, რომ ბიზნესმენების ამ ინიციატივას პარლამენტში გასვლის შანსი აქვს?**

— ჯანდაცვის კომიტეტში კანონპროექტს ხმა ხუთმა კაცმა მისცა, სამმა — არა, ორმა კი, თავი შეიკავა. რეგლამენტის თანახმად, კომიტეტის უარყოფითი დასკვნა არ აჩერებს კანონპროექტის განხილვას, თან წამყვანი ჯანდაცვის კი არა, დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტია, რომლის სხდომაც მომავალ კვირაში, საგანგებო სესიის დროს გაიმართება. მანამდე, კოლეგებს ვთხოვე, ეს საკითხი უმრავლესობის სხდომაზე განვიხილოთ და შეჯერებული, ერთიანი პოზიციით გამოვიდეთ. ვერტიკალური მონოპოლიები — სადაზღვევო კომპანიები, ფარმაცია და საავადმყოფოები ერთი კაცის ხელში არ უნდა იყოს და წილები უნდა გაიყიდოს. შემოვიდა საქმიანი წინადადება, რომ ამ ტრიადას ბანკებიც უნდა დაემატოს და ეს შენიშვნა, სხვათა შორის, სწორედ ოქრიაშვილისგან იყო.

**— ეს ინიციატივა თქვენმა კოლეგებმა იმ დროს არ მოიწონეს, როცა ბიძინა ივანიშვილი ერთ-ერთ ინტერვიუში აცხადებს, ანტიმონოპოლიური სამსახური შესაქმნელიაო. ეს ის შემთხვევაა, როცა პარლამენტსა და მთავრობას ერთმანეთთან კომუნიკაცია არ აქვთ? სხვათა შორის, ამაზე, როგორც მახსოვს, პრემიერისგან შენიშვნაც მიიღეთ...**

— ზოგ დეპუტატს ინფორმაცია არ აქვს, ზოგი ამ საქმეში არაა ჩახედული, ივანიშვილის ასეთ დამოკიდებულებას კი მივესალმები. სწორედ ეს დამოკიდებულება და ის ფაქტი, რომ ივანიშვილი ხელისუფლებაში ბიზნესის საკეთებლად არ მოსულა და ამის საშუალებას არც სხვას მისცემს, სიმშვიდის საფუძველს მაძლევს!

**— სამაგიეროდ, სიმშვიდის საფუძველს პარლამენტსგარეთ მიმდინარე პროცესები არ იძლევა — პრეზიდენტი შს თანამშრომლებს მოუწოდებს, მინისტრის ბრძანებებს არ დაემორჩილონ, უმრავლესობის კანონპროექტს კი, რომელიც სასამართლოს ეხება, ვეტოს დადებით ემუქრება. რა ხდება, ბატონო კობა, კოჰაბიტაცია ჩავარდა?**

— სააკაშვილის შუქურა ახრჩოლდა და ბოლი გაუშვა! ძალიან ბევრ დასავლელ პოლიტიკოსს თავის ქვეყანაში ეკითხებიან, ესაა თქვენი პიკასოს ბიჭი, ამით ერთობოდით ამდენს ხანსო?! ისინი მიშას კი არა, საკუთარ რენომესა და პოლიტიკურ აწმყოს იცავენ, თუმცა ამ დაცვა-დაცვაში, ერთი კარგი საქმე გააკეთეს — ქვეყანაში ტყვია არ გავარდა. რაც შეეხება სააკაშვილის გამოსვლას, მგონი, ცოტა „აჭრილი“ იყო. მის ვეტოს დავძლევთ — გვაქვს ამის საპარლამენტო მექანიზმი.

**— მიუხედავად იმისა, რომ თქვა, აპრილში ახალ საპარლამენტო არჩევნებს არ ვგეგმავო, სააკაშვილისგან ძალოვანი მინისტრების შეცვლასა და პოლიციაზე კონტროლის დაბრუნებას ელით?**

— აი, როგორც კი ამას გააკეთებს, მაშინ გამოვა ქუჩაში 200 ათასზე მეტი ადამიანი. სააკაშვილს კონსტიტუციური რეზერვი აქვს, პოლიტიკური — არა.

**— მას არ სჭირდება პოლიტიკური რეზერვი, რადგან ერთპიროვნული გადაწყვეტილებით მოქმედება შეუძლია...**

— თუ ამ ნაბიჯს გადადგამს, ე.ი. სააკაშვილს ქვეყანა სამოქალაქო ომისკენ მიჰყავს და ამ ომში დამარცხდება!

**— თქვენი მიზანი სააკაშვილის დამარცხებაა თუ ის, რომ ომი არ დაიწყოს?**

— რა თქმა უნდა — ომი რომ არ დაიწყოს. უნდა სააკაშვილს კონფრონტაცია? — მიიღებს, თუმცა ჩვენი მთავარი ბერკეტი ისაა, რომ როცა ომისთვის მზად ხარ, მშვიდობა იქნება!

# რა კავშირი აქვს ირაკლი ოქრუაშვილს მალხაზ კაკაშვილის გაუჩინარებასთან და ცოცხალია თუ არა „ზილების რევოლუციის“ მთავარი მოწმე

ეკა სეხნიაშვილი



## დაპატიმრებული „ოქრო“ ახალ სკანდალში ეხვევა

## კაკაშვილის გაუჩინარებაზე, მისი ოჯახი პროკურატურას გამოძიების დაწყებას სთხოვს

**უგზო-უკვლოდ გაუჩინარებული მოწმე, შესაძლოა, ოქრუაშვილის გარშემო ახალი სკანდალის მიზეზი გახდეს — 2011 წლის ივნისის ცნობილი სპეცოპერაციის შემდეგ, ოქრუაშვილის თანაგუნდელი და „ზილების რევოლუციის“ ერთ-ერთ მთავარ შემსრულებლად ბრალდებული, შეიარაღებული ბანდფორმირების მეთაურად წოდებული მალხაზ კაკაშვილი ოჯახის წევრებს არც უნახავთ და არც ტელეფონით დაკავშირებიან. მიუხედავად იმისა, რომ ახლობლები ოქრუაშვილს გაუჩინარებული ოჯახის წევრის ადგილსამყოფელის დადგენასა და დახმარებას სთხოვდნენ, თავდაცვის ექსმინისტრი კაკაშვილებს დუმილით პასუხობდა. ახლა კი, როცა სამართალდამცავები შეიძლება, ამ საქმის გამოძიებით დაინტერესდნენ, ოქრუაშვილის დუმილს, ალბათ, ფასი დაეკარგება.**

აქვს თუ არა ინფორმაცია და რატომ დუმს ოქრუაშვილი მისი ერთ-ერთი მარჯვენა ხელის, მალხაზ კაკაშვილის გაუჩინარების გამო? სად გაქრა ოქრუაშვილთან სატელეფონო საუბრის შემდეგ, შიდა ქართლის სატყეო სამსახურის ყოფილი უფროსი? აწყობს თუ არა ოქრუაშვილს კაკაშვილის გაუჩინარების ფაქტზე გამოძიების დაწყება? ცოცხალია თუ არა წელიწადნახევრის წინ, იმჟამინდელი გამოძიების ინფორმაციით, ოქრუაშვილის დავალებით შექმნილი შეიარაღებული ჯგუფის მეთაური? ვის აწყობდა მისი გაუჩინარება? ვისი დავალებით შეიძლება მოეხდინათ კაკაშვილის ლიკვიდაცია? — ამ შეკითხვების ნაწილზე პასუხის გაცემა პარიზიდან ავიარეისით დაბრუნებულ ოქრუაშვილს, ალბათ, მოუწევს.

„ვერსიის“ ინფორმაციით, მალხაზ კაკაშვილის ოჯახი მალე შესაბამის ორგანოებს გამოძიების დაწყების მოთხოვნით მიმართავს. წესით, გაუჩინარებული ჩინოსნის საქმის გამოძიებისას, მის თანაგუნდელებსა და, სავარაუდოდ, ოქრუაშვილსაც დაკითხავენ, მით უმეტეს, რომ შეკითხვები და ეჭვი გაუჩინარებულის ოჯახის წევრებსაც აქვთ, თუმცა დღემდე, ოქრუაშვილისა და მისი თანაგუნდელებისგან პასუხები არ მიუღიათ. ერთ-ერთი დაუდასტურებელი ინფორმაციის თანახმად, მიხეილ ქარელის დაცვის ყოფილმა წევრმა, რომელიც კაკაშვილთან ერთად მიმალვაში იმყოფება, 2012 წლის ზაფხულში ოჯახს აცნობა, რომ სოფელ ზემო არცევში ყოფნის დროს, ღამის საათებში, მალხაზ კაკაშვილი სახლიდან მისთვის უცნობმა პირებმა გაიყვანეს, რის შემდეგაც, ამ უკანასკნელის შესახებ ინფორმაცია არ მიუღია, თუმცა ყველაფერი, ჯერჯერობით, მხოლოდ ვერსიაა. ყურადსაღებია, რომ საქართველოში ირაკლი ოქრუაშვილის ჩამოსვლის პარალელურად, მალხაზ კაკაშვილის გარდა, სამშობლოში მის მიერ შექმნილ ფორმირებებში მონაწილე აბსოლუტურად ყველა ბრალდებული დაბრუნდა. კაკაშვილი ის ფიგურაა, რომელსაც თავდაცვის ყოფილი მინისტრი ყველაზე მნიშვნელოვან დავალებებს აძლევდა. შესაბამისად, მან ოქრუაშვილის ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაციები იცოდა. სწორედ კაკაშვილის ნაამბობის მიხედვით მისცა აღიარებითი ჩვენება საათაშვილმა თავის დროზე შსს-ს, რაც 2011 წლის ე.წ. ზილების რევოლუციის საქმის მასალებიდანაც იკვეთება: გიორგი საათაშვილი ჯგუფის ერთ-ერთ წევრზე, მალხაზ კაკაშვილზე დაყრდნობით, შსს-ს გავრცელებულ ოპერატიულ მასალაში ოქრუაშვილის გეგმაზე საუბრობდა.

ამონარიდი ჩვენებიდან: „როგორც ჩემთვის ცნობილი გახდა, მალხაზ კაკაშვილის თქმით, აპრილის ბოლოს, თვითონ და თამაზ ბეგიაშვილი გადავიდნენ სოფელ ზემო არცევში, სადაც დახვდათ შიდა ქართლის სამხედრო პოლიციის ყოფილი უფროსი ხვიჩა საბაშვილი, რის მერეც, ორ რუს ოფიცერთან, სამხედრო ფორმაში ჩაცმულები ავტომანქანა „ვილისით“, რომლებიც „ფე-ეს-ბე“-ს მოწმობით სარგებლობდნენ, გადაიყვანა ორჯონიკიძეში“.

საათაშვილის თქმითვე, აღნიშნული სამი პიროვნება ვლადიკავკაზში, ერთ-ერთ შენობაში შეხვდა ირაკლი ოქრუაშვილს. საათაშვილის თქმით, ოქრუაშვილს თან ახლდა ერთი ქართველი და სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული ორი რუსი. „კაკაშვილის თქმით, ირაკლი ოქრუაშვილი აპირებდა 200 რუსი სპეცრაზმელის თანხლებით შემოსვლას, სადაც დახვდებოდა შეიარაღებული ქართული ჯგუფები, რის შემდეგ მათ საგუშაგოების განიარაღება უნდა განეხორციელებინათ. ერთ-ერთ საგუშაგოზე დაგეგმილი იყო შესვლა „ზილის“ მარკის ავტომანქანით. ამის შემდეგ, კაკაშვილის თქმით, აპირებდნენ გორში მდებარე სპეცრაზმის შენობასა და შიდა ქართლის სამხარეო სამმართველოზე თავდასხმას“, — აცხადებდა საათაშვილი. „ქართული პარტიის“ ლიდერები მაშინ ფალსიფიკაციასა და სააკაშვილის მთავრობის მხრიდან პოლიტიკურ ანგარიშსწორებაზე ალაპარაკდნენ, თუმცა ჯერ კიდევ მაშინ გაჩნდა ვერსია, რომ ოქრუაშვილმა, შესაძლოა, ერთ-ერთი თანაგუნდელის მხრიდან ინფორმაციის გაჟონვაზე იეჭვა... მართალია, ოქრუაშვილი უკანონო შეიარაღებული ბანდფორმირების შექმნა-ხელმძღვანელობას უარყოფდა და დღესაც უარყოფს, მაგრამ ამ ეპიზოდში ბრალი არც ივანიშვილის ხელისუფლების პირობებში მოეხსნა. 2011 წელს შსს-მ გაავრცელა სატელეფონო საუბრებიც, მათ შორის, თავდაცვის ყოფილი მინისტრის, ირაკლი ოქრუაშვილისა და მალხაზ კაკაშვილის საუბრის ჩანაწერი, რომლის შინაარსიც ასეთია:

**ოქრუაშვილი:** — გაუმარჯოს, დალაგდით?

**კაკაშვილი:** — კი, კი.

**ოქრუაშვილი:** დალაგდით, თუ ისე რა?

**კაკაშვილი:** — არა, არა, ერთად ვართ, კარგად ვართ.

**ოქრუაშვილი:** — ყველაფერი წესრიგშია?

**კაკაშვილი:** — კი.

**ოქრუაშვილი:** — ხო, „ხარაშო“, კარგი, კარგად.

**კაკაშვილი:** — კარგი, ნახვამდის, გელოდებით...

**დღეს ოქრუაშვილი თბილისშია. მასთან ერთად, სასამართლოს წინაშე წარსდგება მისი ყველა თანაგუნდელი და საქმის ირგვლივ ძებნილი პიროვნება, მათ შორის, ტერაშვილები და მიხეილ ქარელის დაცვის წევრი ზაზა ბეთლემიძე, რომელიც, როგორც ცნობილია, მალხაზ კაკაშვილთან ერთად, ზემო არცევში იმყოფებოდა. სასამართლო ე.წ. ზილების რევოლუციისა და უკანონო ფორმირებების საქმეებს განიხილავს, თუმცა აქამდე, არც პროცესზე გახმაურებულა და არც ოქრუაშვილს უთქვამს, რა ბედი ეწია მისი ჯგუფის მეთაურად წოდებულ, წელიწადნახევრის წინ გაუჩინარებულ თანამებრძოლ მალხაზ კაკაშვილს. დღემდე ისიც გაურკვეველია, ცოცხალია თუ არა ოქრუაშვილის ჯგუფის მეთაური. მიუხედავად იმისა, რომ უგზო-უკვლოდ დაკარგული კაკაშვილის მეუღლე ჟურნალისტებთან კონტაქტს გაურბის, „ვერსიამ“ ქალბატონ ნანა კაკაშვილთან გასაუბრება მაინც მოახერხა:**

**— ქალბატონო ნანა, ოქრუაშვილის დედას შეხვდით?**

— კი, შევხვდი... გეხვეწებით, უხერხულ სიტუაციაში ნუ მაგდებთ... ჩვენს ინტერესში შედის, ყველაფერი გაირკვეს, მაგრამ ყველაფერს თავის დროს აქვს.

**— ქალბატონო ნანა, ერთ-ერთი ინფორმაციით, თქვენი მეუღლე ზემო არცევში ყოფნისას, ღამით სახლიდან გაიყვანეს და ამის შესახებ თქვენმა ახლობელმა, ასევე ოქრუაშვილის თანაგუნდელმა შეგატყობინათ...**

— არ მინდა ამაზე საუბარი! თქვენ საიდან გაქვთ ეს ინფორმაცია?

**— შეკითხვას გისვამთ... ფაქტია, რომ ახლახან გამართულ სასამართლო პროცესზე, თქვენი მეუღლის გარდა, ყველა წარსდგა... ახლა სხვა პოლიტიკური სიტუაციაა, ზეწოლა გამორიცხულია... თქვენი მეუღლე კი არ ჩანს...**

— ახლა ვერაფერს გეტყვით...

**— ოქრუაშვილის დედას რომ შეხვდით, რა გითხრათ?**

— არ გეტყვით. ვერ გეტყვით, უფრო სწორად...

**— ოქრუაშვილს რატომ არ შეხვდით, რატომ არაფერი ჰკითხეთ? იქნებ იცოდა, სად იყო თქვენი მეუღლე? ამ თემაზე საუბრისგან თავს იკავებდა?**

— ვერაფერს მათქმევინებთ... რატომ მაყენებთ უხერხულ მდგომარეობაში?

**— მეუბნებით, რომ ჯერ ვერაფერს იტყვით, რადგან რაღაცას ელოდებით. მაინც, რას ელოდებით?**

— დამთავრდება ეს სასამართლო პროცესები... მალე, დღე-დღეზე მივმართავთ გამოძიებას...

**— ზემო არცევში, თქვენ მეუღლესთან ერთად, როგორც ცნობილია, თქვენი ნათელმირონი, ზაზა ბეთლემიძეც იმყოფებოდა, მასთან შეკითხვები არ გაქვთ?**

— როგორ არ მიჩნდება, მაგრამ... ვერ შევხვდი ფიზიკურად, რომ დაველაპარაკო...

**— პარიზში მყოფ ოქრუაშვილთან ხომ არ იყო დაკავშირების პრობლემა. არ გიცდიათ?**

— ყველაფერი გვიცდია, მაგრამ კარგი, რა, ნუ მალაპარაკებთ, ძალიან გთხოვთ...

**— რას გეუბნებოდათ?**

— არაფერს, კონკრეტულს. გვეუბნებოდნენ, რომ არაფერი იცოდნენ. ჯერჯერობით, თავს ვიკავებ საუბრისგან.

**— ქალბატონო ნანა, ოქრუაშვილმა ხომ იცოდა, რომ თავისი თანაგუნდელი გაუჩინარებული იყო, რატომ არ კითხულობდა, როგორ ფიქრობთ?**

— ეგ იმას ჰკითხეთ... დრო მოვა და ყველა კითხვაზე გავაცემინებ ყველას პასუხს. სხვა რა გითხრათ? ამ წუთას ვერაფერს გეტყვით. თუ ჩვენ გადავწყვეტთ და რაღაც იქნება, მე თვითონ დაგირეკავთ... ძალიან გთხოვთ, ისეთი არაფერი დაწეროთ, რაც არ მითქვამს...

**— ოქრუაშვილთან შეხვედრის სურვილი არ გაგჩენიათ?**

— გამჩენია, მაგრამ სად შევხვედროდი?

**— თქვენი მეუღლე ოქრუაშვილის მარჯვენა ხელად ითვლებოდა, როგორ ფიქრობთ, მისი თანამებრძოლი ამდენ ხანს გაუჩინარებული იყო და რატომ არ გეკონტაქტებოდათ?**

— მეც მაგას ველოდები, რომ ყველას ყველაფერზე გავაცემინო პასუხი. ველოდები, რომ ეგენი გამოვიდნენ ციხიდან, რომ გავაცემინო იმ კითხვებზე პასუხი, რაც გამიჩნდა. ვაპირებთ, მივმართოთ შესაბამის სტრუქტურებს ჩემი მეუღლის გაუჩინარების გამო... 28-ში სასამართლო პროცესია ჩანიშნული და მაგის შემდეგ, ალბათ... ჯერ ზუსტად არაფერი ვიცი.

**— ოქრუაშვილს სხვების საშუალებით რომ უკავშირდებოდით, რას ამბობდა?**

— კონკრეტული არაფერი იყო... მეუბნებოდნენ, არაფერი იცისო... არაფერი ვიცი... ვერავისზე ვერაფერს ვიტყვი... ველოდები მათ გამოსვლას, რომ კითხვები დავუსვა და რამე გავიგო. მეტს, ამ ეტაპზე, ვერაფერს გეტყვით.

## ვიქტორ დოლიძის თქმით, სააკაშვილის ბოლოდროინდელი განცხადებები კლინიკურ სფეროს განეკუთვნება



**„სააკაშვილის ბოლოდროინდელი განცხადებები კლინიკურ სფეროს განეკუთვნება“,** — განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ მიხეილ სააკაშვილის გამოსვლის კომენტირებისას, საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ვიქტორ დოლიძემ და დასძინა, რომ პრეზიდენტის განცხადებების პოლიტიკური შეფასება უჭირს, — **„ძალიან ვწუხვარ, რადგან ეს ქვეყანას არ წაადგება. ჩვენ კოჰაბიტაციისა და ნორმალური პოლიტიკური გარემოს დამკვიდრებისკენ ვართ მოწოდებულნი, მაგრამ ეს კაცი ამის საშუალებას არ გვაძლევს. მუშაობას იმავე მეთოდებით გავაგრძელებთ და მის განცხადებებს არ ავყვებით, მისი სიტყვების შეფასება, სამწუხაროდ, ჩემს სფეროს აღარ განეკუთვნება“.**

საქართველოს პრეზიდენტმა „ექსპო ჯორჯიაში“ „ნაცმოძრაობის“ კონფერენციაზე გამოსვლისას განაცხადა, რომ პარტია **„საკმარისად თავდაჯერებულად დაბრუნდება“.**

**„ახალმა ხელისუფლებამ თვენახევარში იმდენი შეცდომის დაშვება მოასწრო, რაც „ნაცმოძრაობას“ 8 წელიწადში არ დაუშვია“.**

***„ინტერპრესნიუსი“***

## საქართველოში ძლიერი მიწისძვრა მოხდა

23 დეკემბერს, 17:31 საათზე, შავი ზღვის ტერიტორიაზე, საქართველოს სანაპირო ზოლიდან 46 კმ-ში, ძლიერი მიწისძვრა მოხდა.

სეისმური მონიტორინგის ცენტრის ინფორმაციით, მიწისძვრის სიმძლავრემ 5.7 მაგნიტუდა შეადგინა.

***„პირველი“***

## გიორგი ვაშაძის თქმით, „ნაცმოძრაობა“ ხელისუფლებაში დაბრუნებისთვის ემზადება



საპარლამენტო უმცირესობის ერთ-ერთი ლიდერის, გიორგი ვაშაძის განცხადებით, „ნაცმოძრაობა“ მზადაა, ამომრჩევლების შენიშვნები გაითვალისწინოს და ხელისუფლებაში დაბრუნდეს.

**„9 წელი ვშრომობდით, რათა მსოფლიო რუკაზე ვყოფილიყავით არა როგორც კორუმპირებული, არამედ, როგორც მოდერნიზებული ქვეყანა. 9 წლის განმავლობაში ბევრს გვაკრიტიკებდნენ. რა თქმა უნდა, როცა 9 წელი ერთი ძალა მართავს ქვეყანას, კრიტიკის საშუალება ეძლევა საზოგადოებას, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ამ პერიოდში მსოფლიომ ჩვენს ქვეყანას სხვა თვალით შეხედა. სწორედ „ნაცმოძრაობის“ დამსახურებაა, რომ საქართველო, როგორც სახელმწიფო, ჩამოყალიბდა. 1 ოქტომბერს არჩევნები წავაგეთ და ეს თითოეული ჩვენგანისთვის შემზარავი იყო, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ამ არჩევნებზე ამომრჩეველმა გვითხრა, ახლა სხვა ძალას ვირჩევთ, თქვენ კი გაითვალისწინეთ ჩვენი შენიშვნებიო. დიახ, ჩვენ მზად ვართ, გავითვალისწინოთ შენიშვნები და დავბრუნდეთ ხელისუფლებაში, მაგრამ არა როგორც დაბოღმილი ძალა, არამედ — ახალი იდეებით“,** — განაცხადა ვაშაძემ.

მისივე თქმით, „ნაცმოძრაობა“ ბევრ პროგრესულ იდეას შესთავაზებს ხელისუფლებას და თუ ამას გაითვალისწინებს, ქვეყანა ძალიან მალე განვითარდება: **„ხშირად გვეუბნებიან, აცადეთ ახალ ხელისუფლებასო. დიახ, მზად ვართ, მას ქვეყნის განვითარება ვაცადოთ, მაგრამ ქართველი ხალხის მოტყუებას არავის ვაცდით“.**

***„პირველი“***



ნინო კომახიძე
პოლიტიკა

# დევნილთა მინისტრის პირობა: „2016 წელს ყველა დევნილი დაკანონებულ ფართებში იქნება შესახლებული!“



**მართალია, ამბროლაურში მაჟორიტარული არჩევნები 126 ხმით წააგო, სამაგიეროდ, მინისტრის პოსტი „მოიგო“ — „ეროვნული ფორუმის“ წევრი დავით დარახველიძე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრია. როდის დასრულდება უკლებლივ, ყველა დევნილის საცხოვრებელ ფართში შესახლება და, რაც მთავარია, ამ ფართების დაკანონება? რას სთავაზობს სამინისტრო იმ ოჯახებს, ვინც სხვის კერძო საკუთრებას უკანონოდ იკავებს და რა შემთხვევაში მოხდება პოლიციის ძალით მათი გამოსახლება? როდის დაურიგდება სოციალურად დაუცველ დევნილებს გაორმაგებული შემწეობა, რა სიურპრიზს უმზადებს კობა სუბელიანს და რას ფიქრობს მის შესაძლო მოხსნაზე? — ამ და ათიათასობით დევნილისთვის საინტერესო სხვა შეკითხვებზე „ვერსიას“ ექსკლუზიურად, პროფესიით იურისტი, კონტროლის პალატის ყოფილი თანამშრომელი და თავადაც დევნილის სტატუსის მქონე დევნილთა მინისტრი ДАВИТ ДАРАХВЕЛИДЗЕ პასუხობს:**

## პასუხები დევნილებისთვის ყველა საინტერესო შეკითხვაზე

— წინასწარ გეტყვით, რომ გამოძიებას დევნილთა სამინისტროდან ბევრი სიურპრიზი ელის — დიდი სამუშაო ჩატარდა და საინტერესო მასალები მოვიძიეთ. საერთოდ, იმის დადგენა, უწყებაში ვინ რა დანაშაული ჩაიდინა, ცოტა მეტ დროსა და მაღალ კვალიფიკაციას მოითხოვს. ჩვენს სამინისტროს იმხელა ბიუჯეტი არ აქვს, სხვა უწყებების სენსაციები გადავფაროთ, მაგრამ საზოგადოებისთვის იმის გაგება, რომ დევნილების დახმარების ნაცვლად, ვიღაცამ ბიუჯეტის თანხა პირადი კეთილდღეობისთვის გამოიყენა, ძალიან გულსატკენი იქნება!

**— ითქვა, რომ თქვენმა წინამორბედმა კობა სუბელიანმა სამინისტროს ბიუჯეტის სოლიდური თანხა კაზინოში წააგო. თქვენს მიერ მოძიებული მასალების საფუძველზე, სუბელიანს დაპატიმრება ემუქრება?**

— ნებისმიერ შემთხვევაში, ყველაფერზე, რაც სამინისტროში ხდება, პასუხისმგებელი მინისტრია! პირდაპირ გეტყვით: საუბარია ტრანზაქციაზე, რომელსაც შესაძლოა, ხელი სხვამ მოაწერა, მაგრამ სიტყვიერი ბრძანება სხვამ გასცა. თუ დადასტურდა, რომ ეს უკანონობა სწორედ სხვისი დავალებით მოხდა, მაშინ დანაშაული გადანაწილდება.

**— ამ „გადანაწილებაში“ სუბელიანიც მოხვდება?**

— მთავარი ბრალდება იმაზე მოდის, ვინც დოკუმენტებს ხელს აწერს. რამდენადაც ვიცი, კობა სუბელიანი ხელმოწერების დიდი სიყვარულით არ გამოირჩეოდა და ამას სხვები აკეთებდნენ. ყოველ შემთხვევაში, უკვე შემხვდა მისი მოადგილეებისა და ქვედა რგოლების მიერ ხელმოწერილი დოკუმენტები!

**— ამ დოკუმენტებს როდის გაასაჯაროებთ?**

— ჯერჯერობით, დეტალები დასამუშავებელია. ვცდილობ, რაღაც ისეთი არ გავაჟღერო, რაც მერე არ დადასტურდება. სწორედ სიჩქარის გამო, შესაძლოა, პირველ ეტაპზე დაპატიმრებები მთლად გამყარებული არ იყო მტკიცებულებებით. კითხვები მეც გამიჩნდა. არც იმის მომხრე ვარ, დაჭერები პირდაპირი ეთერით შუქდებოდეს. ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, არ ვაჩვენებდი, როგორ წაუყენეს ვიღაცას ბრალი. აქედან გამომდინარე, არც მე ვჩქარობ და არც სხვას ვაჩქარებ — დასაბუთებას ველი და მერე, მასალებიც გამოქვეყნდება. რაც შეეხება „ქართული ოცნების“ დანაპირებს, წარმატება გაზაფხულიდან გახდება შესამჩნევი — 2013 წლის ბიუჯეტში დევნილთა სამინისტროს დაფინანსება გაორმაგდა, რაც ჩვენი მუშაობის შედეგსაც დაეტყობა. უკვე ყველა ხედავს, რომ მინისტრი, როგორც სუბელიანი, სამსახურში უკანა კარიდან არ დადის. სამინისტროს კარი გავაღეთ და კვირის ყოველი დღე დევნილების მიღებას ეთმობა. პირადად, მე, ამისთვის ერთი დღე გამოვყავი, სხვა დღეებში კი, დევნილებს ჩემი მოადგილეები ხვდებიან, რაც იმის საშუალებას გვაძლევს, მათ მდგომარეობას უკეთ გავეცნოთ.

**— ეს შეხვედრები, ალბათ, იმის საშუალებასაც გაძლევთ, თქვენი კაბინეტის ფანჯრებქვეშ თავის დაწვა, ან დევნილთა ფოცხო-ეწერში სატვირთო მანქანით მასობრივი გადასახლება არ დაუშვათ, არა?**

— ბაქოს ქუჩაზე, სადაც დევნილი ქალბატონები, მართლაც, დადიოდნენ ბენზინით სავსე ბოთლებით, ბევრი სენსაციას ელოდა, მაგრამ ჩვენი უაღრესად თავმდაბალი პოზიციისა და თხოვნა-მუდარის წყალობით, შედეგს მივაღწიეთ — მიუხედავად იმისა, რომ პოლიცია მათ გამოსასახლებლად უკვე მზად იყო, რაც სამართლებრივად სწორია, დევნილთა გადასარწმუნებლად მე და ჩემმა თანამშრომლებმა ყოველი ღონე ვიხმარეთ და შევთანხმდით. შემიძლია, ჩავთვალო, რომ ეს ჩემი სერიოზული წარმატებაა. ვამაყობ, რომ სეირის მაყურებლებისთვის სეირი შედგა და ბოლოს საქმე ისე შემოტრიალდა, ბაქოს ქუჩის შენობიდან გამოსახლებული დევნილები მადლობას მიხდიდნენ. სიმართლე გითხრათ, ეს მეც მიკვირს, მაგრამ ამას იმით მივაღწიეთ, რომ სამინისტროში მოსვლიდან დღემდე ტყუილი არ გვითქვამს და არც მომავალში ვიტყვით.

**— რადგან ასეა, მაშინ განმარტეთ დაპირება, რომელიც დევნილებს მიეცით: ჯერ უთხარით, ვიდრე საკუთარი ფართი არ გექნებათ, ბინის ქირას გადაგიხდითო, მერე ეს ვადა 6 თვეზე ჩამოიყვანეთ, ბოლოს კი აღმოჩნდა, რომ ბიუჯეტში, თურმე, საკმარისი თანხა არაა?!**

— სოციალურად დაუცველებისთვის ჯანდაცვის სამინისტროს დაპირებას და ჩვენს განცხადებებს ნუ ავურევთ. ვთქვი, დახმარებას, სავარაუდოდ, სოციალურად დაუცველი ის დევნილები მიიღებენ, რომელთა ოჯახის შემოსავალიც 193 ლარზე ნაკლებია-მეთქი. ეკონომიკის სამინისტროს დახმარებით, მოვიძიეთ ფართი, დავიწყეთ მისი რეაბილიტაცია, ვითხოვეთ, მაქსიმუმ, 2 თვე და ამ ხნის განმავლობაში, ოჯახებს ბინის ქირას, 300 ლარს ჩვენ გადავუხდით, თან მყარი გარანტია მივეცით, რომ მოსკოვის პროსპექტზე, რეაბილიტირებულ შენობაში შევასახლებთ.

**— ბოლო მონაცემებით, 600-ზე მეტი დევნილი 53 სხვადასხვა ობიექტს უკანონოდ იკავებდა. მათი მისამართით არაპოპულარული განაცხადი გააკეთეთ, პოლიცია გამოასახლებსო. ამ კუთხით დღეს რა ხდება?**

— აქ დევნილთა და ეკონომიკის სამინისტროს, რიგ შემთხვევაში კი, მერიის ინტერესებიც იკვეთება. ვადასტურებ, რომ ყველა შეჭრა უკანონოა და ამას მხარს არ ვუჭერ. ვიცი, ეს არაპოპულარული, მაგრამ სამართლიანი გადაწყვეტილებაა — მათ დანაშაული ჩაიდინეს და კანონი დაარღვიეს! ეს დევნილებსაც ვუთხარი, თუმცა სახელმწიფო მათ ვალს კიდევ დიდხანს ვერ გაისტუმრებს! მიუხედავად ამისა, ყველა შეჭრილმა შენობები უნდა დატოვოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფოს აქვს შესაძლებლობა და ვალდებულება, მესაკუთრეთა უფლებები დაიცვას და ეს ხალხი ძალისმიერი მეთოდებით გამოასახლოს! ამ ეტაპზე, 50-მდე ობიექტია, სადაც დევნილთა ოჯახები შეიჭრნენ და ყველა მათგანი მოლაპარაკების ინდივიდუალურ რეჟიმზე უნდა გადმოვიდეს.

**— ამ რეჟიმზე გადმოსვლის სანაცვლოდ, რას სთავაზობთ, ან რა გონივრულ ვადას აძლევთ, რომ ფართები ნებით დატოვონ?**

— ვადა თითოეული ოჯახის ინდივიდუალურ მონაცემებზე, ასევე ფართის მეპატრონის კეთილ ნებასა და მის საჭიროებაზეა დამოკიდებული. ზოგიერთი ოჯახი ცარიელ, ცივ შენობაშია, რომელსაც ეკონომიკის სამინისტრო ვერ ყიდის. გამოსახლების პროცესი მაშინ დაიწყება, როცა ეკონომიკის სამინისტროს კლიენტი გამოუჩნდება. გამოსახლების პროცესში ყველაფერს გავაკეთებ, რომ ამ ხალხს პოლიცია ძალით არ მოათრევდეს და სატვირთო მანქანაში არ ყრიდეს. ზოგიერთი თავზეხელაღებულისგან წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში, სამწუხაროდ, ვერც ძალის გამოყენებას გამოვრიცხავ, მაგრამ დღესა და ღამეს გავასწორებ, ეს რომ არ მოხდეს.

**— დავუშვათ, ეს ხალხი მოლაპარაკებაზე წამოვიდა, მაგრამ ლოკალური პრობლემები მაინც გექნებათ. დევნილებთან დაკავშირებით, სამინისტროს მასშტაბური მიდგომა არ აქვს?**

— უკვე მათქმევინეთ, რომ ბიუჯეტი გაგვიორმაგდა, მაგრამ ვერც ეს ბიუჯეტი გადაწყვეტს ყველა პრობლემას. 2013 წელს ჩვენი ბიუჯეტი 50 მილიონი ლარია, საერთაშორისო დახმარების სახით კი, 83 მილიონ ლარს ვიღებთ. ასევე, ეკონომიკის სამინისტრო გვაძლევს ობიექტებს, რომელთა რეაბილიტაცია გაცილებით იაფია, ვიდრე — ახალი შენობის აგება. თქვენს მოსვლამდე კაბინეტში ეკონომიკის მინისტრის პირველი მოადგილე, ქუმსიაშვილი მყავდა, რომელთან ერთადაც ძალიან სერიოზული, 250-მილიონიანი პროექტი განვიხილეთ და თუ ეს საქმე ბოლომდე მივიდა, ჯამში, სამინისტროს კაპიტალი 450 მილიონზე ავა!

**— ბატონო დავით, ახლა ის მითხარით, ამ ნახევარ მილიარდს, კონკრეტულად, როგორ გაწერთ?**

— პირველ რიგში, აღვნიშნავ, რომ დევნილის დახმარება, რომელიც დღეს 28 ლარია, გაისად 56 ლარი გახდება.

**— ანუ, ოჯახის ყველა წევრი 56 ლარს მიიღებს?**

— დიახ! ძველი კარკასული შენობების გადმოცემის თაობაზე თავდაცვის სამინისტროსთან მიდის მოლაპარაკება.

**— რომელ შენობებს გულისხმობთ?**

— თბილისში ვაზიანის, გარდაბანში კი — „პაბედას“ დასახლებას. დედაქალაქში სხვა ცარიელ შენობასაც მოგვცემენ. ასევე, შევთანხმდით, რომ თუკი საშუალო ოჯახისთვის საცხოვრებლად საკმარისი ფართი, დაახლოებით, 60 კვ. მეტრი 15 000 დოლარზე ნაკლებად იყიდება, მას ეკონომიკის სამინისტრო დაგვითმობს. ფართი ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე რჩება, ჩვენ კი, გავარემონტებთ. იგეგმება ახალი მშენებლობებიც: ზუგდიდში 8 კორპუსი აშენდება, ფოთში — 5, ქუთაისში — 7. ბათუმშიც გვაქვს სარეაბილიტაციო ნაგებობები, სამტრედიაშიც, ტყიბულშიც, ვანშიც, ზესტაფონშიც. გვსურს, 2013 წელს, მინიმუმ 2 ათასი და გაცილებით მეტი ოჯახის პრობლემა გადაწყდეს!

**— ჩემი აზრით, პრობლემას მხოლოდ ფართის დაკანონება გადაწყვეტს, რადგან ხომ შეიძლება, ერთ დღეს ეკონომიკის სამინისტრომ მის ბალანსზე არსებული ფართიდან ეს ხალხი ისევე გამოასახლოს, როგორც მაგალითად, თავის დროზე, გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობიდან?**

— დაკანონება მიმდინარე პროცესია, რასაც ხელს ერთი რამ უშლის — ახლაც კი, ჩემთან ორი ისეთი მოადგილე მუშაობს, ვის დამტკიცებასაც, თვეზე მეტია, პრეზიდენტი ხელს არ აწერს! აღარაფერს ვამბობ იმ კანონპროექტებზე, რომელთა დამტკიცებასაც პრეზიდენტის ფაქსიმილე სჭირდება. ახირებულია ეს კაცი და ამას არ აკეთებს. ჩემი მოადგილეები კი, ხელფასს ვერ მიიღებენ, რადგან არ გვაქვს მათი დამტკიცების საბუთი სააკაშვილის ლამაზი ხელმოწერით! გარდა ამისა, ფართების დაკანონებას ისიც აჭიანურებს, რომ 2012 წლის არჩევნების წინ, დევნილთა სამინისტრომ ფართების მასობრივი დაკანონება დაიწყო, რაც შეიძლება მეტი ხმის მისაღებად. სიჩქარეში, ეს პროცესი დარღვევებით წარიმართა, პროცედურული დარღვევების გამო კი, საჯარო რეესტრი და ეკონომიკის სამინისტრო ჩვენ შემოგვიბრუნდა. პასუხს ყველა ჩვენ გვთხოვს, ამ ხარვეზების გამოსწორებას კი დრო უნდა!

**— ბატონო დავით, დამიკონკრეტეთ, რა დრო დასჭირდება ყველა დევნილის სრულად შესახლებასა და ფართების დაკანონებას? რა არის თქვენი გეგმა მაქსიმუმი?**

— ვის სჭირდება ისეთი მინისტრი, დევნილს რომ ეტყვის, კიდევ 20 წელი მაცადე და პრობლემას მოგიგვარებო?! რა გამოვა, ერთად ვნახავთ, თუმცა ახლა მაიძულებთ, ძალიან ამბიციური განაცხადი გავაკეთო. გეგმა მაქვს, ძალიან მეშინია ამ განცხადების, მაგრამ უკან არ დავიხევ — 2016 წლამდე ყველა დევნილი შესახლებული იქნება მათთვის დაკანონებულ ფართებში!

**— ალბათ, ისეთ შემთხვევებსაც გადააწყდებით, როცა შეთავაზებულ რაიონებზე არ დაგთანხმდებიან და ბინას ვაკეში მოგთხოვენ. ასევე, ნახავთ ხალხს, ვინც დევნილის სტატუსით ბოროტად სარგებლობს — საკუთარ ფართს აქირავებს მაშინ, როცა სხვას ერთი ოთახიც არ აქვს. ამ პრობლემებზე გიფიქრიათ?**

— უკვე გადავაწყდი მსგავს შემთხვევებს: ვაკეში, ჭავჭავაძის №49-ში, სახლი დაინგრა, სადაც 34 ოჯახი ცხოვრობდა. მათ ვაზიანის რეაბილიტირებულ შენობაში გადასვლა შევთავაზე და აღმოჩნდა, რომ ვაზიანში კი არა, ვარკეთილშიც არ უნდათ გადასვლა! მათი უფლებაა, მიიღონ თუ არა შეთავაზება. რაც შეეხება შეკითხვის მეორე ნაწილს, ჯერჯერობით, აღწერილი არ არის, ვინ არ სარგებლობს სამინისტროს მიერ გამოყოფილი ფართით, ბევრი მაგალითიც გვაქვს, რომ დევნილი სახლს კეტავს, ან სხვა დევნილზე აქირავებს. თუმცა არ გვაქვს მექანიზმი, ვინმეს ამ ფართით სარგებლობის უფლება ჩამოვართვათ. ზოგადად, უნდა არსებობდეს ნორმა, ან შეზღუდვა და ეს მხოლოდ ჩვენი სამინისტროს ფუნქცია უნდა იყოს. სამართლებრივი მიმართულებით სერიოზული სამუშაოა ჩასატარებელი, სამაგიეროდ, ეს შრომად ღირს, რადგან დამატებითი რესურსი გამოგვიჩნდება. მარტო ბათუმში 200-მდე დაკეტილი თუ გაქირავებული ბინა ვიცი და ამ რესურსს გამოყენება უნდა!

**— რაც შეეხება ადამიანურ რესურსს, როგორც ვიცი, ძველი თანამშრომლები არ გაგითავისუფლებიათ. საინტერესოა, ვინ არ დარჩა სამინისტროში?**

— მხოლოდ რამდენიმე ადამიანს, მაგალითად, გიორგი გეგეჭკორს შევუთვალე, უკეთესი იქნება, თუ არ დამხვდებით-მეთქი... ჩვენი აზრები დაემთხვა და ისინი სამსახურიდან საკუთარი განცხადებით წავიდნენ. იყო რამდენიმე „ოდეერი“, რომელთაც თავად მითხრეს, ჩვენთვის მიუღებელი ხარო და წავიდნენ. მე ერთადერთი კაცი გავათავისუფლე, გვარად სიგუა, რომელმაც ჩემს მიერ გაცემული ბრძანება თვენახევრით თაროზე შემოდო და უხერხულ მდგომარეობაში ჩამაგდო. ის ახლა, ჩემი ინფორმაციით, სასამართლოში აპირებს სარჩელის შეტანას, მაგრამ ვიცი, სწორად მოვიქეცი. ამის გამო, მის მოადგილეს გაფრთხილება, ჩემს ორ თანაშემწეს კი, შენიშვნა მივეცი!

**— მკაცრი ხართ, ბატონო დავით?**

— მკაცრი, მაგრამ — სამართლიანი... საჭიროების შემთხვევაში, შემიძლია, ძალიან მკაცრად მოვიქცე და ხელიც არ ამიკანკალდეს!

**— ისე, მინისტრად სკანდალის ფონზე დაინიშნეთ, ახლა კი, ამბობენ, იანვარში, რამდენიმე მინისტრთან ერთად, დარახველიძესაც მოხსნიანო. ასეთ განაჩენს ელოდებით?**

— პირველად მესმის. საერთოდ, კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდება. ასეთი მოსაზრება რომც არსებობდეს, ეს ჩემთვის ტრაგედია არ იქნება, შეიძლება, უკეთესიც იყოს!

**— რატომ, უკვე დაიღალეთ?**

— დაღლა არაფერ შუაშია, თუმცა არც აქ ყოფნაა დიდი ბედნიერება. თავს არ ვზოგავ, ის გავაკეთო, რაც მავალია, თუმცა, შესაძლოა, ეს საკმარისი არ აღმოჩნდეს და ჩათვალონ, რომ ამ საქმეს სხვა უკეთ გააკეთებს. არა უშავს, ამასაც შეჩვეული ვარ. არ ვიცი, ეს იმუნიტეტია თუ უნარჩვევა, მაგრამ მერე, არ ვიკარგები ხოლმე. მით უმეტეს, ახლა, თითქოს, გაზაფხულზე ხელახალ არჩევნებზე ალაპარაკდნენ. ჰოდა, ასე თუ მოხდა, ისევ მივიღებ მონაწილეობას, კენჭსაც ისევ ამბროლაურში ვიყრი და სამართლიანობას აღვადგენ!

## რა „კრიმინალურ სიურპრიზს“ უმზადებს კობა სუბელიანს და მართლა ხსნიან თუ არა დავით დარახველიძეს



## პოლიტპატიმრები ერთ კვირაში გათავისუფლდებიან



პარლამენტის მიერ დამტკიცებული ამნისტიის შესახებ კანონით, დაახლოებით, 3 ათასი ადამიანი პატიმრობიდან გათავისუფლდება, დაახლოებით, 1 500 პირს სასჯელი გაუნახევრდება, 16 ათასამდე მსჯავრდებულს კი, სასჯელი 1/4-ით გაუნახევრდება. ამნისტია მხოლოდ უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირებს არ ეხება, თუმცა შესაძლოა, მომავალში, მათი საქმეების გადახედვა მოხდეს.

როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია აცხადებს, ამნისტია პატიმართა ოჯახებისთვის დიდი შვება იქნება, ეს უნიკალური კანონია, რომელიც პარლამენტმა მიიღო და ამ პროექტით, საკანონმდებლო ორგანო იამაყებს. **„ეს ამნისტია ყველა სხვა ამნისტიისგან გამორჩეულია და ეს ინიციატივა ყველა პატიმარს შეეხება“,** — აცხადებს კანონმდებელი. აღსანიშნავია, რომ ამნისტიის კანონის შედეგად, ერთ კვირაში, ის პირებიც გათავისუფლდებიან, რომელთაც პარლამენტმა პოლიტპატიმრის სტატუსი მიანიჭა. ასეთი 190 ადამიანია.

პოლიტიკური ნიშნით პატიმრობაში მყოფ პირთა მიმართ ამნისტია უნდა აღასრულოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარმა პროკურატურამ და საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტრომ, კანონის ძალაში შესვლიდან ერთი კვირის ვადაში. ამავე ვადაში უნდა გაუქმდეს პოლიტიკური ნიშნით სისხლისსამართლებრივად დევნილ პირთა მიმართ აღმკვეთი ღონისძიება. ამ მოთხოვნით, მთავარი პროკურატურა, ამნისტიის კანონის საფუძველზე, შუამდგომლობით მიმართავს უფლებამოსილ სასამართლოს, ან ბრალდებულის თანხმობით წყვეტს სისხლისსამართლებრივ დევნას. მსჯავრდებულის სასჯელისგან გათავისუფლების შესახებ კი პროკურატურა მიმართავს თავდაპირველი გადაწყვეტილების გამომტან რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს.

შეგახსენებთ: პარლამენტმა 80 მომხრე ხმით, არც ერთის წინააღმდეგ, ამინისტიის შესახებ კანონი დაამტკიცა. უწყებაში პროექტის განხილვა კი დებატების, კამათისა და დაპირისპირებების ფონზე მიმდინარეობდა. სხდომაზე, კანონი უმრავლესობამ მიიღო, რადგან უმცირესობა, პროტესტის ნიშნად, რამდენიმე დღით საპარლამენტო მოღვაწეობაზე უარს ამბობს.

***for.ge***

## ქმარმა ცოლი ბოქლომით მოკლა



მეუღლის მკვლელობის ბრალდებით, სამართალდამცველებმა მამაკაცი დააკავეს.

როგორც „პირველს“ შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, დაკავებულია გარდაბნის რაიონის სოფელ ალთაკლიაში მცხოვრები, 1966 წელს დაბადებული მუსტაფა ა.

ბრალდებულმა ბლაგვი საგნის გამოყენებით, ეჭვიანობის ნიადაგზე, საკუთარ სახლში მეუღლე, 1971 წელს დაბადებული გარანფილ გასანოვა მოკლა. მუსტაფა ა-მ მეუღლეს ბოქლომით მრავლობითი დაზიანება მიაყენა თავის არეში, რამაც გარანფილ გასანოვას სიკვდილი გამოიწვია. მუსტაფა ა. ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

დანაშაული თავისუფლების 7-დან 15 წლამდე აღკვეთას ითვალისწინებს.

***„პირველი“***

## სამართალი



მაია მიშელაძე
ეკონომიკა

# არჩილ გეგენავა და პაატა კურტანიძე, ხელისუფლების შეცვლის მიუხედავად, ციხის მონოპოლისტებად რჩებიან?!



## მომავალი წლიდან პატიმართა კვების რაციონში ძროხის, ღორის, ქათმის ხორცი და კვერცხი შევა

**18 სექტემბერს, მას შემდეგ, რაც საზოგადოებამ ციხეში არსებული გაუსაძლისი და საშინელი მდგომარეობის შესახებ შეიტყო, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. სწორედ „ციხის კადრებმა“ განაპირობა 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში „ნაცმოძრაობის“ პირწმინდად დამარცხება. მართალია, ყველაფერ ამის შემდეგ, პატიმრებმა ამოისუნთქეს, მაგრამ მათი კვების რაციონი არ შეცვლილა. „ვერსია“ უკვე წერდა, თუ როგორ ყვლეფდნენ ციხის „მონოპოლისტები“ — არჩილ გეგენავა (კვების ტენდერში გამარჯვებული „მეგა ფუდისა“ და „ფუდსერვისის“ მფლობელი) და პაატა კურტანიძე („ავერსის“ მესაკუთრე) მშიერ და ავადმყოფ პატიმრებს. ჩვენი ინფორმაციით, მართალია, ქვეყანაში პოლიტიკური რეალობა შეიცვალა, მაგრამ სასჯელაღსრულების სამინისტროს ახალ ხელმძღვანელობას პატიმართა კვების ტენდერში გამარჯვებული ზემოხსენებული კომპანიისთვის კონტრაქტი არ გაუწყვეტია... „ვერსიას“ ერთ-ერთი მსჯავრდებულის ოჯახის წევრი დაუკავშირდა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა:**

**„პატიმრები ძალიან ცუდად იკვებებიან და მათ რაციონში მხოლოდ პური და ცხიმი შედის. ცხელ კერძს კი ურიგებენ, მაგრამ ისეა ცხიმით გაჟღენთილი, რომ მისი ჭამა შეუძლებელია და პატიმრები იძულებულნი არიან, ციხის სუპერმარკეტს მიაკითხონ. სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, როგორც იცით, „პოპულის“ სუპერმარკეტებია გახსნილი, სადაც პროდუქტი საკმაოდ ძვირი და ვადაგასულია: ძეხვეული და სოსისი აყროლებული, რძის პროდუქტები — ხაჭო, არაჟანი და მაწონი კი, აჭრილია. „თეთრეულში“, რომელიც, ჩვეულებრივ, 35 ლარზე მეტი არ ღირს, პატიმრები 45-50 ლარს იხდიან. წამალი რომ დასჭირდეთ, ამისთვის ციხის აფთიაქს უნდა მიაკითხონ, მოგეხსენებათ, ციხეებში მხოლოდ „ავერსის“ აფთიაქებია, სადაც ვადაგასულ მედიკამენტებს ბევრად ძვირად ყიდიან, ვიდრე — ჩვეულებრივ აფთიაქებში“.**

არჩილ გეგენავა, რომელიც წინა მოწვევის პარლამენტში „ნაცმოძრაობის“ მთაწმინდის მაჟორიტარი დეპუტატი და ძველი ხელისუფლების ფავორიტი ბიზნესმენი იყო, სახელმწიფო ტენდერებში ერთპიროვნულად იმარჯვებდა და ჯარის, პოლიციისა და პატიმრების კვებაზე ზრუნავდა. 2011 წლის სექტემბერში, „ვერსიაში“ არაერთი სტატია გამოვაქვეყნეთ და დეტალურად განვიხილეთ სქემა, რატომ იგებდა გეგენავა სახელმწიფო ტენდერებს. გთავაზობთ მცირე ამონარიდს „ვერსიაში“, 2011 წლის სექტემბერში გამოქვეყნებული ერთ-ერთი სტატიიდან:

**„არჩილ გეგენავას ორი კომპანია — „ფუდსერვისი“ და „მეგაფუდი“, ერთი მხრივ, სახელმწიფო ტენდერების ხარჯზე ცხოვრობდა, რადგან უზარმაზარ შეკვეთებს ასრულებდა, მაგრამ მეორე მხრივ, სწორედ გეგენავა იყო ერთ-ერთი მთავარი დისტრიბუტორიც. აქ ჩვენ არ ვსაუბრობთ მხოლოდ იმაზე, რომ ჯარისკაცსა და პატიმარს აჭმევდა, ან საბავშვო ბაღს ამარაგებდა და მორჩა, არა, მას დისტრიბუციის გაცილებით ფართო ქსელი ჰქონდა. „პოპულიდან“ დაწყებული და „ნუგეშით“ დამთავრებული, საკვები პროდუქციის უდიდესი ნაწილი, სწორედ გეგენავას ქსელის საშუალებით მარაგდებოდა... პატიმრები, საპატიმროებში განთავსებულ „პოპულის“ სუპერმარკეტებში, კვების პროდუქტებში გაცილებით მეტს იხდიან, ვიდრე რეალური ფასია. მაგალითად, კვერცხს, რომელიც მაღაზიებში 20-22 თეთრი ღირს, პატიმრები 30 თეთრად ყიდულობენ“.**

2011 წლის ოქტომბერში სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა, რადგან პოლიტიკურ ასპარეზზე ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდა. ივანიშვილის საგაზეთო წერილების შოკი ისეთი ძლიერი იყო, რომ მმართველ გუნდს არც არჩილ გეგენავასთვის ეცალა და აღარც — მისი ტენდერებისთვის. რომ არა ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი, გეგენავას ტენდერებს არც კი გაუგრძელებდნენ. შეგახსენებთ, ზუსტად იმ დროს აქტიურად განიხილებოდა მისი შემცვლელების თემა სწორედ კვების ტენდერებთან დაკავშირებით. ეს ამბავი „ვერსიამ“ ციხეში დატრიალებული გაუსაძლისი მდგომარეობის ამსახველი კადრების შემდეგ გაიხსენა და საჯაროდ იკითხა, რამდენად ზნეობრივია არჩილ გეგენავასა და პაატა კურტანიძის საქციელი, რომლებიც საპატიმროებშიც კი, მონოპოლისტები არიან და პატიმრების ხარჯზე ითბობენ ხელს?! სამწუხაროა, რომ ახალი ხელისუფლების პირობებშიც, გეგენავა და კურტანიძე კვლავ ციხის მონოპოლისტებად რჩებიან.

საინტერესოა, რატომ არ უწყვეტს კონტრაქტს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო იმ კომპანიებს, რომლებმაც სხვადასხვა, ამ შემთხვევაში კი, კვების ტენდერში, წინა ხელისუფლების პირობებში გაიმარჯვეს? „ვერსია“ სუბარის უწყების პრესსამსახურის უფროსს, **რეზო ხოფერიას** დაუკავშირდა, რომელმაც განგვიმარტა, რომ ტენდერში უკვე გამარჯვებულ კომპანიებს კონტრაქტი მიმდინარე წლის ბოლოს ეწურებათ:

**„ახალი ტენდერი მაშინ ცხადდება, როდესაც პარლამენტში დასამტკიცებლად შედის მომავალი წლის ბიუჯეტი. როგორც წესი, ტენდერს შესყიდვების სააგენტო აცხადებს, მაგრამ სხვადასხვა მომსახურებასთან დაკავშირებით, სამინისტრო სატენდერო პირობებს უგზავნის. ტენდერში ის კომპანია იმარჯვებს, რომელსაც უფრო ნაკლები ფასი აქვს შემოთავაზებული. ტენდერში უკვე გამარჯვებულ კომპანიებს კონტრაქტის ვადა მიმდინარე წლის ბოლოს ამოეწურებათ და ახალ ტენდერში გამარჯვებული კომპანიები მათ ავტომატურად ჩაანაცვლებენ. როგორც იცით, პარლამენტმა 2013 წლის ბიუჯეტი უკვე დაამტკიცა და 2012 წლის ბოლომდე ახალ ტენდერებსაც გამოვაცხადებთ. სავარაუდოდ, გამარჯვებულებსაც სწორედ დეკემბრის ბოლოს გამოვავლენთ“.**

„ვერსიასთან“ საუბრისას, რეზო ხოფერიამ განმარტა, რომ გაისად აუცილებლად შეიცვლება და მეტიც, გაუმჯობესდება მსჯავრდებულთა კვების რაციონი. რაც მთავარია, ახალი რაციონი ისეთი პროდუქტებითაც გამრავალფეროვნდება, რომლებსაც აქამდე პატიმრები ელექტრონული ბარათებით იძენდნენ.

**„სასჯელაღსრულების დაწესებულებაში დღემდე არსებული რაციონი შევსებული იყო მხოლოდ პურ-პროდუქტებისა და ცხიმების ხარჯზე, რაც მსჯავრდებულის კვებისთვის საკმარისი არაა. ახალი სტანდარტების მიხედვით, პატიმართა კვების რაციონში იზრდება ისეთი ცხოველური ცხიმები, როგორიცაა სხვადასხვა სახის ხორცეული, რძის პროდუქტები და თევზეული, რაციონში შევა ასევე კვერცხი, რაც აქამდე არ ყოფილა. როგორც იცით, სასჯელაღსრულების სისტემაში ხორცეული დიდი იშვიათობა იყო, მაგრამ ამიერიდან ძროხის, ღორის, ქათმის ხორცი ყოველდღიურ რაციონში შევა, ოთხშაბათისა და პარასკევის გარდა, რადგან ეს მარხვის დღეებია. გარდა ამისა, მსჯავრდებულთა კვების რაციონი დაიყოფა ჯგუფების მიხედვით, კერძოდ, კვების რაციონი შედგება არასრულწლოვანებისთვის, ტუბერკულოზით დაავადებულებისთვის, ქალი მსჯავრდებულებისთვის, მეძუძური დედებისთვის. რაც მთავარია, კვების რაციონსა თუ დიეტას სხვადასხვა დაავადებისა და განსაკუთრებული აუცილებლობის მიხედვით შეადგენენ. მაგალითად, მეძუძური დედების კვების რაციონში სხვადასხვა სახის, ლიმნისა და ფორთოხლის ვიტამინიზირებული წვენები შევა, რაც მათთვის აუცილებელია. ეს რაციონი საერთაშორისო სტანდარტების მიხედვითაა შედგენილი, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტთა რეკომენდაციებისა და ევროგაერთიანების რეგულაციების საფუძველზე“.**

რაც შეეხება თეთრეულს, რეზო ხოფერიამ „ვერსიას“ განუცხადა, რომ ამაზე, სავარაუდოდ, ტენდერი არ გამოცხადდება, რადგან ოქტომბრის ბოლოს, თავდაცვის სამინისტრომ სასჯელაღსრულების დაწესებულებებს თბილი პლედების დიდი რაოდენობა აჩუქა.

მერაბ ბერიძე

**საქართველოს რეგიონებში სამართლიანობის აღდგენის სიოს ჯერ არ დაუბერავს — იმ დარღვევებს, რომლებიც წლების განმავლობაში ხდებოდა და მოსალოდნელ შედეგებზე ღვაწლმოსილ ადამიანებს არაფერს ეკითხებოდნენ, ალბათ, მას შემდეგ მიხედავენ, რაც ადგილობრივ ხელისუფლებაში პირველ-მეორის გარკვევას დაასრულებენ. ამ მხრივ, უკეთესი მდგომარეობა არც თბილისიდან ხელის ერთ გაწვდენაზე მდებარე გარდაბანშია, სადაც, გასაგები მიზეზების გამო, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას განსაკუთრებული ყურადღება უნდა ენიჭებოდეს, თუმცა, სამწუხაროდ, ყველაფერი პირიქითაა. გარდაბნის რაიონში სამხარეო მუზეუმი ჯერ კიდევ ეროვნული მოძრაობის აღმავლობის დროს, 1990 წელს დაარსდა და როგორც მთელ საქართველოში, აქაც ცალკე შენობასა და იურიდიულ სტატუსს ფლობდა. 2006 წელს, ორგანული კანონის უხეში დარღვევით, მუზეუმს სტატუსიც წაართვეს და შენობაც. შესაბამისად, სტატუსწართმეული მუზეუმი დღემდე, რაიონის კულტურის ცენტრსაა მიკედლებული. სხვათა შორის, კულტურის შენობა, პირველი სართულის იმ ფლიგელის გარდა, სადაც მუზეუმია განთავსებული, გარემონტებულია. ასევე, გარემონტებულია მუზეუმის „ცხვირწინ“ მდებარე ტუალეტიც — ალბათ, ჩათვალეს, რომ სიძველეთა მცველებს ევრორემონტი აწყენდათ! „ვერსია“ გარდაბნის სამხარეო მუზეუმის დირექტორს, შადურ შუკვანს ესაუბრა:**

# გარდაბნის სამხარეო მუზეუმი წართმეული შენობისა და სტატუსის დაბრუნებას ითხოვს!



ტუალეტის გვერდით მოწყობილი საგამოფენო დარბაზი და გასანადგურებლად განწირული უნიკალური ექსპონატები

— ჩვენი მუზეუმის ამოცანაა, რეგიონში დაცულ სულიერი თუ მატერიალური კულტურის ძეგლებს თავი მოვუყაროთ, მაგრამ სამწუხაროდ, არც არასამეწარმეო იურიდიული პირის სტატუსი გვაქვს, არც — საკუთარი შენობა და რაიონის კულტურის ცენტრზე ხელოვნურად ვართ „მიერთებულნი“.

**— ვიდრე არასამეწარმეო იურიდიული პირის სტატუსს გაგიუქმებდნენ, შენობა გქონდათ?**

— დიახ, გვქონდა, თუმცა 2006 წელს დაგვატოვებინეს.

**— რატომ?**

— დღემდე ვერ დავადგინეთ, რა მიზანი ამოძრავებდათ. სხვათა შორის, ჩვენი შენობა არავის გადასცეს და გაპარტახებულია. გასაღები ჩვენ გვაქვს, მაგრამ არ გვიშვებენ.

**— შენობის ჩამორთმევის მიზეზი ყასიდადაც არ განუმარტავთ?**

— პირველ სართულზე მაღაზიები იყო და გვითხრეს, ეგ როგორ შეიძლებაო? მერე გაირკვა, რომ შენობის გაყიდვა უნდოდათ. მყიდველი ბევრი იყო, მაგრამ ფასს ვერავინ შესწვდა, ამიტომ ვერ გაიყიდა და დღემდე უპატრონოდაა. ჩვენ კი, კულტურის ცენტრში შეგვასახლეს, რომლის რეაბილიტაციაც ჩატარდა. მოვითხოვეთ, სადაც მუზეუმია განთავსებული, ის ფლიგელიც გაერემონტებინათ. ამაზე, მაქსიმუმ, 30 ათასი ლარი დაიხარჯებოდა, მაგრამ უარი გვითხრეს, თუმცა დიდი თხოვნის მერე, იატაკი დაგვიგეს. აქამდე ექსპონატები კორიდორში გვქონდა გამოფენილი, ახლა კი, გამოფენისთვის პატარა ოთახი გამოგვიყვეს. ორგანული კანონით, უნიკალური ნივთები ასეთ სიტუაციაში არ უნდა ინახებოდეს, მაგრამ წლებია, ეს პრობლემა მოუგვარებელია. ახლა რაღაცები იცვლება და იმედი გვაქვს, ჩვენს მდგომარეობასაც გაითვალისწინებენ...

მუზეუმისთვის არასამეწარმეო იურიდიული პირის სტატუსის წართმევა და კულტურის სახლთან მისი შეერთება, დანაშაულია! თავის დროზე, ხმა კი ამოვიღეთ, მაგრამ შედეგი არ მოჰყოლია. არადა, სტატუსი ჩვენზე ნაკლები ფონდის მქონე მუზეუმებსაც აქვს და გაუგებარია, ჩვენ რატომ გვჩაგრავენ? იმას ვითხოვთ, რაც კანონით გვეკუთვნის: სტატუსის აღდგენასა და შენობის დაბრუნებას...

ერთ-ერთ გარდაბნობაზე, გუბერნატორმა დავით კირკიტაძემ ჩვენი ექსპონატები დაათვალიერა, კოლექტივი გაიცნო და განაცხადა, უნიკალურ ნიმუშებს ფლობთ და ბრწყინვალე გუნდი ხართო, თუმცა ჩვენს მდგომარეობას მაინც არაფერი ეშველა. მუზეუმში ქალალდის, ნემსის, ან ლურსმნის ყიდვა რომ დაგვჭირდეს, ამაზე ნებართვა კულტურის ცენტრის ხელმძღვანელობას უნდა ვთხოვოთ. ასე მუშაობა შეუძლებელია და სწორედ ამის გამო, ბოლო ორ წელია, მუზეუმს მხოლოდ 12 ნივთი შეემატა, რაც კატასტროფაა.

**— თქვენთან დაცული ექსპოზიციიდან ყველაზე მნიშვნელოვანი რომელია?**

— არქეოლოგიური მასალების მდიდარი ფონდი გვაქვს — გარდაბნის მუზეუმი ქვემო ქართლში ერთადერთია, სადაც ქვის ხანის ეპოქის ნივთები ინახება, რომლებიც ძირითადად, გარეჯის მიმდებარე ტერიტორიაზეა ნაპოვნი (ადრინდელ ხანაში, გარეჯიც გარდაბნის რეგიონში შედიოდა). მუზეუმი განსაკუთრებით მდიდარია ბრინჯაოს ხანის უნიკალური ნივთებით. სამკაულები და სხვა ექსპონატები უძველესი დროიდან, ამ ტერიტორიაზე ქართველ ტომთა ყოფა-ცხოვრებას ასახავს.

მუზეუმში ასევე, ინახება რაიონის ტერიტორიაზე ნაპოვნი ბრწყინვალე მხატვრულ-კერამიკული ნიმუშები და ბერძნულ-რომაული ნაკეთობები. სხვათა შორის, 2000-დან 2006 წლამდე მრავალი ექსპონატი რუსთავის მუზეუმმა გადმოგვცა... ჩვენი მუზეუმი მდიდარია ეთნოგრაფიული მასალებით — უნიკალური ფარდაგები, ხალიჩები და შესანიშნავი ხალხური საკრავები, მათ შორის, ჩანგი და ჭიანურიც გვაქვს. ჩვენთან სამეურნეო იარაღები, მაგალითად, ორფრთიანი კევრიც ინახება, რომელიც იშვიათობაა... მუზეუმში თითქმის ყველა ეპოქაა წარმოდგენილი.

**— ბატონო შადურ, ადგილობრივი მოსახლეობა მუზეუმს ხშირად სტუმრობს?**

— მნახველთა უმეტესობა მოსწავლე-ახალგაზრდობაა. სხვათა შორის, ჩვენს მუზეუმს ფილიალები სართიჭალაში, მარტყოფსა და ნორიოშიც აქვს... უფროსი თაობა კი, ასე ვთქვათ, ეპიზოდურად აქტიურობს.

გარდაბნის სამხარეო მუზეუმი ერთადერთია, სადაც ადგილობრივ აზერბაიჯანელთა ყოფა და კულტურაა დაცული: გვაქვს უძველესი და უნიკალური აღმოსავლური საკრავები — თარი და საზი. ასევე, ლითონის ნივთები. გვინდა, აზერბაიჯანელთა ყოფა-ცხოვრებაზე ცალკე კუთხე გავაკეთოთ, რადგან რუსულ-აზერბაიჯანული სკოლებიდან ბევრი დამთვალიერებელი მოდის...



# „ივანიშვილი რომ შემხვდეს, მოვუყვები, პოლიციელები რა ყაჩაღებიც არიან!“



ნინო ხარშილაძე
საზოგადოება

**რამდენიმე დღის წინ, რედაქციაში ქალბატონმა დარეკა და დახმარება გვთხოვა, ტყვეობაში ვარ, მინდა, ჩემი ისტორია გაზეთში გამოქვეყნდეს, იქნებ, მთავრობაში ვინმემ წაიკითხოს და რამე მიშველოსო. „ვერსიამ“ ქალბატონ დალი კინწურაშვილს, ცხადია, თავისუფალი ტრიბუნა დაუთმო:**

— 20 წელზე მეტია, რკინიგზის სადგურის ტერიტორიაზე ვმუშაობ — ბაქანზე, მატარებლის გასვლამდე, სიგარეტითა და წყლით ვვაჭრობ, თუმცა ზოგჯერ, ლარსაც ვერ ვშოულობ... 6 წელია, პოლიციის ტყვეობაში ვარ, 2010 წლის 27 აპრილიდან კი, საშინელება ხდება.

**— რას გულისხმობთ?**

— ეს ტერიტორია, ჯერჯერობით, გაუფორმებელია და დაცვა უკანონოდ დგას. დაცვის თანამშრომლები არაადამიანურად მექცევიან — სადგურის ტერიტორიაზე ჩანთებით არ მიშვებენ, ხელით მეხებიან, წიხლებს მირტყამენ, მაგინებენ და მაფურთხებენ. წინა ხელისუფლების დროს, რამდენჯერმე, გენერალურ ინსპექციას, სოდ-სა და კუდ-ს მივმართე, მაგრამ დაცვის პოლიციის თანამშრომლებს ხელს აფარებდნენ და მეუბნებოდნენ, შეურაცხყოფის ფაქტი არ ფიქსირდება და რა ვქნათო. არადა, მეტი ფაქტი რაღა უნდათ — ახლაც, ყოველ ღამე, წივილ-კივილია და პატრულს პატრულზე ვიძახებ, მაგრამ პატრულის გაფრთხილებაც არ ჭრის.

**— ქალბატონო დალი, რედაქციაში რომ დარეკეთ, ბრძანეთ, წლებია, ტყვეობაში ვარო, რა იგულისხმეთ?**

— ქურდი მეზობლები მყავს. სადმე დიდი ხნით რომ წავიდე და ვიმუშაო, სახლს ვერ ვტოვებ — კარს ხსნიან... წყლის გამყიდველად კი არ დავბადებულვარ, ორი უმაღლესი მაქვს დამთავრებული: ადრე, ჩაის ფაბრიკაში ეკონომისტად ვმუშაობდი... ერთხელ, მეზობელმა ქილერიც მომიგზავნა... ისეთი ნაწამები ვარ, ავღანეთშიც არ იქნება ასე ნატანჯი ადამიანი. რამდენიმე დღის წინ, დაცვის თანამშრომლებმა — წიქორიამ და ლევან მაისურაძემ დამიძახეს და მითხრეს, მატარებელი რომ წავა, მერე, ბაქანზე რამდენიც გინდა, იარეო, თან შემაგინეს. სხვებიც ვაჭრობენ, მაგრამ მარტო მე მერჩიან.

**— რატომ?**

— დაცვის პოლიციის თანამშრომლები მამუკა ლეჟავამ გადამკიდა — იქ მისი მეგობარი ქალიც ვაჭრობს. უნდა, რომ მომიშოროს და ათას საზიზღრობას ამიტომ მიკეთებს. ლეჟავა მემუქრება, მორგში ცოცხლად ჩაგაბარებო. ხაშურელმა გია მჭედლიძემ კი, რომელიც ნაციხარია და ასევე, ბაქანზე ვაჭრობს, ბევრი რამ მომპარა... ორი დღის წინ, ჩემს ურიკას კიბიდან აგდებდნენ... ბარბარობა რომ მივულოცე, გინება დამიწყეს, საქონელი წამართვეს და გადამიყარეს. ორი წელია, ასეთ საშინელ დღეში ვარ... კაკიაშვილმა, გია ამბოკაძემ და მურთაზ გეგელიამ კი, ორმოში გადამაგდეს, ფეხი დამისახიჩრეს და საოპერაციო მაქვს. რამდენიმე დღის წინ, ხელის თითებიც დამიზიანეს, მაგრამ დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციამ მიმართვაც არ მომცა, რომ ექსპერტიზა ჩამეტარებინა. პოლიციაში მითხრეს, ექსპერტის მიმართვა რომ მოგცეთ, თქვენს ამბავზე პოლიციის უფროსსა და სამ პროკურორს დაიჭერენო. თურმე, დიდუბე-ჩუღურეთის კრიმინალური პოლიციის თანამშრომლის, მამუკა ლეჟავას მეგობარი ქალის ვაჭრობა შეიძლება და ჩემი — არა. პენსიამდე 12 წელი დამრჩა, სოციალურად დაუცველთა კატეგორიაც არ მომცეს — სახლში ორი ახალი ქვაბი დაინახეს და მაღალი ქულები დამიწერეს. არადა, თუ არ ვივაჭრე, პურის ფულიც არ მექნება!

**— სხვა მოვაჭრეებს რატომ არ ექცევიან ცუდად?**

— იმიტომ, რომ დაცვის თანამშრომლებს ლუდსა და სიგარეტს ჩუქნიან. მე კი, იმიტომ გადამეკიდნენ, რომ არაფერს ვჩუქნი. ზოგიერთ პოლიციელს დღემდე ჩემი ვალი აქვს. მათ რამდენჯერმე ვუჩივლე, მაგრამ ხან დავით ჭაკუა გამოუჩნდა პატრონად, ხან — გენერალური ინსპექციის თანამშრომელი დიმა კუპრეიშვილი. მოვითხოვ, ჩემი ტერორი შეწყდეს! სხვათა შორის, ლეჟავას ხალხი მოქალაქეებს ფულსაც ჰპარავს.

**— როგორ?**

— მაგალითად, თუ კლიენტმა 20-ლარიანი მისცა და რაღაც იყიდა, ლეჟავას ხალხი, ანუ გამყიდველი ეუბნება, 10-ლარიანი მომეციო და 5 ლარსა და ხურდას უბრუნებს. მგზავრი კამათს იწყებს, ამასობაში, მატარებელი დაიძვრება და იძულებული ხდება, მოვაჭრესთან კამათს თავი დაანებოს... ასე, თაღლითობით აკეთებენ ფულს.

**— ქალბატონო დალი, ოჯახი არ გყავთ?**

— გათხოვილი არ ვარ. მშობლები და და დამეღუპა. ძმა კი, დაოჯახებულია... 2010 წელს, მარიამობას, მშობლების საფლავზე ვიყავი და სწორედ ამ დროს, მეზობლებმა გამქურდეს. წულეისკირმა, ვისგანაც ბინა მაქვს ნაყიდი, ქილერი მომიგზავნა, თავისი ძმისშვილი, რომელსაც უთხრა, დალი მოკალი, შენ კი, რუსეთში გაიქეციო. ეს ჩემი ყურით მოვისმინე.

**— თქვენი მოკვლა რატომ უნდოდა?**

— ბინის წართმევა უნდოდა. ჩემმა მეზობელმა, დამაცალაშვილმა, რომელიც ახლა გაქცეულია, მითხრა, ხის მასალა რად გინდა, მომეცი, შენ მაინც გაგიუქმდებაო... რამდენიმე დღეში 4 200 ლარის მასალა მომპარეს. მეზობლებმა მოცუცქნულ ეზოში „ვანატუალეტები“ უკანონოდ ააშენეს... დენიც „ლევი“ აქვთ. ვჩივი, მაგრამ არავინ მოდის. ეზოში სარეცხსაც არ მიჩერებენ. მინდა, ჩემი გაჭირვება მთავრობამ გაიგოს და ის ხალხი დააკავოს, ვინც შეურაცხყოფას მაყენებს და მასახიჩრებს. კარგი იქნება, ივანიშვილი შემხვდეს, ყველაფერს მოუყვები, რაც ამ პოლიციელებმა დამმართეს და როგორი ყაჩაღებიც არიან.



ვინ არის დალი კინწურაშვილი, რაში ადანაშაულებს დიდუბე-ჩუღურეთის კრიმინალური პოლიციის თანამშრომელ მამუკა ლეჟავას, რა ხდება რკინიგზის სადგურში მატარებლის გასვლამდე და როგორ ჰპარავს გარემოვაჭრეთა ნაწილი მგზავრებს ფულს

# კრემლის „ცისფერი“ ინტრიგები და თხილამურების ინსტრუქტორის იმედად დარჩენილი უკრაინის ენერგოუსაფრთხოება

ზურაბ გამრეკელი

ეინშტეინმა ერთხელ თქვა, უაზრობა, სხვა შედეგის მიღების იმედით, მუდმივად ერთი და იგივე ექსპერიმენტის გამეორებაა. სწორედ ამგვარ უაზრობად შეიძლება, ჩაითვალოს რუსეთის მიერ უკრაინის ტერიტორიაზე გაზის ტრანზიტის ალტერნატიული და მრავალმილიარდიანი „ნაკადების“ მშენებლობის დაჟინებული მცდელობა. ერთი მათგანის — ბალტიის ფსკერით რუსეთ-გერმანიის დამაკავშირებელი „ჩრდილოეთის ნაკადის“ მეორე მილის მშენებლობა 8 ოქტომბერს დასრულდა, თუმცა ამ 55 მლრდ კუბმეტრი წლიური წარმადობის გაზსადენის პირველი, 27.5 მლრდ კუბმეტრის სიმძლავრის მილი, რომელიც 2011 წლის ნოემბრიდან მწყობრშია, თითქმის მთელი წელია, მეოთხედითაც ვერ შეავსეს...

ამავდროულად, რუსეთმა შავი ზღვის ფსკერზე, „ჩრდილოეთის ნაკადზე“ ორჯერ ძვირი — 15.5 მლრდ ევროდ შეფასებული „სამხრეთის ნაკადის“ გაზსადენის მშენებლობა დაიწყო. 7 დეკემბრიდან კი, სტარტი ამ სისტემის ოთხი, 15.75 მლრდ კუბმეტრის წარმადობის მილსადენის მშენებლობამ აიღო, რაც 2018 წლამდე უნდა დასრულდეს. მართალია, თურქეთმა 2011 წლის ბოლოს, რუსეთს ამ გაზსადენის თავის ეკონომიკურ ზონაში გაყვანის უფლება მისცა, მაგრამ მის მშენებლობაში მონაწილეობაზე თავს იკავებდა და მოსკოვმა მისი დაყოლიება გადაწყვიტა — გაზსადენის ერთობლივი მშენებლობა რუსეთისათვის იმდენად მნიშვნელოვანია, რომ სირიის საკითხის ირგვლივ, ანკარასა და მოსკოვს შორის არსებული უკიდურესად დაძაბული ატმოსფეროსა და ვიზიტის რამდენჯერმე გადადების მიუხედავად, რუსეთ-თურქეთის უმაღლეს დონეზე შეხვედრა მაინც შედგა: 3 დეკემბერს პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი თურქეთს ეწვია. ვიზიტის შემდეგ, მედიაში თავშეკავებული შეფასებები გავრცელდა, თუმცა ევროპული პრესა ერთხმად აღნიშნავდა, რომ „სამხრეთის ნაკადის“ პროექტში ჩართვაზე ანკარამ კატეგორიული უარი განაცხადა, რაც თურქეთში ვლადიმერ პუტინის ვიზიტიდან რამდენიმე დღის შემდეგ დადასტურდა — 7 დეკემბერს რუსეთში, „სამხრეთის ნაკადის“ გახსნის საზეიმო ცერემონიალზე მყოფმა თურქეთის ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა ტანერ ილდიზმა განაცხადა, რომ ანკარა „ნაბუქო დასავლეთისა“ (**NabuccoWest**) და „ტრანსანატოლიური გაზსადენის“ (**TANAP**) პროექტებში მონაწილეობს და ამიტომ, რუსული „სამხრეთის ნაკადის“ აქციონერი ვერ გახდება. 2010 წლის მაისში კი, ილდიზი აცხადებდა, რომ თურქეთი აუცილებლად მიიღებდა მონაწილეობას ამ გაზსადენის შექმნაში. როგორც ჩანს, მაშინ თურქეთი მოსკოვს „სამხრეთის ნაკადის“ მშენებლობაში მონაწილეობას რუსული გაზის მაღალი ფასის დაწევისა და სამსუნ-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობაში რუსული კომპანიების ჩართვის იმედით ჰპირდებოდა, მაგრამ ახლა, როცა სამსუნ-ჯეიჰანმა, სულ ცოტა, 2015 წლის ბოლოსთვის გადაიწია და „გაზპრომმა“, თურქეთის ეკონომიკურ ზონაში „სამხრეთის ნაკადის“ გატარების ნებართვის სანაცვლოდ,, მნიშვნელოვნად შეამცირა თურქეთში ექსპორტირებული გაზის ფასი, „სამხრეთის ნაკადში“ თანხების ჩადება ანკარამ ზედმეტად მიიჩნია.

მიუხედავად ამისა, ქალაქ ანაპასთან მდებარე „რუსკაიას“ ტერმინალთან გამართულ საზეიმო ღონისძიებაზე, რუსეთის პრეზიდენტის მიწვევით ჩასულ ევროპის ქვეყნების ენერგეტიკის დარგის ლიდერებთან ერთად, თურქეთის ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრიც იმყოფებოდა. ღონისძიების დევიზი გახლდათ: „სამხრეთის ნაკადი — პარტნიორობის შედუღება“. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ პროექტის სიძვირის გამო, მშენებლობის საზეიმო გახსნა მხოლოდ პროპაგანდისტული შოუ იყო და მისი განხორციელება, სინამდვილეში, შეიძლება, მხოლოდ 2014 წლის ბოლოდან დაიწყოს.

რუსეთსა და ევროპისთვის ეკონომიკურად სრულიად უსარგებლო პროექტი, რომლის დანიშნულება აღმოსავლეთ ევროპის სატრანზიტო ქვეყნებზე პოლიტიკური ზეწოლაა, აღნიშნულ ცერემონიალზე რუსული მხარის მიერ ისე იქნა წარმოდგენილი, როგორც ევროპის „ახალი გაზსატრანსპორტო დერეფანი“ და „ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოების გარანტი“, მაგრამ დასავლელი ექსპერტები სამართლიანად მიიჩნევენ, რომ ამ გაზსადენით ევროპაში მიწოდებული რუსული გაზი სამჯერ ძვირი იქნება, ვიდრე იგივე გაზი უკრაინის გაზსატრანსპორტო ქსელით (**ГТС**) გაგზავნილი. ასევე, უკრაინული ქსელის უდიდესი უპირატესობა მიწისქვეშა გაზსაცავების არსებობაა, რაც „სამხრეთის ნაკადს“ არ აქვს.

სხვათა შორის, „სამხრეთის ნაკადის“ გაზსადენის შექმნა, პროექტში მონაწილე ევროკავშირის წევრი ქვეყნების მხრიდან, ევროპის ერთიანი ენერგეტიკული პოლიტიკისგან გადახვევასაც ნიშნავს. საქმე ისაა, რომ მოქმედი ევროპული კანონმდებლობით, მოპოვება, ტრანსპორტირება და დისტრიბუცია სხვადასხვა სტრუქტურის ხელში უნდა იყოს. ამ დროს კი, „გაზპრომი“ ევროკომისიის ანტიმონოპოლიური გამოძიების ობიექტია. აქვე, აღსანიშნავია შავი ზღვის ურთულესი ეკოლოგიური მდგომარეობა — ფსკერზე მილსადენის ჩადების აქამდე არნახული, ორკილომეტრიანი სიღრმე. ახალ პროექტზე, ასევე, ნეგატიურად იმოქმედებს ევროპაში საწვავის მოხმარების შეზღუდვა და რუსეთში გაზის საბადოების კლებადი წარმადობა. აუცილებელი იქნება თვით ევროკავშირის შიგნით გაზის ნაკადების გადანაწილება, ვინაიდან დასავლეთისკენ გაზი უკვე არა უკრაინის, სლოვაკეთის, უნგრეთისა და პოლონეთის გავლით, არამედ, ბულგარეთის მარშრუტით უნდა შევიდეს.

ბულგარეთშივე, სავარაუდოდ, 2018 წელს, შევა აზერბაიჯანული გაზი „ტრანსანატოლიური გაზსადენით“, რომლის პროექტზე შეთანხმების რატიფიცირება აზერბაიჯანმა უკვე მოახდინა და თურქეთის პარლამენტშიც ეს აქტი უახლოეს



ხანებში დამტკიცდება. საბოლოო ჯამში, შაჰდენიზის კონსორციუმის გადასაწყვეტი იქნება „ტრანსანატოლიური გაზსადენის“ თურქეთ-ბულგარეთის საზღვრიდან, ცენტრალური, ან სამხრეთ ევროპისკენ გაგრძელების მარშრუტის არჩევა. პარალელურად, მიმდინარეობს „ტრანსანატოლიური გაზსადენის“ დამფუძნებლებთან — აზერბაიჯანულ „სოკართან“, თურქულ „ტპაოსა“ და „ბოტაშთან“ შაჰდენიზის კონსორციუმის მონაწილეების — ბრიტანული „ბიპის“ (**British Petroleum**), ნორვეგიული „სტატოილისა“ (**Statoil**) და ფრანგული „ტოტალის“ (**Total**) მოლაპარაკება, **TANAP**-ის 29%-იანი წილის შესყიდვაზე.

გავრცელებული ინფორმაციით, შაჰდენიზის კონსორციუმი აქტიურად განიხილავს **TANAP**-ის გაგრძელების ყველაზე არასასურველ ვარიანტს — „ტრანსადრიატიკული გაზსადენით“ (**TAP**) საბერძნეთისა და ადრიატიკის ზღვის გადაკვეთით, იტალიის გაზის ქსელში ჩართვას. საქმე ისაა, რომ იტალია ისედაც ოთხი დივერსიფიცირებული გაზსადენით მარაგდება და თუ აზერბაიჯანული გაზი „ტრანსადრიატიკული გაზსადენით“ იტალიაში გაიგზავნება, მაშინ **TANAP**-ის გაზის გასაღებას და მაშასადამე, ამ პროექტის დაფინანსებას, შესაძლოა, პრობლემები შეექმნას.

ახალი პროექტების დაწყების გამოძახილი შორეულ ალჟირშიც გაისმა. ეს ქვეყანა მზადაა, შეაჩეროს გაზსადენ „გალსის“ (**Gals**) ალჟირიდან იტალიისკენ გაყვანა, თუკი იტალია გააგრძელებს „გალსის“ კონკურენტების — „სამხრეთის ნაკადისა“ და „ტრანსადრიატიკული გაზსადენის“ (**TAP**) პროექტების მხარდაჭერას. „გალსის“ მშენებლობის დაწყება ნავარაუდევი იყო 2012 წლის ნოემბრის შუა რიცხვებისათვის, მაგრამ ის არ დაიწყო იტალიის ტოსკანის პროვინციიდან შესაბამისი ნებართვების მიუღებლობის გამო. ამ გაზსადენის თანადამფუძნებლებია ალჟირის „სონატრაქი“ (**Sonatrach**), ასევე იტალიური ჯგუფები: „ედისონი“, „ენელი“, „ჰერა“ და „სნამი“ (**Edison, Enel, Hera, Snam**). ამჟამად, იტალია, ტუნისისა და ხმელთაშუა ზღვის გავლით გაყვანილი გაზსადენით, ალჟირიდან იღებს ბუნებრივი აირის იმპორტის 35%-ს.

„სამხრეთის ნაკადის“ კონკურენტი „ტრანსანატოლიური“ და „ტრანსადრიატიკული“ გაზსადენების პროექტების შეფერხებას, ყველაზე მეტად, რუსეთი ცდილობს. ასე, მაგალითად, ვლადიმერ პუტინმა თურქეთის პრემიერ რეჯეფ ტაიპ ერდოღანთან ზემოაღნიშნული შეხვედრის დროს განაცხადა, რომ ამჟამად მოქმედ, ნოვოროსიისკი-სამსუნის მარშრუტის „ცისფერი ნაკადის“ გაზსადენს, ყოველწლიურად შეუძლია თურქეთს 16 მლრდ კუბმეტრი გაზი მოუტანოს და არაა გამორიცხული, ეს მილსადენი, გაფართოების შემთხვევაში, მესამე ქვეყნების გაზმომარაგებისთვისაც იყოს გამოყენებული. პუტინი ამტკიცებდა, რომ ამით თურქეთი „ტრანსანატოლიური გაზსადენის“ (**TANAP**) გარეშეც ევროპის ქვეყნების „ჰაბად“, ანუ გაზმომარაგების კვანძად მოგვევლინება. მან რუსეთის ძირითად პრიორიტეტად თურქეთის დახმარებით, გაზის მოხმარების ბაზრებამდე მიწოდების მარშრუტების და არა, მომარაგების წყაროების დივერსიფიკაცია მიიჩნია.

მოგვიანებით, პუტინთან საუბრისას, თურქეთის პრემიერმა ერდოღანმა დაადასტურა, რომ დაიწყო რუსული კაპიტალის ინვესტირება თურქეთის ატომური ელექტროსადგურის, „აკუიუს“ მშენებლობაში. მთლიანად პროექტის რეალიზება 20 მლრდ დოლარი დაჯდება. საწყის ეტაპზე, ინვესტიციის მოცულობა განსაზღვრულია 2.5 მლრდ დოლარით. პროექტში უკვე ინვესტირებულია 700 მლნ დოლარი და უახლოეს მომავალში, მოსალოდნელია კიდევ 800 მლნ დოლარის დაბანდება. პრემიერის ინფორმაციით, „აკუიუს“ პროექტში დაბანდება ყველაზე მსხვილი პირდაპირი კაპიტალდაბანდებაა, რომელიც კი ოდესმე, ერთი ცალკეული პროექტის ფარგლებში, თურქეთის მასშტაბით განხორციელებულა. ამ სადგურის აგებაზე ხელშეკრულება 2010 წელს გაფორმდა. მისი თითოეული ბლოკის სიმძლავრე იქნება 1200 მვტ, სულ ოთხივე ბლოკის – 4800 მვტ. ბლოკები ერთი წლის ინტერვალით შევლენ მწყობრში. თურქული მხარის ინფორმაციით, ეს სადგური პირველ ელექტროენერგიას 2019 წელს გამოიმუშავებს, ხოლო 2023 წელს ახალი ატომური სადგურის მშენებლობა დაიწყება.

ამ შეხვედრის პარალელურად, სტამბოლში გაიმართა რუსეთის ენერგეტიკის მინისტრის, ალექსანდრე ნოვაკისა და თურქეთის ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ტანერ ილდიზის მოლაპარაკებები სინოპის ატომური სადგურის მშენებლობაში რუსული „როსატომის“ შესაძლო მონაწილეობის თაობაზე. თურქმა მინისტრმა აღნიშნა, რომ ანკარა ჯერ განიხილავს იაპონიის, სამხრეთ კორეის, კანადისა და ჩინეთის ოთხი კომპანიის უკვე შემოსულ წინადადებებს და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყებს ის „როსატომის“ პროექტის განხილვას. ამჟამად „როსატომი“ მონაწილეობს თურქეთის „აკუიუს“ ატომური ელექტროსადგურის მშენებლობაში.

რუსეთისა და თურქეთის ენერგეტიკის მინისტრები ასევე შეეხნენ სამსუნ-ჯეიჰანის ნავთობსადენის ერთობლივი პროექტის განხორციელებას, რომლის დაწყებისთვის უკვე მოლაპარაკებების 24 რაუნდი გაიმართა. ნოვაკის ინფორმაციით, რუსეთი მზადაა ამ საკითხზე მოლაპარაკებების გასაახლებლად. მოსკოვმა, ჯერ კიდევ 2011 წელს თურქეთს შესთავაზა 550 კმ-იანი სამსუნ-ჯეიჰანის ნავთობსადენის ეკონომიკის გაუმჯობესების წინადადებები, რაზეც პასუხი არ მიუღია. მოლაპარაკებები ამ 50-60 მლნ ტონის წლიური სიმძლავრის მილსადენის ეკონომიკურ საკითხებზე ადრე არ გამართულა. რუსული მხარე, თავისი გაანგარიშებით, 1 ტონა ნავთობის ტრანსპორტირების ტარიფად 55 დოლარს მიიჩნევს, თურქული კი — 77 დოლარს.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ რუსული კომპანიები მზად არიან, მონაწილეობა მიიღონ თურქეთის ჰიდრო და თბოსადგურების მშენებლობაში. ეს წინადადებები ამ შეხვედრამდეც განიხილეს, რუსულ-თურქული სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის კომისიის სხდომაზე, ა/წლის 2 დეკემბერს. ამასთან, „ინტერ რაო ეესი“ და რიგი რუსული კომპანიები სწავლობენ თურქეთის ენერგეტიკული აქტივების შეძენის საკითხს.

რუსეთის ენერგეტიკის მინისტრის ნოვაკის ინფორმაციით, თურქეთმა რუსეთს გაზის მიწოდების 3 მლრდ კუბმეტრით გაზრდა სთხოვა. „გაზპრომი“ გაარკვევს, არის თუ არა „ცისფერი ნაკადის“ მილსადენით გაზის მიწოდების გაზრდის შესაძლებლობა და ამის შემდეგ თურქული მხარე მიიღებს ამ თხოვნაზე პასუხს. მანამდე, 2011 წელს თურქულმა „ბოტაშმა“ ჩაშალა რუსეთიდან გაზის მიღების შეთანხმება. „სამხრეთის ნაკადის“ მილების გატარებაზე თანხმობის მიღების შემდეგ, „ტრანსბალყანური გაზსადენით“ 6 მლრდ კუბმეტრი გაზის იმპორტი წლეულს ოთხმა თურქულმა ფირმამ: „აკფერმა“, „ბოსფორუსმა“, „ქიბარმა“ და „ინდექს ჰოლდინგმა" (**Akfel Gaz, Bosphorus Gas, Kibar Holding, Index Holding**) დაიწყო.

თავის მხრივ, „სამხრეთის ნაკადის“ უკრაინის გვერდის ავლის საკომპენსაციოდ, კიევი „შაჰდენიზის“ კონსორციუმს სთავაზობს, მეორე ფაზის (რომელიც 2018 წელს იხსნება) გაზის ტრანსპორტირებისთვის, ევროპული მარშრუტების — „ტრანსადრიატიკული“ და „ნაბუქო-უესტის“ გაზსადენების გვერდით, განიხილოს უკვე არსებული, ანუ ყველაზე ნაკლებდანახარჯიანი პროექტი: დაწყვილებული ბულგარეთი-რუმინეთი-მოლდოვა-უკრაინა (საბჭოთა პერიოდში მას «პროგრესს» უწოდებდნენ) გაზსადენის ერთი მილით, აზერბაიჯანული გაზის ცენტრალური ევროპისაკენ რევერსით გაგზავნის საკითხი. უკრაინა „ტრანსანატოლიური გაზსადენის“ მშენებლობის დაჩქარებას ამიტომ ლობირებს.

ასევე, რუსულის ალტერნატიული გაზმომარაგებისთვის, უკრაინა ოდესასთან თხევადი გაზის ტერმინალის შექმნასაც გეგმავს, თუმცა ამ ტერმინალის მომავალი დისლოკაციის ადგილზე, პორტ „იუჟნიში“ საკმაოდ კურიოზული შემთხვევა მოხდა. საუბარია გაუგებრობაზე უკრაინასა და ესპანურ კომპანია „გაზ ნეიჩურალ ფენოსას“ (**Gas Natural Fenosa**) შორის, როცა ესპანელებმა უარი განაცხადეს ოდესასთან თხევადი გაზის ტერმინალის მშენებლობის საინვესტიციო კონტრაქტში მონაწილეობაზე.

ამ სკანდალის არსი ისაა, რომ შეთანხმებაზე ხელმომწერი, ვინმე ხორდი სარდა ბონვეხი არა ესპანური კომპანიის წარმომადგენელი, არამედ თხილამურების ინსტრუქტორი აღმოჩნდა. ეს ფაქტი გამჟღავნდა ხელმოწერის ფაქტზე „გაზ ნეიჩურალ ფენოსას“ მყისიერი რეაგირების შემდეგ, როდესაც კომპანიამ შავი ზღვის სანაპიროზე, ოდესასთან მდებარე პორტ „იუჟნისთან“ თხევადი გაზის ტერმინალის ერთი მილიარდი დოლარით ინვესტირებაზე კატეგორიული უარი განაცხადა. უკრაინის მთავრობის მაღალჩინოსნების თანდასწრებით, ტერმინალის საინვესტიციო ხელშეკრულებაზე ხელისმომწერი – 43 წლის წვეროსანი, მელოტი ესპანელი, უბრალო თაღლითი აღმოჩნდა, რომელიც მანამდე კიევში ესპანური ენერგეტიკული გიგანტის წარმომადგენელი ეგონათ.

პრესასთან ინტერვიუში, ბონვეხის ოჯახის წევრებმა განაცხადეს, რომ ის სახლიდან ჯერ კიდევ 20 წლის ასაკში წავიდა და მეზობელ, მაღალმთიან ანდორაში თხილამურების ინსტრუქტორად მუშაობდა. უკრაინაში ის 10 წლის წინ, ტურისტული მოგზაურობის შემდეგ დარჩა და იქვე დაოჯახდა. მამამისმა, ბარსელონასთან მცხოვრებმა ხოან სარდამ ღიად განაცხადა, რომ მისმა შვილმა ესპანეთში უძრავი ქონების ორი კომპანია დააფუძნა, თუმცა ისინი მრავალი წელია, არ ფუნქციონირებენ. მისი განმარტებით, ხორდი არასოდეს ყოფილა არც საკუთარი და არც სხვისი ბიზნესით დაინტერესებული. არსებული ინფორმაციით, ხორდი ბონვეხი, ესპანური კომპანიების სახელით, გარიგებებითა და უკრაინაში მოგზაურობით იყო დაკავებული. 2012 წლის სექტემბერში მას მონაწილეობა მიუღია იალტის ყოველწლიურ ეკონომიკურ კონფერენცია „იეს“-ში და თხევადი გაზის მიწოდების საკითხებზე საჯაროდ უმსჯელია. ამის გამო, უკრაინის ექსპრეზიდენტმა ლეონიდ კრავჩუკმა განაცხადა, რომ თხევადი გაზის ტერმინალის გარიგების ინიციატორმა, უკრაინის საინვესტიციო და ეროვნული პროექტების სააგენტოს ხელმძღვანელმა ვლადისლავ კასკივმა უკრაინა დაამცირა. თავად კასკივმა კი, თხევადი გაზის ტერმინალს „უკრაინის ენერგეტიკული უსაფრთხოების“ საწინდარი უწოდა.

ტერმინალის მშენებლობასთან დაკავშირებულ სკანდალს დიდი რეზონანსი მოჰყვა, ვინაიდან ყველაფერი პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩის ყატარში, თხევადი გაზის მოწოდებაზე გამართულ მოლაპარაკებებს დაემთხვა. უკრაინისთვის ნეგატიური მოვლენები 29-30 ნოემბერს, პრემიერ მიკოლა აზაროვის ნორვეგიაში გამართული ვიზიტის დროსაც გაგრძელდა — ნორვეგიის პრემიერ სტოლტენბერგთან შეხვედრის შემდეგ, იმედგაცრუებულმა აზაროვმა განაცხადა, რომ რფ-ს მიერ უკრაინის შემოვლითი გზების მშენებლობის ფონზე, ევროპელები უკრაინის გაზსატრანსპორტო ქსელის მოდერნიზაციით არ ინტერესდებიან — ნოემბერში გერმანიიდან, კომპანია **RWE**-სთან გაფორმებული კონტრაქტით, მცირე რაოდენობის გაზის მიღების შემდეგ, უკრაინას იმედი ჰქონდა, რომ ნორვეგიულ გაზსაც მიიღებდა, მაგრამ შეცდა. ნორვეგიული მხარე აზაროვს არც რუსეთთან ერთობლივი კონსორციუმით, უკრაინის გაზსატრანსპორტო ქსელის რეკონსტრუქციის წინადადებაზეც დაეთანხმა.

ზემოაღნიშნული ნეგატიური მოვლენები სულ უფრო მეტად აქცევს კიევს რუსული ენერგეტიკული კომპლექსის დანამატად. ექსპერტების აზრით, არსებობს უკრაინის გაზის ქსელის „გაზპრომის“ მიერ (ბელორუსის „ბელტრანსგაზის“ მსგავსად) „შთანთქმის“ სცენარი. ამ შემთხვევაში, კიევს აღარ დასჭირდება ტერმინალები თუ ენერგო-ალტერნატივები და მისი ეკონომიკა, შეიძლება კარპატების თხილამურების ტურიზმის იმედად დარჩეს...

# 16 ახალი „კანონიერი ქურდი“ და დუბაიში გამართული „ქურდული სხადნიაკის“ უცნობი დეტალები



მერაბ ჯანგველაძისა და ასლან უსოიანის კლანებს შორის ბრძოლა გამწვავდა



**რამდენიმე დღის წინ, დუბაიში გამართული დიდი „ქურდული შეკრების“ შედეგები ცნობილია: „კანონიერ ქურდად“ „ნაკურთხია“ 16 კრიმინალი. ასევე, ცნობილი ხდება, რომ ამ შეკრებამ ჯანგველაძისა და უსოიანის კლანებს შორის მდგომარეობა კიდევ უფრო დაძაბა. წყაროს ინფორმაციით, ახლადგამომცხვარმა „კანონიერმა ქურდებმა“ თავიანთ რიგებში პირველი დანაკარგებიც განიცადეს.**

როგორც ცნობილია, 10 დეკემბერს, დუბაის ერთ-ერთ ფეშენებელურ სასტუმროში, „კანონიერი ქურდების“ დიდი შეკრება გაიმართა. ყოველ მათგანს ალტერნატიული შეხედულება აქვს იმაზე, თუ როგორ ინტერპრეტირებს „ქურდულ კანონებს“ დედ ჰასანის, იგივე ასლან უსოიანის კლანი და მასთან დაახლოებული პირები.

შეკრებილი „კანონიერი ქურდების“ აბსოლუტური უმრავლესობა ის იყო, ვინც 2008 წლის ივლისში, პიროგოვოს წყალსაცავზე გამართული შეკრების დროს, ასლან უსოიანის მიმართ თავისი ანტიპათია, ტარიელ ონიანის მიმართ კი, სიმპათია გამოხატა. დუბაიში გამართულ შეკრებაში მონაწილე „კანონიერი ქურდების“ „კოჰორტაში“ ისეთი „მძიმე წონის“ კრიმინალური ავტორიტეტებიც იყვნენ, როგორებიც არიან: თამაზ კოროშინაძე, გივი გორდელაძე, თემურ ნემსიწვერიძე, ალექსანდრე ბორა, თეიმურაზ ჯალაღანია, ირაკლი ყალიჩავა, ზურაბ დგებუაძე, თენგიზ კორსაგია, აჰმედ ევლოევი და, რა თქმა უნდა, მერაბ ჯანგველაძე, რომელიც ტარიელ ონიანის დაპატიმრების შემდეგ, ასლან უსოიანის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი იდეოლოგი გახდა.

ასევე, არის მონაცემები, რომ დუბაიში „ქურდულ შეკრებაში“ მონაწილეობისთვის ჩასულები იყვნენ ჯანგველაძის მომხრე ქუთაისელი „კანონიერი ქურდები“ — გიორგი უგულავა, გურამ ჩიხლაძე და მიხეილ ბოროვსკოი. ცალკე აღნიშვნის ღირსია დედ ჰასანის კიდევ ერთი წონიანი მოწინააღმდეგე ჯემო მიქელაძე, რომელიც ამ შეკრებას კოროშინაძესთან ერთად „თავმჯდომარეობდა“.

მთავარი საკითხი, რომელმაც ამ რაოდენობის „ქურდი იერარქების“ შეკრების საჭიროება გააჩინა, დაზუსტებული მონაცემებით, 16 ადამიანის „ქურდად კურთხევა“ იყო. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლების განმავლობაში, დედ ჰასანი თავის რიგებში აქტიურად იღებდა „წვევამდელებს“, მოწინააღმდეგე მხარე, „ქურდული გაგებისა და წესების“ შესაბამისად, კონფლიქტის პერიოდში, ამგვარი ქმედებებისგან თავს იკავებდა.

მას შემდეგ კი, რაც მიმდინარე წელს დედ ჰასანის „ნათლულებმა“ ორ ათეულს გადააჭარბა და კრიტიკულ ზღვარს მიაღწია, მოწინააღმდეგე მხარე იძულებული გახდა, თავის მიერ დაწესებული ცალმხრივი მორატორიუმი მოეხსნა და „საქმისთვის მიეხედა“.

ამის შედეგად, „ქურდული უფლებამოსილება“ მიანიჭეს და აღიარეს ისეთი ცნობილი და ნაკლებადცნობილი პიროვნებები, როგორებიც არიან: ერწო ბათუმსკი, ხოჭო ქუთაისსკი, ლაშა ბარჯღა, ახმედ შალისნსკი, ხამზატ ინგუში, დათო გუდაუტსკი, ასტიკ სოხუმსკი, მანჩო სუხუმსკი, დათო კისტინეცი, ლეხა ზლაკ როსტოვსკი, საშა მედვეჟონოკ გომელსკი, ოლეგ სლუცკიი, პაშტეტ მინსკიი, რუსლან ლებედ ბორისოვსკი, ხაჯი ლენკორანსკი და რაფო გიანჯინსკი. ახალი „კანონიერი ქურდების“ ასაკი 22-დან 42 წლამდეა. მათი ეთნიკური შემადგენლობა კი, ასეთია: შვიდი ქართველია, ოთხი — ბელორუსი, ორი — ლატველი, ერთი — ჩეჩენი, ერთი — ინგუში და ერთიც — რუსი.

ამ ახლადგამომცხვარი „კანონიერი ქურდებიდან“ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსნი არიან ქუთაისური „ქურდული ოჯახის“ წარმომადგენლები: ერწო, ხოჭო და ბარჯღა. თითოეული კრიმინალურ სამყაროში კარგადაა ცნობილი თავისი სისხლის სამართლის საქმეებითა და სასჯელის მოხდის ვადით. ისინი გამოცდილი და „იდეინი“ დამნაშავეები არიან და თავიანთი „ხელების წყალობით“ ცხოვრობენ.

ერწომ უკვე მოასწრო და სხვისი სახელით სასჯელის ვადა არა მხოლოდ რუსეთში, არამედ იტალიაშიც მოიხადა. მასზე დღემდე ძებნაა გამოცხადებული. მიუხედავად იმისა, რომ ერწოს პირდაპირი და ერთადერთი რეკომენდატორი ბათუმელი ქურდი თემურ ჩინჩხლია იყო, მის კანდიდატურას მხარი ისეთმა გავლენიანმა ქუთაისელმა ქურდებმაც დაუჭირეს, როგორებიც არიან წიკო და სოპოტია.

ხოჭო და ბარჯღა კი, თავიანთ „ქურდულ გვირგვინებს“ სხვა ქუთაისელ ავტორიტეტებს უნდა უმადლოდნენ. კერძოდ, ვარლამ კუხიანიძეს, მეტსახელად „ვატიას“ და ბადრი კოღუაშვილს.

თუმცა, ზემოხსენებულ შეკრებაზე აღინიშნა, რომ თითქმის ერთადერთი „კანდიდატი“, რომელიც „კანონიერი ქურდის“ ტიტულის ფლობის ღირსი იყო, 31 წლის ახმედ დომბაევია — მან უკვე მოასწრო და სერიოზული ავტორიტეტი მოიპოვა როგორც „სვაბოდაზე“, ასევე, — ციხეშიც.

პირველად „უმაღლეს დონეზე“ დომბაევის „დამსახურება“ მაშინ აღინიშნა, როდესაც იგი „მეთვალყურე“ იყო „მატროსსკაია ტიშინაში“. ბადრი კოღუაშვილმა მასზე თქვა: „ახმედი ოჯახში უნდა იყოს!“ ამბობენ, რომ ამ ჩეჩენის, რომელიც „დიდ იმედებს იძლევა“, ხილვა თავიანთ რიგებში ბარიკადების ყველა მხარეს სურდა. ამიტომაც, პირადად მისმა გადაწყვეტილებამ, რომ ჯანგველაძის ბანაკში იყოს, დედ ჰასანის მომხრეთა აშკარა იმედგაცრუება გამოიწვია.

ჯერ კიდევ კოლონიაში ყოფნისას, იგი დედ ჰასანის კლანის წევრებისთვის ყველაზე ხელმისაწვდომი იყო, თუმცა თავის თანამემამულეებს, რომლებიც მასთან მიაგზავნეს, — ჰუსეინსა და გილანს და რომლებიც „თბილი სიტყვით“ ცდილობდნენ მის გადაბირებას, ახმედმა განუცხადა, რომ ვერ ხედავს სხვაობას იმაში, თუ ვისგან მიიღებს „ქურდულ გვირგვინს“, ვინაიდან ოჯახში წევრიანდება და არა — დაჯგუფებაში. ამის შემდეგ, მას სიტყვიერი შელაპარაკება მოუვიდა ნიკა გაგრინსკისთან, რომელმაც კოლონიაში დარეკა. შემდეგ კი, დედ ჰასანის კლანში შემავალმა „კანონიერმა ქურდებმა“ გადაწყვიტეს და კოლონიაში მყოფთ მისცეს მითითება, რომ ახმედი ქურდად არ აღიქვან, რამაც მისი ისეთი რეაქცია გამოიწვია, რომ კოლონიაში სპეცდანიშნულების რაზმის გამოძახება გახდა საჭირო. თავად დომბაევი ამ დროს საერთო მასას მოაცილეს და მისი იზოლირება მოახდინეს.



ამავე დროს, ცნობილი ხდება, რომ მან დუბაის შეკრების შემდეგ, დაურეკა დედ ჰასანის კლანის წარმომადგენლებს და ბოდიში მოუხადა, თან ჯემოს ლანძღავდა და აცხადებდა, რომ მან „შეცდომაში“ შეიყვანა. შედეგად, მას აპატიეს და „ბრადიაგა“-ს სახელით დატოვეს. ამ „ტიტულის საკითხს“ უახლოეს მომავალში, ალბათ, ველარ მოაგვარებს, თუმცა რამდენად შეესაბამება ეს ინფორმაცია სინამდვილეს, ჯერჯერობით, უცნობია.

ჰასანის კლანი საკუთარი ხაზის გატარებას აზერბაიჯანის გამასწორებელ კოლონიებშიც ცდილობს, სადაც „მათი უფლებებით აღჭურვილ“ პირად 40 წლის ნადირ სალიფოვი, მეტსახელად გული მოიაზრება. იგი 24-წლიან სასჯელს იხდის. რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, დედ ჰასანის პროპაგანდისტური მანქანა მიმართული იყო როვსან ჯანიევისა და მისი მომხრეების — რუფატ ნასიბოვისა და ხაჯი ელცუევის წინააღმდეგ, რომელთა ეგზოტიზმი მათ „სველ“ სპეციალიზაციაშია. სხვათა შორის, დედ ჰასანის მომხრეთა შორის საკმაოდ მრავლად არიან ისეთები, რომლებმაც თავიანთი „დიდი კრიმინალური კარიერა“ შეკვეთილი მკვლელობებით დაიწყეს.

აღსანიშნავია, რომ, არსებული ინფორმაციით, დედ ჰასანი „კანონიერ ქურდად“ კურთხევისთვის კიდევ რვა კანდიდატს ამზადებს.

საერთო სურათი, რომელიც დუბაიში ჩატარებული შეკრების შემდეგ იკვეთება, შემდეგნაირია: ჯერჯერობით, ნაადრევია ლოკალურ წარმატებებზე საუბარი. მთლიანობაში, რუსეთში არსებული „კრიმინალური ძმობა“ დედ ჰასანის კლანზეა ორიენტირებული და არა — ქართველებზე, რომლებიც ქვეყნიდან (რუსეთი) ფულს „ქაჩავენ“ და ბრძანებებს საზღვარგარეთიდან იძლევიან. ამას ისიც ემატება, რომ დედ ჰასანის კლანის წევრები მთლიანად აკონტროლებენ სიტუაციას თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში და თავისუფლად ახდენენ მათთვის ხელსაყრელი „საზოგადოებრივი აზრის“ ფორმირებას. ეჭვგარეშეა, რომ მალე „დუბაის ლაურეატები“ „უწმინდურების“ სიაში იქნებიან შეყვანილნი და არა მხოლოდ სამართლებრივ, არამედ „ქურდულ კანონგარეშედ“ გამოცხადდებიან.

ამავდროულად, დედ ჰასანის რეაქციას მერაბ ჯანგველაძის მიერ დუბაიში 16 ადამიანის „კანონიერ ქურდად“ კურთხევაზე დიდხანს ლოდინი არ დასჭირდა, თუმცა საპასუხო ნაბიჯი არცთუ ადეკვატური გამოდგა — უსოიანის მიერ „ქურდად კურთხეული“ ადამიანების რაოდენობამ საწინააღმდეგო ბანაკის „ახლადკურთხეულთა“ რაოდენობას ვერ გადააჭარბა.

ახალ „კანონიერ ქურდად“ გამოცხადდა ორი ადამიანი: ლევანი და გევორიკი. პირველი ძმებ ქარდავების თანამემამულეა (გალის რაიონი), რომლებმაც ბოლო დროს „ნათლიმამების“ სტატუსი აშკარად კარგად შეითავსეს. მეორე გევორიკი კი, ბაშკირეთის მცხოვრებია და ამ რესპუბლიკაში მყოფი „კანონიერი ქურდის“ — იგორ მოლოდცოვის, იგივე ეგორ უფიმსკის უახლოესი გარემოცვის წევრია.

აღსანიშნავია, რომ დუბაიში გამართული „დიდი კურთხევა“ თავის ლოგიკურ დასასრულამდე, ე.წ. პრაგოინის არარსებობის გამო ჯერ არ მისულა. ამავდროულად, არ არის გამორიცხული, ახალი „კანონიერი ქურდების“ ვინაობა ჯერ იმიტომ არ ხმაურდება, რომ დედ ჰასანის კლანმა ისინი „კანონგარეშედ“ არ გამოაცხადოს. ამასთან, დედ ჰასანის კლანი პრევენციულ ზომებს უკვე იღებს და ბანაკებსა თუ ზონებში ჯემოსა და მერაბის „ნათლულების“ დისკრედიტაციისთვის აქტიურ პროპაგანდას ეწევა. კერძოდ, გასულ კვირას გელა ქარდავას უმცროსმა ძმამ, გიზომ ერთ-ერთ რუსულ „ზონაში“ შესაბამისი „ახსნა-განმარტებითი სამუშაო“ ჩაატარა.

შეგახსენებთ, რომ დუბაიში გამართულ გრანდიოზულ „ქურდულ შეკრებაში“ მონაწილეობა 60-მდე იმ ე.წ. კანონიერმა ქურდმა მიიღო, რომელიც დედ ჰასანის მოწინააღმდეგედ მიიჩნევა.

მანამდე, ბოლოს ე.წ. ქურდული შეკრება მოსკოვში, ოქტომბრის ბოლოს, რესტორან „გავან ვ ხამოვნიკახ“-ში გაიმართა. მაშინ ეს შეკრება პოლიციამ აღკვეთა და ხუთი ე.წ. კანონიერი ქურდიც დააკავა. მათ შორის იყვნენ გელა, თემურ სვერდლოვსკი, სურო, ონიკი და არტემ ლიბეტსკი. ამ უკანასკნელს მაშინ ნარკოტიკული ნივთიერება, ასევე სხვის სახელზე გაცემული პასპორტიც აღმოუჩინეს და მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის ორი საქმე აღძრეს.

*„ჯი-ეიჩ-ენი“*

## ვერსიანიუსი

### სამართალდამცველებმა ნარკოტიკების რეალიზატორთა ჯგუფი დააკავეს



შს სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად, თბილისში ნარკოტიკების რეალიზატორთა ჯგუფი დააკავეს.

შს სამინისტროს ცნობით, დაკავებულია 1985 წელს დაბადებული აკაკი ძ. და 1982 წელს დაბადებული ივანე მ.

გამოძიების ინფორმაციით, ჯგუფის წევრები, თბილისის სხვადასხვა გასართობ ცენტრში ნარკოტიკული საშუალება **LSD**-ს რეალიზაციას ახდენდნენ — ნარკოტიკულ ნივთიერებას შაქრის ნატეხზე აწვეთებდნენ და ცალს 30 ლარად ყიდდნენ.

სამართალდამცველებმა დაკავებულების პირადი ჩხრეკისას, სარეალიზაციოდ გამზადებული ნარკოტიკული საშუალება **LSD**-ით გაჟღენთილი შაქრის 32 ნატეხი და 5 მლ-მდე სითხე ამოიღეს. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლით მიმდინარეობს. გამოძიებას კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველო აწარმოებს.

*„პირველი“*

### იტალიის პრეზიდენტმა პარლამენტი დაითხოვა



იტალიის პრეზიდენტმა, ჯორჯიო ნაპოლიტანომ პარლამენტი დაითხოვა. უცხოური მედიის ინფორმაციით, იტალიის კონსტიტუციის მიხედვით, არჩევნები 70 დღეში უნდა დაინიშნოს და როგორც ვარაუდობენ, ეს თარიღი 2013 წლის 24 თებერვალი იქნება. პარლამენტის დათხოვნამდე, პოსტი იტალიის პრემიერ-მინისტრმა მარიო მონტიმ დატოვა. ეს გადაწყვეტილება მან ჯერ კიდევ 8 დეკემბერს, მას შემდეგ მიიღო, რაც სილვიო ბერლუსკონის პარტია „სახალო თავისუფლებამ“ მონტის მინისტრთა კაბინეტს მხარი არ დაუჭირა. პარლამენტის დათხოვნის მიზეზად იტალიაში შექმნილი სამთავრობო კრიზისი სახელდება.

აღსანიშნავია, რომ იტალიის პრემიერ-მინისტრობის სურვილი ისევ გამოთქვა სილვიო ბერლუსკონიმ, რომელსაც ეს პოსტი სამჯერ ეკავა.

*„ინტერპრესნიუსი“*

# ნიკა გვარამიას დაკავების მერე, „ნაციონალებმა“ „ზონდერების“ მობილიზაცია გამოაცხადეს

**„საგამოძიებო პროცესი უკვე შეეხო ადეიშვილის, მერაბიშვილის, უგულავას საქმიანობას, და როგორც ჩანს, კვალი ბატონი პრეზიდენტისკენ მიდის. შესაბამისად, ავლაბრის სასახლეში ტემპერატურაც იმატებს. არაა გამორიცხული, საქმე ე.წ. ჟვანიას საქმეს ეხებოდეს!“**

თამარ მელქაძე

**ახალი ხელისუფლება გაოპოზიციონერებული ჩინოვნიკების დაჭერას განაგრძობს, რასაც პრეზიდენტი და „ნაცმოძრაობა“ ისტერიული ტონითა და ქუჩის აქციებით აპროტესტებს. თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ თავმჯდომარე ზაზა გაბუნია აცხადებს, რომ „ნაციონალები“ საჯარო მოხელეებს საპროტესტო აქციებში მონაწილეობას აიძულებენ. ამასთან, „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნავს, რომ ოპოზიციამ თბილისის მომავალი წლის ბიუჯეტი „ნაცმოძრაობის“ „ახალ გამოწვევებს“ მოარგო.**

— ჩემი ინფორმაციით, „ნაციონალების“ აქციისთვის მობილიზაცია ჯერ კიდევ „ნაცმოძრაობას“ დაქვემდებარებულ ყველა ორგანიზაციაში მოხდა. განსაკუთრებული აქცენტი კი ბაღებზე, დასუფთავების სამსახურსა და რაიონულ გამგეობებზე გაკეთდა. ამ ხალხს თბილისის მერია მასობრივ ღონისძიებებში, ანუ იქ, სადაც პრეზიდენტსა თუ მერს ხალხმრავლობა უნდა დახვედროდა, არჩევნებამდეც იყენებდა. მიუხედავად იმისა, რომ ზემოხსენებულ სამსახურებში დასაქმებულ ადამიანებს, თბილისის ბიუჯეტის ფარგლებში, 2013 წლიდან ხელფასი 20%-ით გაეზრდებათ, ძალაუფლებადაკარგულმა „ნაცმოძრაობამ“ მასშტაბური აქციის ჩატარება ვერ მოახერხა და აქციაზე ისინი ვიხილეთ, ვისაც „ნაცმოძრაობის“ მიმართ, უბრალოდ, ვალდებულებები აქვს, ანუ პარლამენტისა და თბილისის საკრებულოს დეპუტატები, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსებული პოეტები, გამგეობებისა და ბაღების ის თანამშრომლები, ვინც სხვადასხვა დროს, „ნაცმოძრაობის“ კვოტით, საარჩევნო კომისიებში მუშაობდნენ. სხვათა შორის, ბაღების სააგენტო, რომელსაც დიდუბის ყოფილი გამგებელი მართავს, მერიის დაქვემდებარებაშია...

**— მერიის დაქვემდებარებაში მყოფი საჯარო მოხელეები აცხადებენ, რომ „ნაცმოძრაობის“ მიერ ორგანიზებულ საპროტესტო აქციაში სამსახურის დაკარგვის შიშით მონაწილეობდნენ. ამ აქციაზე ისინი იძულებით წაიყვანეს თუ, უბრალოდ, შესთავაზეს, რომ ქუჩაში გასულიყვნენ და ყოფილი მაღალჩინოსნების დაკავება გაეპროტესტებინათ?**

— ადამიანები ბაღსა თუ დასუფთავების სამსახურში მუშაობას აქციებზე სიარულის, ან ვინმეს პოლიტიკური მხარდაჭერის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად არ იწყებენ. აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, ჩნდება ეჭვი, რომ ისინი ამ საქმეს ვალდებულების გამო აკეთებენ და ამ განცდის დამკვიდრებას ხელს თავად დამსაქმებლები, ანუ ამ შემთხვევაში, „ნაცმოძრაობის“ ლიდერებიც უწყობდნენ. ამ სამსახურებში დასაქმებულთა ხელფასები 20%-ით იმიტომ იზრდება, რომ პარტიულ საქმიანობაში ჩართვა მეტი დატვირთვით მოსთხოვონ. ეს „ნაცმოძრაობას“ ახლა განსაკუთრებით სჭირდება, რადგან პროტესტის ქუჩიდან გამოთქმის გზა აირჩია. „ნაციონალებს“ კარგად ესმით, რომ რიგითი ნეიტრალური ადამიანები ქუჩაში მათ მხარდასაჭერად არ გავლენ, ამიტომ იმ რესურსის მობილიზაციას ცდილობენ, რომელზე გავლენაც ჯერ კიდევ აქვთ. დასაქმებულები კი, ამას სამსახურის დაკარგვის შიშით გააკეთებენ.

საერთოდ, „ნაცმოძრაობა“, შეცვლილი პოლიტიკური რეალობის შესაბამისად, ახალი არჩევნებისთვის ემზადება. ხელთ ცენტრალური ბიუჯეტის სახსრები აღარ აქვს, რომ საარჩევნო კამპანიისთვის გამოიყენოს. თბილისის ბიუჯეტს იყენებენ — 20%-ით იზრდება მერიის სამსახურებში დასაქმებულთა ხელფასი, ასევე, იზრდება ე.წ. კორპუსის ამხანაგობის დაფინანსება. თბილისის ბიუჯეტი ახალ პოლიტიკურ რეალობასა და „ნაცმოძრაობის“ წინაშე მდგომ ახალ გამოწვევებზეა მორგებული.

**— ბატონო ზაზა, ვრცელდება ინფორმაცია, რომ „ნაციონალებმა“ „ზონდერების“ მობილიზაციაც გამოაცხადეს...**

— რაც შეეხება „ზონდერჯგუფებს“, ცნობილია, რომ ე.წ. ზონდერების დიდი ნაწილი დასუფთავების სამსახურის თანამშრომლად იყო გაფორმებული და მათი გამოყენების მცდელობა, ცხადია, იქნება. გამოჩნდება, რა სახით გამოიყენებენ — როგორც აგრესიულ ელემენტებს თუ, უბრალოდ, მასობრივი ღონისძიებების მონაწილეებს.

**— ამას წინათ, პრეზიდენტმა პოლიციელებს მოუწოდა, რომ ხელმძღვანელობას არ დაემორჩილონ. ეს საბოტაჟია და, საერთოდ, „ნაცმოძრაობისგან“ რას უნდა ველოდეთ?**

— პრეზიდენტის ეს განცხადება, საქართველოს დაპყრობა-დამორჩილების ჟინით ვნებასაყოლილი გადამთიელის განცხადებას ჰგავს. ეს ანტისახელმწიფოებრივი და ძალიან საშიში გამოსვლა იყო, რითიც „ნაცმოძრაობამ“ კოჰაბიტაციის, როგორც პროცესის უარყოფა ოფიციალურად გააფორმა. სააკაშვილი ჯარის გარეშე დარჩენილ მთავარსარდალს ჰგავს, რომელიც რაღაც მოწოდებებს აკეთებს, მაგრამ ადრესატები არ უსმენენ. პოლიციელების მისამართით გაკეთებული განცხადება, რა თქმა უნდა, დარჩება სიტყვებად და პოლიციელთა ქცევაზე გავლენა არ ექნება. მიუხედავად ამისა, ყველაფერი ძალიან მნიშვნელოვანი და ყურადსაღები უნდა იყოს, პირველ რიგში, საერთაშორისო საზოგადოებისთვის, რომლისთვისაც სააკაშვილი ჯერ კიდევ დემოკრატიული იმიჯის მქონეა. ახალი მთავრობის საგარეო გუნდმა სკრუპულოზურად უნდა იმუშაოს და თუკი საერთაშორისო საზოგადოების სრული ინფორმირება მოხდება, გამოჩნდება, რომ „ნაცმოძრაობისთვის“ მის მიერვე ინიცირებული კოჰაბიტაცია ხელსაყრელი არ იყო. ამასთან, საერთაშორისო საზოგადოებას უნდა ეცნობოს, რომ „ნაცმოძრაობას“ არ სურს, იმ კითხვებს უპასუხოს, რომლებიც საგამოძიებო სამსახურებს მის წევრების მიმართ აქვს. კოჰაბიტაცია ყველა დონეზე თანამშრომლობა-თანაცხოვრებას გულისხმობს, მაგრამ როცა ოპოზიციაში გადასული მმართველი პარტია და მისი ლიდერი ამ პროცესს დევნად აფასებს და სამართალდამცავთა სრულიად ლეგიტიმურ საქმიანობას უნდობლობას უცხადებს, „ნაციონალების“ მხრიდან კოჰაბიტაცია ეჭვქვეშ დგება.



**— სხვათა შორის, ნიკა გვარამიასა და ალეკო ხეთაგურის დაკავებამ „ნაციონალები“, როგორც იტყვიან, ისტერიკაში ჩააგდო — ასეთი „მკაცრი“ ტონი მიხეილ სააკაშვილს ბაჩო ახალაიას დაჭერის დროსაც არ ჰქონია...**

— სააკაშვილს ასეთი ტონი მხოლოდ მაშინ აქვს, როცა საფრთხე პირადად ემუქრება. საგამოძიებო პროცესი უკვე შეეხო ადეიშვილის, მერაბიშვილის, უგულავას საქმიანობას და, როგორც ჩანს, კვალი ბატონი პრეზიდენტისკენ მიდის. შესაბამისად, ავლაბრის სასახლეში ტემპერატურაც იმატებს. არაა გამორიცხული, საქმე ე.წ. ჟვანიას საქმეს ეხებოდეს, მით უმეტეს, ამ დღეებში გავრცელდა ძალიან ბევრი ინფორმაცია, სადაც სააკაშვილის გვარიც იკვეთება.

გარდა ამისა, სააკაშვილის მმართველობასა და მის უშუალო გადაწყვეტილებებს უკავშირდება 7 ნოემბრისა და 26 მაისის დანაშაულებრივი ქმედებები — ბევრი ფაქტი ადასტურებს, რომ ამ საკითხებთან დაკავშირებით, გადაწყვეტილებას სწორედ მთავარსარდალი იღებდა. 9 წლის განმავლობაში ძალიან ბევრი იწერებოდა კორუფციულ გარიგებებსა და ქონების მიტაცებაზე, სადაც შეიძლება, უმაღლეს პირთა სახელები გამოიკვეთოს. არსებობს გონივრული ეჭვი, რის საფუძველზეც, შემიძლია ვთქვა, რომ გამოძიება ამ საქმეების ყველა მონაწილე პერსონით აუცილებლად დაინტერესდება.




# სამართალი და რევანში საქართველოში

რეჟი ჟენტე

THE NATIONAL INTEREST

კომენტატორები კითხულობენ: როდესაც საქართველოს ახალი მთავრობა ყოფილ პოლიტიკურ მეტოქეებს აპატიმრებს, რას წარმოადგენს დაპატიმრებების ეს ტალღა — სამართლიანობის აღდგენას თუ რევანშს? ძალისმიერი ქმედება ორივეს ნიშნავს, მაგრამ ამავე დროს, შეკითხვა, ალბათ, არასწორად არის დასმული. საქმე ის კი არ არის, რა დანაშაულებანი ჩაიდინეს სააკაშვილის ყოფილმა მინისტრებმა, ამ დანაშაულებათა შეფასება მხოლოდ დამოუკიდებელ გამომძიებლებს შეუძლიათ, აქცენტი სხვა საკითხზეა გადასატანი — დემოკრატიის კონსოლიდაციასა და პოლიტიკური ინსტიტუტების განმტკიცებაზე.

იმით, რომ ხელისუფლების გადაცემას სამართლიანობის პრობლემად აქცევენ, ბევრი ცდილობს, პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი თეთრი მტრედივით უცოდველად დახატოს. ასე იქცევიან ისინი 2003 წლის „ვარდების რევოლუციიდან“ დღემდე. სააკაშვილის ამ უპირობო დამცველებს ადრევე უნდა დაეწყოთ მისი კრიტიკა, რათა ეიძულებინათ, ნამდვილი დემოკრატივით ემოქმედა. ეს იქნებოდა საუკეთესო გზა, რომელიც სააკაშვილს საკუთარი თავისგან დაიცავდა. დღეს ეს მხარდამჭერები და მისი ყოფილი მინისტრები ოპოზიციასა და დაბალანსებულ მედიას, სამართალსა და დაცვას სთხოვენ. არადა, ასეთი რიტორიკისთვის ბოლო რვა წლის განმავლობაში რომ მიემართათ, დღეს მათი მოთხოვნები უფრო სარწმუნო იქნებოდა.

სააკაშვილი იმსახურებს ქებას იმ ძალიან რთული და ხშირად წარმატებული რეფორმებისთვის, რომელიც ბევრ სფეროში მისი ინიციატივით ჩატარდა — კორუფცია ყოველდღიური ცხოვრებიდან გაქრა. მოსამართლეები და პოლიციელები ქრთამს აღარ იღებენ. კრიმინალური შემთხვევები მნიშვნელოვნად შემცირდა. საჯარო სამსახურები მოდერნიზებულია, მაგრამ არსებობს სხვა ასპექტიც, როგორც ეს 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე ორი კვირით ადრე გაირკვა: ქართველებმა პირველად იხილეს, როგორ სასტიკად ეპყრობოდნენ პატიმრებს ციხეში. ეს სკანდალი, რომელიც იმ დროს შემთხვევით არ ამტყდარა, მილიარდერი ოლიგარქის, ბიძინა ივანიშვილის კოალიცია „ქართული ოცნებას“ გამარჯვებაში დაეხმარა.

სააკაშვილმა ორი მიმართულებით დაუშვა შეცდომა: პირველი, ის დარწმუნებული იყო, რომ დემოკრატიზაციას სახელმწიფოს მშენებლობა უნდა უსწრებდეს. მისი აზრით, უფრო მნიშვნელოვანი იყო კრიმინალთან ბრძოლა თუნდაც სასტიკი მეთოდებით, ვიდრე კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული მტკიცე სისტემის შექმნა. მეორე: მან და მისმა გუნდმა ისე ჩაატარეს ლიბერალური რევოლუცია, რომ უარი არ უთქვამთ არალიბერალურ საბჭოთა მემკვიდრეობაზე: ისინი კრიტიკულად განწყობილებს ან „ვარდების რევოლუციის“ მტრობაში, ან პრორუსულობაში ადანაშაულებდნენ. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს ბრალდებები ნაწილობრივ, სამართლიანი იყო, მათ ვერ შეძლეს ქვეყანაში ჭეშმარიტად ლიბერალური ატმოსფეროს შექმნა. სწორედ ამიტომ კლავდნენ ისინი ძირშივე ზოგიერთ ოპოზიციურ მოძრაობას. მიუხედავად იმისა, რომ ივანიშვილისადმი და მისი წარსული „რუსი“ ოლიგარქობისადმი გარკვეული უნდობლობა არსებობდა, 2011 წლის ოქტომბრის შემდეგ, როდესაც ის პოლიტიკაში მოვიდა და სააკაშვილის დამარცხების პირობა დადო, კრიტიკულად განწყობილი ადამიანები მის მოძრაობას შეუერთდნენ.

დღეს სააკაშვილის ჯიუტ მხარდამჭერებს სწამთ, რომ 20-ზე მეტი ჩინოვნიკი, მათ შორის, პენიტენციალური სისტემის და თავდაცვის ყოფილი მინისტრი ბაჩო ახალაია, მხოლოდ პოლიტიკური შურისძიების მიზნით დააპატიმრეს. არგებს კი ეს ყველაფერი საქართველოს? რა თქმა უნდა — არა.

ამჟამად, ახალაიას წინააღმდეგ ჩვენებებს ყოფილი ტუსაღები აძლევენ, მაგალითად, იმის გამო, რომ მათი თქმით, კრიმინალის წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით, ახალაია მათ აწამებდა. ზოგიერთი სამხედროც იგივეს ამტკიცებს.

**„თუ შენ მაღალი რანგის ჩინოვნიკი ხარ, ეს არ ნიშნავს, რომ არ უნდა წარსდგე სასამართლოს წინაშე. ჩვენ ბოლო უნდა მოვუღოთ დაუსჯელობის იმ განცდას, რომელიც პრევალირებდა სააკაშვილის მმართველობისას“,** — განაცხადა 37 წლის თეა წულუკიანმა, საქართველოს იუსტიციის ახალმა მინისტრმა.

ზოგიერთი საქმე, საერთოდ, არ არის პოლიტიკური. **„მას შემდეგ, რაც მინისტრად დავინიშნე (25 ოქტომბერს), ხუთი ათასზე მეტმა ადამიანმა მომმართა. ისინი ითხოვენ მათი საქმეების გადახედვას, რადგან აწამეს ციხეში, ან უკანონოდ წაართვეს ქონება“,** — ამბობს წულუკიანი.

უფლებადამცველები, წლების განმავლობაში, გმობდნენ საკუთრების უფლების დარღვევას, უსამართლობას სასამართლოებში (გამამართლებელი განაჩენი შემთხვევათა 0.1 პროცენტში გამოჰქონდათ); კონტროლს მედიაზე (მიუხედავად იმისა, რომ აქ მედია უფრო თავისუფალი იყო, ვიდრე — ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების უმეტესობაში) და სახელმწიფოს ბიუჯეტის არატრანსპარენტულ ხარჯვას.

თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ბოლოდროინდელი დაპატიმრებები არ არის რევანშიზმით მოტივირებული და „შერჩევითი“. ჩინოვნიკთა უმეტესობა დაკავებულია უმნიშვნელო დანაშაულისთვის და გაურკვეველია, რატომ იჩქარეს გასამართლება შინაგან საქმეთა სამინისტროს ათამდე ოფიცრისა, რომელთაც ბრალად საარჩევნო კამპანიისას „ქართული ოცნების“ წევრების ფარული მოსმენა ედებათ. წულუკიანი განმარტავს, რატომ დაბრუნდა სამშობლოში საფრანგეთიდან, სადაც ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მუშაობდა: **„ჩემი ერთ-ერთი ყველაზე დიდი მიზანი განხორციელდა — მინდოდა (სააკაშვილის) „ნაცმოძრაობის“ დამარცხება ისე, რომ მას, როგორც მმართველ პარტიას, მომავალი აღარ ჰქონოდა და ეს ძალიან მახარებს“.**

ახალი მთავრობა თითქოს სააკაშვილის შეცდომებს იმეორებს ოპოზიციასთან მიმართებაში. ახლა ჩვენ უკვე ვიცით, რატომ ხორციელდება სასტიკი ზეწოლა ზოგიერთ ადგილობრივ მმართველზე, რატომ ამბობენ პარლამენტარები, რომ მათ „ნაცმოძრაობის“ დატოვებას აიძულებენ, რათა „ქართულმა ოცნებამ“ საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვოს და დაიწყოს სააკაშვილის იმპიჩმენტის პროცედურა. რატომ მიმდინარეობს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრისა და თბილისის ამჟამინდელი მერის, გიგი უგულავას სასამართლო დევნა.

ყველაზე დიდი შეცდომა უკრაინის მაგალითის განმეორება იქნებოდა — იქ პრეზიდენტმა იანუკოვიჩმა თავისი ყველაზე ძლიერი ოპონენტი იულია ტიმოშენკო დააპატიმრა. ისიც არ გახლდათ კრავივით უცოდველი, მაგრამ იანუკოვიჩის პოლიტიკური მოტივაცია იმდენად ცხადი იყო, რომ ამან შედეგად, კიევის იზოლაცია გამოიწვია, განსაკუთრებით ევროკავშირის მხრიდან. ყველა ახალი მთავრობის ქმედებებმა უნდა განამტკიცოს საქართველოს პოლიტიკური ინსტიტუტები. რეალური დემოკრატია ოპოზიციის გარეშე არ არსებობს და თითქმის პირველად, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას ჰყავს ასეთი ძლიერი ოპოზიცია ცხადი იდეოლოგიით (პროდასავლური და ლიბერალურ ეკონომიკაზე ორიენტირებული), ძალიან გამოცდილი ადამიანებით, ძლიერი სატელევიზიო წარმომადგენლობითა და გარკვეული რაოდენობის ფულით. ამის განადგურება იგივე იქნებოდა, რაც — კონსოლიდირებული დემოკრატიის შექმნის შანსის განადგურება.

*foreignpress.ge*



# ოლიმპიური კომიტეტის ახალმა პრეზიდენტმა „ნაციონალები“ „გააშავა“, ანუ ლერი ხაბელოვის დაბრუნება

ლერი ხაბელოვი საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს (სეოკ-ი) მომავალი ოთხი წლის განმავლობაში უხელმძღვანელებს — ეს 20 დეკემბერს „შერატონ მეტეხი პალასში“ ჩატარებულ სეოკ-ის არჩევნებზე გადაწყდა.

პრეზიდენტობის სამი კანდიდატი იყო — ლერი ხაბელოვი, სეოკ-ის მოქმედი პრეზიდენტი, „ნაცმოძრაობის“ ყოფილი სახე გია ნაცვლიშვილი და ყოფილი პარლამენტარი ვანიდან, „ნაცმოძრაობიდან“ საკუთარი სურვილით წასული ბეჟან ხურციძე.

სამივემ წინასწარ დაასახელა გუნდი, რომლითაც ოლიმპიურ კომიტეტში მოვიდოდა. ხაბელოვმა პირველი ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტი ელგუჯა ბერიშვილი წარადგინა, ვიცე-პრეზიდენტებად — ოლიმპიური ჩემპიონი ნინო სალუქვაძე და მამუკა ხაბარელი, გენერალურ მდივნად კი — ემზარ ზენაიშვილი.

ნაცვლიშვილი პირველ ვიცე-პრეზიდენტად ოლიმპიურ ჩემპიონ დავით გობეჯიშვილის დატოვებას აპირებდა, რამაზ გოგლიძეს კი, ამ პოსტიდან გენერალურ მდივნად გადაყვანას უპირებდა. ვიცე-პრეზიდენტებად ოლიმპიადის გამარჯვებულ დავით ხახალეიშვილსა და სპორტულ კომენტატორ ვახტანგ გეგელიას მოიაზრებდა.

უცნაურია — ნიჩბოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა ხურციძემ „სტაფში“ კონკურენტის, ნაცვლიშვილის გუნდის წევრები დაასახელა: ვიცე-პრეზიდენტობას დავით გობეჯიშვილს სთავაზობდა, გენერალურ მდივნობას კი — რამაზ გოგლიძეს. კონკურენტ ბანაკებში ერთი და იგივე ხალხის ყოფნამ კითხვა გააჩინა: ეს, რეალურად, ერთი გუნდი ხომ არ იყო? სხვათა შორის, მსგავსი უცნაურობა მერაბ ჟორდანიას დაპატიმრებისა და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტიდან მისი გაძევების შემდეგაც მოხდა — ქართული ფეხბურთის ვეტერანთა კავშირმა მხარდაჭერა ჯერ რევაზ არველაძეს გამოუცხადა, შემდეგ — გიორგი ნემსაძეს, ბოლოს კი — მათ კონკურენტ ნოდარ ახალკაცს.

ოლიმპიურმა ჩემპიონმა, პარლამენტარმა და მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელად ოთხჯერ აღიარებულმა (2002, 2003, 2006, 2008) შოთა ხაბარელმა ნაცვლიშვილს შეუსრულებელი დაპირებები შეახსენა: ნაცვლიშვილმა წინა ყრილობაზე, მართლაც, დაიქადნა, რომ ლონდონის ოლიმპიადაზე 60 ლიცენზიასა და 5 ოქროს მოვიპოვებდით, მაგრამ რეალურად, გაცილებით ნაკლები ლიცენზია და მხოლოდ 1 ოქრო მოვიპოვეთ. ხაბარელი დაინტერესდა, რატომ ჩავარდა ლონდონის თამაშებზე, აწონვაზე დელეგაციის ერთადერთი მოკრივე მერაბ თურქია, ან რა მიზანს ემსახურებოდა 36 წლის პოლონელი მძლეოსნის ჩამოყვანა? ცხადია, ეს კითხვები რიტორიკული გახლდათ და მიზნად მოქმედი პრეზიდენტის გაშავებას ემსახურებოდა.

საინტერესო იყო ხაბელოვის აქცენტები, რომელმაც ძირითად პრიორიტეტებად სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში სპორტის ფართოდ დანერგვა და რიო დე ჟანეიროს 2016 წლის ოლიმპიადაზე რომელიმე სათამაშო სახეობაში საქართველოს მოხვედრა დაასახელა.

ხურციძე გამარჯვებას ორიგინალური გზით შეეცადა: არც მეტი, არც ნაკლები — კონკურენტებს კანდიდატურების მოხსნა და მხარდაჭერა სთხოვა.

ხმის მიცემამდე ოლიმპიურმა ჩემპიონმა ნინო სალუქვაძემ მოითხოვა, რომ ხმის უფლება ჩამორთმეოდა „ნაცმოძრაობიდან“ სპორტში მისულ ჩინოვნიკებსა (სპორტის ექსმინისტრი ვლადიმერ ვარძელაშვილი, გიორგი ალექსიძე, პეტრე ცისკარიშვილი, კახა გეწაძე) და „თბილისი-2015“-ის წარმომადგენლებს. საბოლოოდ, მანდატები მხოლოდ „ნაციონალურ“ ოთხეულს დაუტოვეს.

ხმის მიცემამდე დელეგატებმა „ორთქლი“ გამოუშვეს, სპორტის დეპოლიტიზაციის აუცილებლობაზე ილაპარაკეს და ყოფილ ხელისუფლებას სეოკ-ისა და ფედერაციების არჩევნებში უხეში ჩარევა გაახსენეს.

ემოციური გახლდათ მსოფლიო ჩემპიონი ლუკა კურტანიძე, რომელმაც „ნაციონალებს“ ჭადრაკის სასახლისთვის ნონა გაფრინდაშვილის სახელის გადარქმევა, ახმეტის საჭიდაო დარბაზიდან ოლიმპიური ჩემპიონის, ზურაბ ზვიადაურის სურათის ჩამოხსნა და 26 მაისის მოვლენებისას მის მიმართ გამოჩენილი სისასტიკე გაუხსენა. სპორტის ექსმინისტრი ვარძელაშვილი კი, შვილის კარიერის დაბლოკვაში დაადანაშაულა.

საბოლოოდ, სეოკ-ის მოქმედმა პრეზიდენტმა გია ნაცვლიშვილმა 43 ხმა მიიღო, ბეჟან ხურციძემ მხოლოდ — 4, ხაბელოვმა კი — 59 და ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი გახდა.

ლერი ხაბელოვი სეოკ-ის რიგით მეხუთე პრეზიდენტია. 1989-1996 წლებში ქართულ ოლიმპიურ მოძრაობას ჭადრაკში მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი ხელმძღვანელობდა, 1996-2004 წლებში — ჯანო ბაგრატიონი, 2004-2007 წლებში — ბადრი პატარკაციშვილი, 2007-2008 წლებში სეოკ-ის პრეზიდენტის მოვალეობას გოგი თოფაძე ასრულებდა, 2008-2012 წლებში კი კომიტეტს გია ნაცვლიშვილი თავკაცობდა.



### ლერი ხაბელოვის დოსიე

საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი ფალავანი (დაიბადა 1964 წელს), თავისუფალი სტილით მოჭიდავე მსოფლიოს ხუთგზის (1985, 1987, 1990, 1991, 1993) და ევროპის ოთხგზის (1985, 1987, 1988, 1992) ჩემპიონია. 1988 წელს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი გახდა, 1992 წელს კი — ოლიმპიური ჩემპიონი. ხაბელოვი მსოფლიო თასის მრავალგზის მფლობელიცაა.

1985 წელს დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი, 2000 წელს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

1998-2004 წლებში იყო სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის უფროსის პირველი მოადგილე, 2004-2008 წლებში — ოლიმპიური კომიტეტის პირველი ვიცე-პრეზიდენტი.

„რესპუბლიკური პარტიის“ წევრი, ბოლო წლებში, სამშობლოდან გადახვეწილი იყო და ვლადიკავკაზში ცხოვრობდა. 1 ოქტომბრის არჩევნებში, ქარელის ოლქში კენჭს კოალიცია „ქართული ოცნების“ მაჟორიტარად იყრიდა და გაიმარჯვა.

ლერი ხაბელოვი დაოჯახებულია, ჰყავს 5 შვილი. არის ვახტანგ გორგასლის მე-2 ხარისხის ორდენისა და ღირსების ორდენის კავალერი.

# ვლადიმერ გუცაევის იუბილეზე დამსხვრეული ნიჰილიზმი



რა დასამალია და, ჩემს თაობას, ვისაც მხოლოდ ძველ კადრებში გვენახა 1981 წლის თბილისის „დინამო“, არ გვჯეროდა, რომ საქართველოს ევროპული დონის გუნდი ჰყავდა, ქართველებს „საბჭოელ ბრაზილიელებს ეძახდნენ“, არგენტინის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა, ლუის მენოტიმ კი, ნოდარ ახალკაცის მაშინდელ კრებულს ევროპის საუკეთესო გუნდი უწოდა.

მე ხომ ისეთ ქვეყანაში გავიზარდე, სადაც ომმა ქვეყანა ნაწილებად დაშალა, შუქი, გაზი და სითბო გვენატრებოდა, პურის უზარმაზარი რიგები იყო და ნიჰილიზმი გაგვიჩნდა. არ გვჯეროდა, რომ ქართველებს მოგება და საქმის ხარისხიანი კეთება შეგვეძლო არა მხოლოდ ფეხბურთში, არამედ — ზოგადად.

მერე და მერე რაღაცები გავიგე, წავიკითხე, ძველი კადრები ვნახე და დავეჭვდი, ეტყობა, ძველები ყველაფერს არ გვატყუებდნენ-მეთქი.

2008 წელს რუსებთან მორიგი ომი დაიწყო. ისინი ქართველების გაქილიკების შანსს ხელიდან არ უშვებდნენ, ანეკდოტებს გვიგონებდნენ და რუსების ინტერნეტ-გვერდებისა თუ ტელევიზიებისკენ გახედვა შეგზიზღებოდა — სულ შხამი იყო.

ეგაა, საბჭოური პერიოდის „დინამოს“ არ გვიგინებდნენ — მაინც, თბილად ლაპარაკობდნენ. ახლახან „დინამოზე“ ერთ-ერთმა რუსულმა არხმა სიუჟეტი მოამზადა, რომლის შეფასება მოკლედ ასე შეიძლება — სრული შოკი.

**„1981 წელს თბილისის „დინამო“ ძლიერ კლუბად ჩამოყალიბდა. ნოდარ ახალკაცის ხელქვეითებისთვის უცხო არ იყო ევროპულ გრანდებზე გამარჯვება – „ლივერპული“, „ინტერი“, „ბენფიკა“ დამარცხებული ჰყავდათ. 1979 წელს თბილისელებმა მოუგეს „ლივერპულს“, რომელიც უპირობოდ, მსოფლიოს საუკეთესო კლუბი იყო, როგორც დღეს „ბარსელონაა“. ახალკაცის გუნდიც თასების თასისკენ გზას შეუდგა“,** — ასე შეაფასა რუსმა ტელეჟურნალისტმა 1981 წელს, ახალკაცის შემოქმედება.

სიამაყის განცდა დამეუფლა: ეტყობა, 1981 წლის „დინამოზე“ ნაამბობი მორიგი ქართული მითი არ ყოფილა. არც ის ყოფილა ზღაპარი, რომ „სანტიაგო ბერნაბეუზე“, 1981 წლის 31-აგვისტოდან 2 სექტემბრამდე, მადრიდის „რეალის“ მიერ ორგანიზებული ტურნირის ნახევარფინალში „დინამო“, 72-ე წუთამდე, „რეალს“ 2:1-ს უგებდა: პირველ ტაიმში რამაზ შენგელიამ დაგვაწინაურა, 46-ე წუთზე საეჭვო პენალტით, ული შტილიკემ ანგარიში გაათანაბრა. 69-ე წუთზე ვოვა გუცაევის წაქცევისთვის დანიშნული თერთმეტმეტრიანი გოლად ისევ შენგელიამ აქცია — 1:2, მაგრამ თბილისელებს არაობიექტურ მსაჯებსა და მადრიდელებთან საბრძოლად ძალა აღარ ეყოთ. მე-13 წუთზე ანხელმა დავით ყიფიანს ფეხი მოსტეხა, მატჩის ბოლოს, მოედნიდან ნუკრი კაკილაშვილიც გაიყვანეს და 72-ე წუთიდან „რეალმა“ სამჯერ გაიტანა — 2:4.



მე-3 ადგილისთვის მატჩში „დინამომ“ კარლ-ჰაინც რუმენიგესა და პოლ ბრაიტნერის მიუნჰენის „ბაიერნი“ შენგელიას დუბლით 2:1 დაამარცხა, მადრიდელებმა ქართველი ფეხბურთელები ოვაციებით გააცილეს.

„იუთუბზე“ გამოფენილმა ამ შეხვედრების მწირმა კადრებმა საბოლოოდ დამარწმუნა მამაჩემის სიმართლეში, რომელიც სულ მიმეორებდა, შენ ქართული ფეხბურთი არ გინახავსო.

საუკეთესო ფეხბურთელად „დინამოს“ 9 ნომერი ვოვა გუცაევი დაასახელეს, შენგელია კი, 4 გოლით, ბომბარდირი გახდა. მეგავარსკვლავების გარემოცვაში ოთხი პრიზიდან ორი ჩვენებს ხვდა წილად. მადრიდელთა მაშინდელი პრეზიდენტი **ლუის დე კარლოს ორტიზი** „დინამოს“ თავკაცებს — **კახი ასათიანსა** და **ნოდარ ახალკაცს** სასტუმროში ეახლა და გუცაევის ტრანსფერში ნებისმიერ თანხასა და პლუს, ესპანეთის ნაკრების ორ ვარსკვლავს — სანტილიანასა და ხუანიტოს სთავაზობდა.

იმ ლეგენდარული გუნდის 9 ნომერი ნამდვილი ვარსკვლავი ვოვა გუცაევი 60 წლის გახდა. 1980-1981 წლების ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ფინალში, დიუსელდორფში, „კარლ ცეისს“ გაუტანა და თბილისელთა ტრიუმფში უდიდესი წვლილი შეიტანა. ეს იგივე ქვეყანაში ხდებოდა, სადაც კარგა ხანს შუქი, გაზი, სითბო გვენატრებოდა და ისეთი ნიჰილიზმი გაგვიჩნდა, რომ საკუთარი თავის არ გვჯეროდა.

არადა, რამხელა ვარსკვლავები გვყოლია.

გვერდი მოამზადა გიორგი მაისურაძემ





# ნინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 7 | 1 | 4 | 6 | 3 | 5 | 2 | 9 |
| 6 | 5 | 4 | 2 | 1 | 9 | 7 | 8 | 3 |
| 2 | 3 | 9 | 8 | 5 | 7 | 6 | 1 | 4 |
| 3 | 2 | 8 | 7 | 9 | 1 | 4 | 6 | 5 |
| 4 | 6 | 7 | 3 | 2 | 5 | 1 | 9 | 8 |
| 1 | 9 | 5 | 6 | 8 | 4 | 3 | 7 | 2 |
| 9 | 4 | 6 | 5 | 7 | 2 | 8 | 3 | 1 |
| 7 | 1 | 3 | 9 | 4 | 8 | 2 | 5 | 6 |
| 5 | 8 | 2 | 1 | 3 | 6 | 9 | 4 | 7 |

რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 2 | 9 | 4 | 1 | 8 | 7 | 3 | 5 |
| 1 | 5 | 8 | 9 | 3 | 7 | 4 | 6 | 2 |
| 3 | 4 | 7 | 6 | 5 | 2 | 1 | 9 | 8 |
| 5 | 3 | 1 | 2 | 9 | 4 | 8 | 7 | 6 |
| 9 | 8 | 6 | 5 | 7 | 3 | 2 | 4 | 1 |
| 4 | 7 | 2 | 1 | 8 | 6 | 9 | 5 | 3 |
| 2 | 1 | 5 | 7 | 6 | 9 | 3 | 8 | 4 |
| 8 | 9 | 4 | 3 | 2 | 5 | 6 | 1 | 7 |
| 7 | 6 | 3 | 8 | 4 | 1 | 5 | 2 | 9 |

სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 8 | 3 | 7 | 6 | 4 | 1 | 2 | 9 |
| 7 | 2 | 4 | 1 | 9 | 3 | 5 | 8 | 6 |
| 1 | 6 | 9 | 8 | 2 | 5 | 3 | 7 | 4 |
| 6 | 1 | 2 | 9 | 5 | 8 | 7 | 4 | 3 |
| 3 | 9 | 5 | 4 | 7 | 6 | 2 | 1 | 8 |
| 4 | 7 | 8 | 3 | 1 | 2 | 9 | 6 | 5 |
| 2 | 3 | 6 | 5 | 8 | 1 | 4 | 9 | 7 |
| 9 | 5 | 1 | 6 | 4 | 7 | 8 | 3 | 2 |
| 8 | 4 | 7 | 2 | 3 | 9 | 6 | 5 | 1 |

ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 8 | 2 | 6 | 5 | 1 | 4 | 3 | 9 |
| 5 | 4 | 3 | 2 | 9 | 8 | 6 | 1 | 7 |
| 6 | 1 | 9 | 7 | 4 | 3 | 2 | 8 | 5 |
| 2 | 9 | 7 | 1 | 8 | 4 | 5 | 6 | 3 |
| 4 | 6 | 5 | 9 | 3 | 7 | 1 | 2 | 8 |
| 1 | 3 | 8 | 5 | 6 | 2 | 7 | 9 | 4 |
| 9 | 2 | 6 | 8 | 7 | 5 | 3 | 4 | 1 |
| 3 | 7 | 1 | 4 | 2 | 9 | 8 | 5 | 6 |
| 8 | 5 | 4 | 3 | 1 | 6 | 9 | 7 | 2 |

# სიმსუქნეს ბაქტერია იწვევს?



ჩინელმა მეცნიერებმა შანხაის უნივერსიტეტიდან დაასკვნეს, რომ სიმსუქნის მიზეზი, შესაძლოა, ბაქტერიული ინფექცია იყოს. სწავლულებმა ექსპერიმენტი ჩაატარეს, რომლის დროსაც მღრღნელებს მსუყე საკვებს აჭმევდნენ და მოძრაობის საშუალებას ნაკლებად აძლევდნენ. აღმოჩნდა, რომ ჭარბი წონა მხოლოდ იმ თაგვებმა დააგროვეს, რომლებიც ენტერობაქტერიით იყვნენ „დაინფიცირებულნი". ეს ბაქტერია ხელს უშლის გენებს, რომლებიც ნივთიერებათა ცვლას აკონტროლებენ. ამგვარად ის ორგანიზმს ცხიმების გამომუშავებისა და დაგროვებისკენ უბიძგებს. ჩინელი მკვლევარების თქმით, ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფენომენია. კვლევების ხელმძღვანელი კი ამტკიცებს, რომ უკვე განკურნა ჭარბი წონის მქონე პაციენტი, რომელიც ბოლო სტადიაზე იყო მისული. მისი თქმით, პაციენტმა 23 კვირის განმავლობაში სხეულის მასის 29% დაკარგა, ამასთან, განიკურნა დიაბეტისგან, ჰიპერტონიისა და ღვიძლის ცხიმოვანი ინფილტრაციისგან. მას განსაკუთრებული დიეტა ჰქონდა დანიშნული, რაც ენტერობაქტერის მოქმედებას აქვეითებდა: მარცვლოვანი პროდუქტები, ტრადიციული ჩინური მედიცინის საშუალებები და ნახშირწყლები. სწავლულებმა ბაქტერიის კიდევ ერთი მავნე თვისება აღმოაჩინეს: ის გამოყოფს ნივთიერებებს, რაც ორგანიზმის მიერ ინსულინის უარყოფას პროვოცირებს. ავადმყოფები ბევრს ჭამენ, რადგან დანაყრებას ვერ გრძნობენ.

## ვეგანური დიეტა ონკოდაავადებებისგან გვიცავს



უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში ყველასთვის ცნობილი გახდა, რომ ადამიანები, ვინც ვეგეტარიანულ დიეტას იცავს, ნაკლებად ავადდებიან სიმსივნური დაავადებებით. ბოლო გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ონკოლოგიურ დაავადებების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ვეგანებს აქვთ. მრავალრიცხოვანი კვლევების შედეგად დამტკიცდა, რომ ადამიანის ორგანიზმში, ვინც ვეგანურ დიეტას იცავს, ავთვისებიანი სიმსივნური უჯრედების წარმოქმნის ალბათობა ძალიან მცირეა. საქმე ის არის, რომ მსგავსი დიეტის გავლენით, დაახლოებით, 500 გენი ისე იცვლება, რომ მავნე გენები, რომლებიც სხვადასხვა დაავადებებზეა პასუხისმგებელი, „გამოირთვებიან", სასარგებლოები კი (მაგალითად, იმუნიტეტზე პასუხისმგებელი), პირიქით, აქტიურდებიან. შეგახსენებთ, ვეგანობა — ცხოვრების მკაცრად ვეგეტარიანული წესია. ვეგანები გამორიცხავენ იმ პროდუქტების მოხმარებას, რაც ცხოველებისა და ფრინველების ექსპლუატაციისა და მკვლელობით მიიღება. ვეგანები, გარდა ხორცისა, არ ჭამენ არ თევზს, კვერცხს, რძის პროდუქტებსა და ზოგჯერ, თაფლსაც კი.



# ჰოროსკოპი
## 24 დეკემბერი

***ვერძი*** — დღეს რთული არჩევანის წინაშე დგახართ, სასწორზე კარიერა და ბედნიერი პირადი ცხოვრება დევს, თუმცა ვარსკვლავები ამბობენ, რომ რა არჩევანიც უნდა გააკეთოთ, შედეგით მაინც კმაყოფილი იქნებით. დღის მეორე ნახევარში შეგიძლიათ მოეშვათ, თავისუფალი დრო მეგობრების წრეში გაატარეთ ან სუფთა ჰაერზე გაისეირნეთ.

***კურო*** — გულთან ახლოს ნუ მიიტანთ იმ ყველაფერს, რასაც დღეს გეტყვიან. დიდია ალბათობა, რომ ეს შურითაა განპირობებული. ისე მოიქეცით, როგორც საჭიროდ ჩათვლით, რჩევისთვის კი მხოლოდ იმ ადამიანს მიაკითხეთ, ვისაც ენდობით და პატივს სცემთ. კარგი დღეა ახალი ნაცნობობისთვისაც.

***ტყუპები*** — ახლობლების რჩევა-დარიგებებს მიუგდეთ ყური. ნუ იტყვით უარს მეგობრების დახმარებაზე, რადგან მათი თანადგომა აუცილებლად დაგჭირდებათ ჩანაფიქრის განსახორციელებლად. კარგი დღეა საქმიანი შეხვედრებისა და ახალი კონტრაქტების გაფორმებისთვის. საღამოს შესაძლოა შეხვედრა უცხოეთიდან ჩამოსულ, თქვენთვის ახლობელ ადამიანთან. არ არის გამორიცხული, ეს შეხვედრა რომანტიკულ ურთიერთობაში გადაიზარდოს.

***კირჩხიბი*** — ვარსკვლავები გირჩევენ, დღეს ყურადღება ახლობელი ადამიანის ჯანმრთელობას მიაქციოთ და არც საკუთარი გეგმები გადადოთ უკანა პლანზე. სასურველია, დღის მეორე ნახევარი შინ, ოჯახურ გარემოში გაატაროთ.

***ლომი*** — ეს დღე ემოციური იქნება. თუ საკუთარ გრძნობებზე მაღლა დადგებით, მუშაობაში ხელი არ შეგეშლებათ, ხოლო თუ აყვებით ემოციებს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება ძალიან გაგიჭირდებათ, რაც არასასურველ შედეგამდე მიგიყვანთ. კარგი დღეა საქმიანი შეხვედრებისთვის, დღის მეორე ნახევარში შეგიძლიათ საყვარელ ადამიანთან ერთად თეატრში ან კინოში წახვიდეთ.

***ქალწული*** — არ თქვათ უარი დღეს შემოთავაზებულ წინადადებაზე, ოღონდ ჯერ დაფიქრება გმართებთ. ნუ იჩქარებთ, რადგან საკმარისი დრო გექნებათ, ყველაფერი თქვენს სასარგებლოდ შემოატრიალოთ. მოთმინებით მოექეცით კოლეგებსა და გარშემომყოფებს. საღამოს კი მეგობრებთან ერთად რესტორანში ან დისკოთეკაზე გაერთეთ.

***სასწორი*** — დღეს საყოფაცხოვრებო პრობლემების მოგვარება ბევრ დროსა და ენერგიას წაგართმევთ. გირჩევთ, ყველაფერი საკუთარ თავზე აიღოთ და დასახმარებლად ოჯახის წევრებს მიმართოთ, რადგან შედეგებით მთელი ოჯახი ისარგებლებს. შეეცადეთ, დრო საქმიანი საკითხების მოგვარებასაც დაუთმოთ, რადგან საამისოდ კარგი პერიოდია.

***ღრიანკალი*** — ეს დღე არასახარბიელოა ცვლილებებისთვის. სჯობს, ყველაფერი ისე დატოვოთ, როგორც არის. ეს პირად ცხოვრებასაც ეხება და სამსახურსაც. ვარსკვლავები გირჩევენ, მნიშვნელოვანი მოვლენებისთვის მოემზადოთ — წინ ახალი სასიყვარულო ურთიერთობა გელით, რომელიც შესაძლოა, საკმაოდ სერიოზული და ხანგრძლივი აღმოჩნდეს. არის იმის ალბათობაც, რომ სამსახურში დაგაწინაურონ.

***მშვილდოსანი*** — ვარსკვლავები გაფრთხილებენ, რომ შესაძლოა, თქვენს მიმართ კოლეგებისა და ხელმძღვანელობის დამოკიდებულება შეიცვალოს. ეს კი იმ შემთხვევაში მოხდება, თუ თქვენ აზრს გამოთქვამთ და საკუთარ სამუშაო მაგიდასთან ჩუმად არ იჯდებით. დღის მეორე ნახევარში მგზავრობისგან თავი შეიკავეთ, რადგან დიდია ტრავმების მიღების რისკი. სჯობს, საღამო შინ გაატაროთ.

***თხის რქა*** — დღეს გეგმები, თქვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, შეიძლება შეიცვალოს. არაა გამორიცხული, ამის მიზეზი საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაუმართაობა ან თქვენი კოლეგების უპასუხისმგებლობა გახდეს. დღის მეორე ნახევარში კი, საკუთარი ჩანაფიქრის განხორციელებას შეძლებთ, რადგან ყველა პრობლემას სწრაფად მოაგვარებთ. არაა გამორიცხული, საღამოს წვეულებაზე მიგიწვიონ, რაზეც უარი არ უნდა თქვათ. დიდი ალბათობაა გავლენიანი ადამიანის გაცნობისა, ვინც თქვენს მომავალს რადიკალურად შეცვლის.

***მერწყული*** — ვარსკვლავები გირჩევენ, ერთმანეთში ნუ აურევთ სამსახურსა და პირად ცხოვრებას. ნუ მიანიჭებთ პრიორიტეტს ისეთ საქმეებს, რაც კონკრეტული მომენტისთვის საჩქარო არ არის. თუ პრობლემები პარტნიორთან თქვენს ურთიერთობას ეხება, სჯობს, მის გადაჭრას დიდი დრო დაუთმოთ. მით უმეტეს, კარგი დღეა რომანტიკული შეხვედრისთვის.

***თევზები*** — დღეს თქვენი გეგმების განხორციელებას ხელი არაფერმა უნდა შეუშალოს, თუ თავადვე არ შექმნით რაიმე პრობლემას. პირველ რიგში, ჩამოყალიბდით, მართლა გინდათ გარკვეული შედეგების მიღება თუ უბრალოდ, ვიღაცის გავლენით მოქმედებთ. კარგი დღეა ცვლილებებისთვის — შეგიძლიათ გარდერობი განაახლოთ და ამისთვის მაღაზიებში გაიაროთ.

## ქალმა მტრედს უჩივლა



ქალაქ დარმშტადტის მცხოვრებმა ქალბატონმა პოლიციაში განცხადება მტრედის წინააღმდეგ შეიტანა, რომელიც უკვე რამდენიმე კვირაა, თავს არ ანებებს. გერმანელი მანდილოსნის განცხადებით, ფრინველი გამუდმებით ცდილობს მასთან ურთიერთობას, ეზოში დადის, ტერასაზე სეირნობს, რამდენჯერმე სახლშიც კი შევიდა. ქალი ირწმუნება, რომ მტრედი დაახლოებით სამი კვირაა, თავს არ ანებებს. მტრედი სახლში შესვლას თუ ვერ ახერხებს, მოთმინებით ელოდება კართან. სამართალდამცავებმა ქალს მტრედების მოყვარულთან ან ვეტერინარ-ფსიქოლოგთან გასაუბრება ურჩიეს.

## ენერგეტიკულ სასმელში მხოლოდ კოფეინი მოქმედებს

ერთ-ერთი გამოცემის ცნობით, თუ ენერგეტიკული სასმელი შეიცავს ტაურინს, გუარანას, გლუკურონოლაქტონს, „ბე“-ჯგუფის ვიტამინებსა და ჟენშენს, მიიჩნევა, რომ ადამიანის ტვინზე რაღაც მაგიური ზემოქმედების წყალობით, ის უფრო მეტად შრომისუნარიანი ხდება. ბოლო გამოკვლევების თანახმად კი, ამ სასმელში მხოლოდ კოფეინი მოქმედებს. მეცნიერებმა ჩიკაგოს უნივერსიტეტიდან უამრავი მასალა გააანალიზეს, სადაც აღწერილი იყო კოფეინიანი და უკოფეინო ენერგეტიკების ინგრედიენტების მიერ მოგვრილი ეფექტები. შედეგად, იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ეს „სასწაულმოქმედი“ ინგრედიენტები არაფერს აკეთებს და არც მატონიზირებელი თვისება აქვს. ყველაფერი მხოლოდ კოფეინის არსებობით აიხსნება. სპეციალისტების მტკიცებით, საფრთხეს ენერგეტიკებში არსებული კოფეინის მაღალი კონცენტრაცია წარმოადგენს — შესაძლოა ის დიაბეტის, დამბლის, გულის პრობლემების მიზეზი გახდეს. ექსპერტები კატეგორიულად აცხადებენ, რომ ეს სასმელი ბავშვს არ უნდა გააკაროთ.






## ეჭვიანმა ცოლმა ქმარი დააჭერინა



აშშ-ში, ნიუ-ჯერსიში მცხოვრებმა 50 წლის ქალბატონმა პოლიციაში დარეკა და განაცხადა, რომ მისი ბიზნესმენი მეუღლე სამგზავრო ლაინერის აფეთქებას აპირებდა. რამდენიმე საათში მამაკაცი ნიუ-იორკის აეროპორტში დააკავეს. დაკითხვის შედეგად პოლიციელებმა დაადგინეს, რომ საქმე პროვოკაციასთან ჰქონდათ. დაკავებულის თქმით, აეროპორტში წასვლამდე ცოლთან იჩხუბა, რადგან უცხო ქვეყანაში მარტო გაშვება არ უნდოდა. ქალმა კი განაცხადა, ის გავაკეთე, რასაც ჩემგან სამოქალაქო ვალდებულება მოითხოვდაო და დასძინა, რომ საზღვარგარეთ პირველი ერთობლივი ვიზიტის შემდეგ, მეუღლე საკუთარ თავში ჩაიკეტა. პირველი ეჭვები სწორედ მაშინ გაუჩნდა. საბედნიეროდ, „ტერორისტის“ ქალიშვილმა, რომელიც მშობლების ჩხუბს შეესწრო, მამასთან დარეკა და მოსალოდნელი საფრთხის შესახებ გააფრთხილა. მამაკაცს საბაჟო კონტროლი უკვე გავლილი ჰქონდა, როცა უსაფრთხოების თანამშრომლებმა დააკავეს. ჩხრეკისა და დაკითხვის შემდეგ გაათავისუფლეს და მოგვიანებით „ტერორისტი“ პარიზში გაემგზავრა. ცოლი კი, კვლავ ჯიუტად ამტკიცებს, რომ სამოქალაქო ვალდებულება შეასრულა.

## შოკოლადი აფროდიზიაკის თვისებებით



შოკოლადის შვეიცარელმა მწარმოებლებმა განაცხადეს, რომ ახალი ტექნოლოგიით დამზადებული ტკბილეულის შექმნაზე დაასრულეს მუშაობა. ეს მეთოდი საშუალებას მისცემს შოკოლადის მწარმოებლებს, მასში იმ განსაკუთრებული ნივთიერებების შემცველობა გაზარდონ, რაც ადამიანის ორგანიზმს სარგებელს მოუტანს. ეს ნივთიერებები პოზიტიურად მოქმედებს სისხლის მიმოქცევაზე. კომპანიამ Barry Callebut, რომელიც ჩაუშვებს წარმოებაში ამ ორიგინალურ შოკოლადს, ჩატარებულ სამუშაოებზე დადებითი პასუხი ოფიციალურად მიიღო ევროპის კვების პროდუქტების უსაფრთხოების სააგენტოსგან. ადრეულ კვლევებში, რომელიც ამ კომპანიის სპეციალისტებმა ჩაატარეს, ფლავანოლების ზემოქმედებას სწავლობდნენ სხვადასხვა ქსოვილის სისხლით მომარაგებაზე. ფლავანოლები — ფლავანოიდების ერთ-ერთი სახეობაა, მას აშკარად გამოხატული ანტიოქსიდანტური თვისებები აქვს და ამიტომ, სასიკეთოდ მოქმედებს სისხლძარღვებზე. მაგრამ შოკოლადის დამზადებისას, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, არსებითად მცირდება ფლავანოლების რაოდენობა შავ შოკოლადში. რძიანში კი საერთოდ აღარ არსებობს. ამჯერად კომპანიის სპეციალისტებმა პრინციპულად ახალი მეთოდი შეიმუშავეს, რომელიც შოკოლადის დამზადებისას მასში სასარგებლო ნივთიერებების 80%-ით შენარჩუნების საშუალებას იძლევა. პროდუქტის გემო უცვლელი რჩება. დღეს უკვე ლაპარაკობენ იმაზე, რომ ასეთ შოკოლადს, ფლავანოლების დიდი შემცველობით, აფროდიზიაკის თვისებები ექნება. ზოგიერთ მედიასაშუალებებში შოკოლადს პოტენციის ასამაღლებელ პრეპარატსაც კი ადარებენ.

## წლის ტოპ-მოდელი დაასახელეს

ის მხოლოდ 20 წლისაა, თუმცა უკვე მოასწრო მოდისა და სილამაზის სამყაროში სენსაციის მოხდენა. ბრიტანელი კარა დელვინი 2012 წლის საუკეთესო მოდელად დაასახელა **British Fashion Awards**-მა. ეს არცაა გასაკვირი, რადგან წელს ახალგაზრდა გოგონამ ნამდვილი ფურორი მოახდინა: იგი მსოფლიო მოდის კვირეულებზე გამოჩნდა, გადაიღეს Burberry-ს ტანსაცმლისა და კოსმეტიკის რეკლამაში, Chanel-ის საკრუიზო კოლექციაში და ფილმში „ანა კარენინა“, საბოლოოდ კი, **Victoria's Secret**-ის „ანგელოზების“ რიგებში ჩაეწერა. ბევრი სპეციალისტი მიიჩნევს, რომ კარას მთავარი „კოზირი“ — მისი წარბებია, სამოდელო საქმის სპეციალისტები კი ფიქრობენ, რომ დელვინის წარმატების საიდუმლო ანდროგენური ტიპაჟის მოდელების მზარდი პოპულარობაა. სწორედ ამიტომ, კარას სიმაღლესაც კი, რომელიც სულ 173 სანტიმეტრს აღწევს, ხელი არ შეუშლია მისთვის კარიერის აწყობაში. ფოტოგრაფები კი, ახალგაზრდა მოდელს გარდასახვის განსაცვიფრებელი უნარის გამო უწინასწარმეტყველებენ დიდ წარმატებას.



# საცოლეს ქუჩაში ეძებს




აშშ-ს, ორეგონის შტატში მცხოვრები 82 წლის მამაკაცი, სენდი მაკკულოჩი მეოთხედ დაქორწინებას აპირებს. სენდის კისერზე ჩამოკიდებული აქვს აბრა, რომელსაც ასეთი წარწერა აქვს: ვეძებ ცოლს. მამაკაცების უმრავლესობა დაქორწინების შესახებ განცხადებას ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებს, ზოგი მეორე ნახევარს სოციალურ ქსელში ეძებს, მე კი ორიგინალური ხერხი მოვიფიქრე. ხომ შეიძლება, ქუჩაში მოსეირნე ქალბატონს მოვეწონო და აბრის გარეშე, როგორ მიხვდება, 82 წლის კაცი უცოლო რომ ვარ? — აცხადებს უხუცესი სასიძო და დასძენს, რომ კარგად გააცნობიერა ქორწინების ხიბლი, ამიტომ ძველ შეცდომებს აღარ გაიმეორებს. სენდის მომავალი მეუღლე 60 წელს გადაცილებული უნდა იყოს, ჰქონდეს იუმორის გრძნობა და უყვარდეს წიგნები.

# ყოველი ჰამბურგერი სიკვდილთან გვაახლოებს?

კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორმა დევიდ შპინგელ-ჰარტერმა ზომის ახალი ერთეული — „მიკროცხოვრება“ მოიგონა. ეს 30 წუთი ანუ „ცხოვრების მილიონიანი ნაწილია 35 წლის შემდეგ“, — ასე გამოთვალა სწავლულმა. მისი თქმით, ადამიანი ერთ „მიკროცხოვრებას“ კარგავს, თუ 2 სიგარეტს ეწევა, ან ნორმაზე 5 კილოგრამით მეტს იწონის, სპირტიან სასმელს მიირთმევს, 2 საათი უყურებს ტელევიზორს, ანდა ერთ ჰამბურგერს ჭამს. სამაგიეროდ, მოიმატებს ამ „მიკროცხოვრებას“, თუ ვთქვათ, თუნდაც ერთი დღის განმავლობაში ცხოვრების ჯანსაღ წესს დაიცავს — არ მოწევს, არ დალევს, ჯანსაღ პროდუქტებს მიირთმევს, ივარჯიშებს და სუფთა ჰაერზე ისეირნებს. სუსტი სქესის წარმომადგენელი დღეში 4 „მიკროცხოვრებას“ შეიძენს, კაცებისგან განსხვავებით, — ამბობს მკვლევარი. ადრეული კვლევებით მეცნიერები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ადამიანის დღეგრძელობის გასაღები, შესაძლოა, ოთხფეხა მეგობრები იყვნენ. სწავლულთა თქმით, ადამიანს, რომელიც ბედნიერია ქორწინებაში, ჰყავს ბევრი მეგობარი და ძაღლი, ყველა შანსი აქვს, დიდხანს იცოცხლოს.



# ტორტები განქორწინებისთვის



ჩვენ პლანეტაზე კიდევ ერთი ახალი რიტუალი გაჩნდა: განქორწინების აღნიშვნა. ბევრი განქორწინებული წყვილი ოჯახური მდგომარეობის შეცვლაში კატასტროფულს ვერაფერს ხედავს და განქორწინებას წვეულების მოწყობის მშვენიერ მიზეზადაც მიიჩნევს. შენიშნეს რა ეს ტენდენცია, ამერიკელი და ინგლისელი კონდიტერები მაშინვე აფუსფუსდნენ. ასეთ შემთხვევაში, ტორტების გმირი ბედნიერი სიძე-პატარძალი კი არა, გაავებული ცოლ-ქმარია. ასეთი ფიგურებით დამშვენებული ტორტით განქორწინების აღნიშვნა, მსურველს 60-დან 800 დოლარამდე უჯდება. იუმორი ხომ სტრესთან გამკლავების საუკეთესო მეთოდია.

# იტალიელებმა მისალოცი ბოთლი გამოუშვეს

მარტინიმ ლიმიტირებული ბოთლები გამოუშვა, რომლის გალამაზება საკუთარი ხელით შეიძლება. სასმელის შეზღუდული სერია თეთრ ბოთლებში ჩამოასხეს, რომელიც შეგიძლიათ მოხატოთ ან მისალოცი ტექსტი დააწეროთ. კომპლექტში შედის სპეციალური მარკერიც, რომელიც ბოთლს არტ-ობიექტად აქცევს. გარდა ამისა, **Martini Asti Limited Edition** სადღესასწაულოდ ბრწყინავს — ვარსკვლავები, საახალწლო ნაძვის ხეები, ფიფქები ბოთლის დიზაინში შედის და სიბნელეში ანათებს. **Martini Asti** ტიპური შუშხუნა ღვინოა, რომელსაც ყურძნის ჯიშისგან **Moscato Bianco** ამზადებენ.




# ცოლზე განაწყენებულმა, ხეზე ცხოვრება გადაწყვიტა



უკვე ცხრა თვეა, ინდოეთში, ქალაქ მუმბაის მკვიდრი გუავას ხეზე ზის. ამ უცნაური საქციელის მიზეზი მისი მეუღლეა. ახალგაზრდა კაცი ჩამოსვლას არ აპირებს, სანამ ცოლი, ღალატის გამო, პატიებას არ სთხოვს. საქმე ისაა, რომ 25 წლის სანჟაიმ მეორე ნახევარს სხვასთან წაასწრო ლოგინში. ღალატით აღშფოთებულმა, ცოლი მშობლიურ სოფელში წაიყვანა, სადაც ქალს, ულირსი საქციელის გამო, ნათესავების წინაშე ბოდიში უნდა მოეხადა, მაგრამ ქალმა განაცხადა, რომ მობოდიშებას არ აპირებს. შეურაცხყოფილი ქმარი სოფელთან ახლოს, გუარანას ხეზე ავიდა და განაცხადა, რომ იქიდან არ ჩამოვა, ვიდრე ცოლის ბოდიშს არ მოისმენს. ეს უჩვეულო პროტესტი უკვე ცხრა თვეა გრძელდება. სანჟაი ჯერ ხის ნაყოფით კმაყოფილდებოდა, ახლა, სურსათს ქვევიდან აწვდიან. მოღალატე ცოლი კი დიდი ხანია მუმბაიში, საყვარელთან დაბრუნდა, აშკარაა, ქმართან მობოდიშებას არ აპირებს, სანჟაი კი აცხადებს, თუ ხიდან ძალით ჩამომიყვანთ, თავს მოვიკლავო.

# სუდოკუმანია

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 9 | | | | 1 |
| | | | | | 6 | | 7 | 5 |
| | 7 | | | | | 4 | | |
| | 6 | 3 | 4 | | 2 | 8 | | |
| 8 | 5 | | | | | | 6 | 4 |
| | | 4 | 6 | | 8 | 1 | 5 | |
| | | 1 | | | | | 8 | |
| 6 | 3 | | 1 | | | | | |
| 5 | | | | 3 | | | | |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 5 | | 9 | | | | | |
| | 4 | | | 3 | | | 8 | |
| 3 | | | 1 | 7 | | | 9 | |
| 9 | | 5 | | | | | 7 | 3 |
| | | | | | | | | |
| 8 | 7 | | | | | 2 | | 1 |
| | 3 | | | 8 | 9 | | | 7 |
| | 8 | | | 1 | | | 2 | |
| | | | | | 7 | | 4 | 6 |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 5 | | | 6 | 1 | | 9 | 8 |
| | 3 | | 2 | | | | | 1 |
| | | 1 | 9 | | | | 5 | |
| | 4 | | 3 | | | | | 7 |
| | | | | | | | | |
| 9 | | | | | 4 | | 3 | |
| | 1 | | | | 8 | 9 | | |
| 4 | | | | | 7 | | 6 | |
| 3 | 7 | | 4 | 9 | | | 1 | |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 9 | | | | 1 | | 8 | |
| 4 | | | | | | 1 | | |
| | 3 | 2 | | 9 | | 5 | | |
| | | | | 3 | 5 | | | |
| | | 7 | | | | 9 | | |
| | | | 8 | 1 | | | | |
| | | 9 | | 8 | | 3 | 1 | |
| | | 3 | | | | | | 4 |
| | 1 | | 7 | | | | 6 | |



# ჰოროსკოპი
## 25 დეკემბერი

***ვერძი*** — დღეს თქვენ ჩვეულებრივზე გაცილებით სერიოზულად ხართ განწყობილი, დაწყებულ საქმეებს გვერდზე არ გადადებთ და დიდ ორგანიზატორულ ნიჭსაც გამოავლენთ. ეს ყველაფერი განწყობას ნამდვილად ვერ აგიმაღლებთ, სამაგიეროდ, ძალიან გაგახარებთ ის სიურპრიზი, რომელსაც საყვარელი ადამიანი მოგიმზადებთ. კარგი დღეა ბინაში წესრიგის დასამყარებლად — ნივთები გადაარჩიეთ და რაც აღარ გჭირდებათ, თავიდან თამამად მოიშორეთ.

***კური*** — ეს დღე ახალი რომანტიკული გატაცებებითა და მრავალრიცხოვანი ილუზიებით დაგამახსოვრებთ თავს. ფანტაზიებს აყვებით და ფაქტებს რეალურად ვერ შეაფასებთ. ვარსკვლავები გირჩევენ, გამოცდილ და ჭკვიან ადამიანებს ჰკითხოთ რჩევა. დღეს შეგიძლიათ საყიდლებზე წასვლა. კარგი დღეა ფიზიკური ვარჯიშისთვის, თუმცა ფრთხილად იყავით, ტრავმის მიღების რისკიც არსებობს. დღის მეორე ნახევარში არ არის სასურველი, შორ გზაზე გამგზავრება.

***ტყუპები*** — ეს დღე არც ისე წარმატებულია. მიზნების მისაღწევად დიდი ძალისხმევა დაგჭირდებათ, თუმცა ამის დიდი სურვილი არ გაქვთ და წარმატებასაც არ უნდა ელოდეთ. შეეცადეთ, დღეს თავი აარიდოთ დაუგეგმავ ხარჯებს, არ მოაწეროთ ხელი უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს. კარგი დღეა ინიციატივის გამოვლენისთვის პირად ცხოვრებაში. არ არის გამორიცხული შეხვედრა ადამიანთან, რომელიც ადრე თქვენთვის მნიშვნელოვანი იყო.

***კირჩხიბი*** — ეს დღე წარსულის გაანალიზებას უკავშირდება. შესაძლოა, ის ინფორმაცია მიიღოთ, რომელსაც ბოლო დღეებში მოუთმენლად ელით. დადგა დრო, დამოუკიდებლად მიიღოთ გადაწყვეტილებები. დღეს უამრავ რჩევასაც მიიღებთ, თუმცა, არც ერთის გათვალისწინება არ ღირს. დღეს ძალიან დიდია ვარსკვლავების პოზიტიური გავლენა რომანტიკულ ურთიერთობებზე.

***ლომი*** — ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ სხვების შეხედულებას თქვენზე. რასაკვირველია, გარშემომყოფებზე კარგი შთაბეჭდილების მოხდენა მნიშვნელოვანია, მაგრამ დღეს ეს არაა მთავარი. თქვენი სისუსტე უნდა დაძლიოთ და შინაგანი წინააღმდეგობა გადალახოთ. დაქვეითებულია სასიცოცხლო პოტენციალი, შესაძლოა, ქრონიკული დაავადებების გამწვავება. სასურველია, უარი თქვათ ალკოჰოლზე, მაგარ ჩაისა და ყავაზე.

***ქალწული*** — ფიქრებში ახლო წარსულს უბრუნდებით, აანალიზებთ და ახალი დასკვნები გამოგაქვთ. ბევრია დამოკიდებული იმაზე, რამდენად კრიტიკული იქნებით საკუთარი თავის მიმართ. გარშემომყოფები დღეს კომპლიმენტებს არ იშურებენ, თუმცა, გრძნობთ, რომ ეს ყალბი სიტყვებია და მხოლოდ თქვენი ნდობის დამსახურება სურთ. შუადღე რთული პერიოდია, ძალიან გაღიზიანებული ხართ და მათთანაც კამათობთ, ვინც ჭეშმარიტად გიყვართ.

***სასწორი*** — საუკეთესო დღეა ურთიერთობებისთვის. საინტერესო შეხვედრები გელით ცნობილ ადამიანებთან. შესაძლოა რომანტიკული ურთიერთობების დაწყება, რაც უამრავ პოზიტიურ ემოციას მოგგვრით და დიდ გამოცდილებას შეგძენთ. კარგი დღეა ავეჯის, საყოფაცხოვრებო ტექნიკის შესაძენად. ყურადღება მიაქციეთ უფროსი ასაკის ახლობლებს, დღეს მათ თქვენი ყურადღება განსაკუთრებით სჭირდებათ.

***მორიელი*** — ძალიან გიჭირთ სიმშვიდის შენარჩუნება, რადგან დღე დაკავშირებულია უამრავ ცდუნებასთან. არც ისე მარტივი გადაწყვეტილებების მიღება მოგიწევთ. ახლობლები წამოწყებაში მხარს არ გიჭერენ, რადგან თქვენი ინიციატივა უადგილოდ მოეჩვენებათ. შესაძლოა, უთანხმოებაც, თუმცა ჩხუბი ხანგრძლივი არ იქნება. ახალ ნაცნობებთან კი ფრთხილად იყავით, ისინი თქვენი ნდობის მოპოვებას ცდილობენ.

***მშვილდოსანი*** — ეს დღე ურთიერთობების აღდგენას უკავშირდება. რომელიც გაუგებრობის გამო შეწყდა. ადამიანებში ადვილად იწვევთ სიმპათიას და ყურადღების ცენტრში თავს კომფორტულად გრძნობთ. კარგია, თუ შეიძენთ ორიგინალურ საგნებს, სამკაულს, ან უჩვეულო სუვენირს.

***თხის რქა*** — ამ ნიშნის წარმომადგენლებისთვის დღე უჩვეულო მოვლენას უკავშირდება, რაც გავლენას მოახდენს მათ ცხოვრებაზე. მზად ხართ კარდინალური ცვლილებებისთვის, ამიტომაც სწრაფად იღებთ გადაწყვეტილებებს. ხშირად რისკავთ კიდეც. ეს დღე კარგია მასშტაბურ პროექტზე სამუშაოდ. საკუთარი თავის მიმართ კრიტიკას ყურადღებას ნუ მიაქცევთ. შესაძლოა დაუგეგმავი ხარჯები, უმნიშვნელო დანაკარგები. შეეცადეთ, კარგი განწყობა შეინარჩუნოთ.

***მერწყული*** — დღეს ცდილობთ, მინიმალური ძალისხმევით მაქსიმალურ შედეგებს მიაღწიოთ და ეს გამოგდით კიდეც. ადვილად პოულობთ მხარდამჭერებს, რომელთაც რთულ საქმეებს ანდობთ. შემოქმედებითი პოტენციალი ყოველ საათს იზრდება და ორიგინალური იდეებიც თავისთავად ჩნდება. ამ დღეს მერწყულები განსაკუთრებით ამბიციურები ხდებიან, რაც ცოტა არ იყოს, ართულებს მათ ურთიერთობას გარშემომყოფებთან. შესაძლოა კამათი ოჯახის წევრებთან.

***თევზები*** — კარგი დღეა კონტაქტებისთვის იმ ადამიანებთან, ვისაც საზოგადოებაში მაღალი მდგომარეობა უკავია. ამ დღეს სასარგებლო ნაცნობობას გააბამთ და თუ გამბედაობასაც გამოიჩენთ, ისარგებლებთ კიდეც ამ ნაცნობობით. შესაძლოა, ჯილდო მიიღოთ ადრე შესრულებული სამუშაოსთვის. კარგი დღეა მოგზაურობისა და გარემოს შეცვლისთვის. შეგიძლიათ, რემონტი წამოიწყოთ, ბავშვებთან ურთიერთობა კი ოპტიმიზმით აგავსებთ და სიცოცხლის ხალისს დაგიბრუნებთ.

## ამინდის პროგნოზი

| | ორშაბათი | სამშაბათი |
|---|---|---|
| თბილისი | +5 | +5 |
| ქუთაისი | +7 | +7 |
| ბათუმი | +10 | +11 |
| სოხუმი | +13 | +14 |

| | ორშაბათი | სამშაბათი |
|---|---|---|
| თელავი | +5 | +4 |
| გუდაური | -4 | -5 |
| ბაკურიანი | +14 | +14 |
| მესტია | -5 | -5 |

## შენდობა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის საყანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

**ზარის ღირებულება 1 ლარი**

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205 . გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი) . სს „სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

**უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!**




**გთხოვთ დარეკოთ**




ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

**ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ**

**Appraisal.llc**

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

**უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას**

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

იკითხეთ თქვენი www.versia.ge
# ვერსია
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია, ნელი თორდია,
დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – ნათია მზექალაშვილი, გიორგი ლომსაძე

ISSN 1987-8699

მისამართი: ქ.თბილისი,
სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
ტელ: 590 740999; 2942399
e-mail:dosie@caucasus.net;
dosieversia@caucasus.net
versiaprinti@yahoo.com

Ⓡ ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით